

საქართველო გლობალური და რეგიონალური  
უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საფრთხეები, გამოწვევები...

ბესიკ ობოლაძე  
[Email address]

**საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების  
კოორდინატთა სისტემაში**

**შინაარსი**

ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შესაძლებლობა	
საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საფრთხეა.....	4
მულტიკულტურიზმი პრაქტიკაში ახალისებს ეთნოცენტრიზმს და ასუსტებს ინტეგრაციულ პროცესებს _ ანალიტიკოსი .....	8
ნაციონალური უსაფრთხოების „ხერხემლის“ ანატომია .....	13
პოლიტიკური მონანიება თუ ყველა ციხეში .....	24
სამხრეთ კავკასიის სოციალური კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პარადიგმა .....	27
საჭიროა გვქონდეს უმაღლესი კლასის სპეცსამსახურები რომლებიც წაიკითხავენ დაინტერესებული ძალების სპეცსამსახურების პოლიტიკურ ოპერაციებს ექსპერტი .....	32
ქვეყნის უსაფრთხოების საფრთხე .....	34
რუსეთისათვის ირანის „დაკარგვა“ ევრაზიული კავშირისა და ენერგოპოლიტიკის კრახია ..	37
საქართველო, გადატვირთვის“ პოლიტიკის კონტექსტში .....	41
სამხრეთ კავკასიის ახალი გარე აქტიორები .....	43
სომხეთის კომპლემენტარიზმის პრინციპი .....	47
ბესიკ ობოლაძე: ევროკავშირმა „ნაბუკოს“ ღია პოლიტიკური მხარდაჭერის ფუნქცია ვერ შეასრულა.....	49
შესაძლებელია საქართველოსთვის მოიძებნოს „ოქროს კვეთი“ ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე და მოხერხდეს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია -ბესიკ ობოლაძე .....	53
ბესიკ ობოლაძე: ნატოს მომავალი სამიტი სერიოზული შანსია ქვეყნისათვის.....	55
„საქართველოს ევროატლანტიკური ინტერესების პერსპექტივებზე პუტინის აგრესიული პოლიტიკა გავლენას იქონიებს“ .....	57
თანამედროვე მეთოდოლოგიის კონცეპტუალური მოდელები კონფლიქტებთან მიმართებაში .....	60
პოსტსაბჭოთა სივრცეში შესაძლებელია ომების ახალი ეტაპები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის მოტივით .....	65
ბესიკ ობოლაძე: „საქართველოში ომის 1 დღე რუსეთს 2,5 მილიარდი რუბლი უჯდება!“ .....	71

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

უშიშროების ახალი მინისტრი და ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო ქართული სპეცსამსახურების ახალ კონცეფციას ქმნიან.....	75
საქართველოს „ისლამური სახელმწიფოს“ სავარაუდო სცენარების სარტყელში ექცევა.....	79
ქვეყანა ახალი პოლიტიკური ელიტის მოლოდინშია - ბესიკ ობოლაძე.....	84
ბესიკ ობოლაძე: „პოლიტიკური პარტიები ნაკლებად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას“.....	88
აშშ-ში არაერთი ჩვენი თანამემამულეა სხვადასხვა სტატუსით, შესაბამისად, ჩვენთვისაც საინტერესოა არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესები _ ბესიკ ობოლაძე.....	92
ამ ეტაპზე, რაც ამ პოლიტიკურ ძალებს, უფრო სწორედ მათ ლიდერებს შეუძლიათ, ბოდიშის მოხდაა - ბესიკ ობოლაძე.....	95

**საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების  
კოორდინატთა სისტემაში**

დღეს არსებული საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა მასშტაბური ტრანსფორმაციის მიჯნაზეა. ეს პროცესი სულ უფრო აქტიური ხდება და უახლოეს პერიოდში შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს, როგორც ფაქტორები, რომლებიც, გავლენას ახდენენ საერთაშირისო თანამეგობრობის წინაშე მდგომ ამოცანებზე, ასევე თვით ეს ამოცანებიც.

წინამდებარე კრებულში კონცენტრირებულია ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ინტერვიუები, კომენტარები, რომლებიც დაკავშირებულია გლობალური, რეგიონალური და ნაციონალური პოლიტიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პრობლემატიკასთან. არის მცდელობა პასუხი გაეცეს და მოიძებნოს ზოგიერთი აქტუალური საკითხის გადაწყვეტის გზა.

**რედაქტორი:** პროფესორი შოთა დოდონაძე

**რეცენზეტი:** ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

თბილისი 2017

© ბესიკ ობოლაძე

# საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ყველა უფლება დაცულია

ISBN

**ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების  
შესაძლებლობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საფრთხეა<sup>1</sup>**

საერთაშორისო გეოპოლიტიკურმა ანალიტიკურმა ცენტრმა გამოაქვეყნა 2012 წლის დასკვნითი საპროგნოზო ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ წელს მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ვლადიმირ პუტინის მიერ ინიცირებული ევრაზიული კავშირის ირგვლივ განვითარებული მოვლენები იქნება. ანალიტიკური ცენტრი ვარაუდობს, რომ კავშირი ეკონომიკურ სივრცეებს 2015 წლისთვის გასცდება და სამხედრო-პოლიტიკურ ფუნქციებსაც შეითავსებს.

რუსულ პოლიტიკურ წრეებში ევრაზიული კავშირის წევრებად ბელარუსი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი არიან მოხსენიებულები, ხოლო უკრაინა, სომხეთი და მოდლოვა გაერთიანების სავარაუდო შემადგენლებად განიხილებან.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ერთ-ერთი ვერსიით პირველად ანდრეი სახაროვის მიერ ინიცირებულ, ევრაზიულ კავშირს რამდენჯერმე უკვე უწოდა მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის შექმნის მცდელობა. რა საფრთხეები შეიძლება დაემუქროს საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ლიდერობის პირობებში ევრაზიული კავშირი საბოლოოდ ჩამოყალიბდება? - ამ კითხვით "მედიანიუსმა" პოლიტოლოგ ბესიკ ობოლაძეს მიმართა:

<sup>1</sup> <http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2012&art=929>

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საქართველოსთან მიმართებაში პრობლემები იქნება გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, გეოსტრატეგიულ, უსაფრთხოების და სხვა განზომილებებში. თითოეულ მათგანს მოკლედ შევეხები: შავი ზღვა-კასპიის ზღვა და ცენტრალური აზის ქვეყნები გეოგრაფიულად გლობალური არასტაბილურობის ცენტრალურ ზონაზე განფენილი. ბოლო პერიოდში ამ რეგიონმა ისტორიულად არსებული აზია-ევროპის დამაკავშირებელი არეალის სტატუსი დაიბრუნა და საერთო ტრანსევრაზიულ სივრცედ გარდაიქმნა. ევრაზიული კავშირის შექმნა ამ სივრცეს არღვევს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გეოეკონომიკურ ფუნქციას და ტრანსკომუნიკაციური ხიდის როლს, შესაბამისად, გარდაიქმნება "დახურულ" სივრცედ, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს, როგორც ამ სივრცის ერთ-ერთი რგოლის პერსპექტივებზე. შავი ზღვა-კასპიის ზღვა და ცენტრალური აზის რეგიონს კონფლიქტოგენურობის მაღალი ხარისხისა და ე.წ. ძალის ვაკუუმის ფაქტორის გამო ხშირად "ევრაზიულ ბალკანეთსაც" უწოდებენ. მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველა ევრაზიული გლობალური საკომუნიკაციო კვანძი და ენერგორესურსები უკავია. ამ ტრანსევრაზიულ სივრცეში გლობალურ, გეოპოლიტიკურ და რეგიონული აქტორების მხრიდან ზოგადად რეგიონის, კონკრეტული ქვეყნებისა და რეგიონული კონფლიქტების მიმართ მრავალსაფეხურიანი სტატუს-კვო ჩამოყალიბდა. ასევე, მოხდა გლობალურ ენერგოპროექტებთან, რეგიონის გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან, საერთაშორისო უსაფრთხოების, მათ შორის ტერორიზმის, ექსტრემიზმის და სხვა ასპექტებთან მიმართებაშიც. შესაბამისად, რუსეთს ევრაზიული კავშირის შექმნაში ჩადებული მიზნებისათვის ამ სტატუს-კვოს დარღვევა სჭირდება. ეს კი რეგიონის კონფლიქტოგენურობის ისედაც მაღალ ხარისხს კრიტიკულ დონემდე აიყვანს.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის განსაკუთრებით საგანგაშოა ევრაზიული კავშირის სამხედრო შემადგენელი, რაც ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნას, კოლექტიური შეიარაღებული ძალების კავშირის სივრცეში "სტაბილურობისა" და შიდა კონფლიქტების ჩასაქრობად ფორმირებას გულისხმობს, აგრეთვე ახალი წარმონაქმნის გარეპერიმეტრის საზღვრების დაცვას ნიშნავს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევრაზიული კავშირის პოტენციური წევრი ქვეყნები კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე ხელმომწერები არიან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და თურქენეთი. კასპიის ზღვაში რუსეთის სამხედრო ფლოტს ისედაც დიდი უპირატესობა ჰქონდა და მის მოდერნიზაციას კვლავ აგრძელებს, ამის პარალელურად თურქენეთი რუსეთის დახმარებით საკუთარი ფლოტის შექმნის სურვილს გამოთქვამს. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქენეთი უკვე საკმაო ხანია წეიტრალიტეტის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს ატარებს. საკუთარი სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად ასეთი სტატუსის მოპოვება, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი სურვილით არც ერთ ქვეყანას შეუძლია - ამისათვის გლობალური აქტორების შეთანხმებაა საჭირო. სხვა კასპიისპირა ქვეყნების ორიენტაცია ევრაზიულ კავშირზე, პრაქტიკულად, ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობას სრულად განსაზღვრავს. სომხეთი მიუხედავად იმისა, რომ კომპლემენტარიზმის პოლიტიკას ატარებს, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრია. აზერბაიჯანი წარმოადგენს რა "ევრაზიული ბალკანეთის" საყრდენ წერტილს,

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სასიცოცხლოდ აუცილებელი "გასაღებია" კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების დასავლური ენერგოპროექტების რეალიზაციისათვის. აზერბაიჯან-თურქეთის თანამშრომლობა ის რეალია, რომელმაც ამ ქვეყნების გათვლებით, ხელი უნდა შეუშალოს რუსეთს, გახდეს მონოპოლისტი კავკასიაში და დაკარგოს გავლენა ცენტრალურ აზიაში, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ აზერბაიჯანი განსაკუთრებით ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში რუსული გავლენისადმი მოწყვლადია. გამოდის, რომ საქართველო რეგიონის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც დასავლეთისადმი მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები აქვს, უსაფრთხოების საკითხებში ნატოსადმი სწრაფვით გამოირჩევა და ა.შ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში სტრატეგიულ პრიორიტეტებთან დაკავშირებით საქართველოც რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავს მდგომარეობაში იყო. 2003 წლის მარტის სოჭის სამიტზე პრეზიდენტების შეხვედრისას დეკლარირებული იყო სტრატეგიული პარტნიორობა როგორც რუსეთთან, ისე აშშ-სთან. იმ დროინდელი მმართველი გუნდის საარჩევნო კოალიცია მრავალვექტორულობის ე.წ. ჯვარისებრი კონცეფციით გამოდიოდა. ჩემი აზრით, ეს საგარეო პრიორიტეტებთან მიმართებაში ჩამოუყალიბებლობა და მყიფე ფაქტიური ნეიტრალიტეტი იყო. დღეისათვის კი ვითარება შეცვლილია, საქართველო "ევრაზიულ ბალკანეთში" დასავლეთისთვის ყველაზე საიმედო პარტნიორად რჩება. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მისი გეოპოლიტიკური ხასიათი, რაც მოგვიანებით პრეზიდენტმა მედვედევმაც აღიარა, მან თქვა, რომ ეს ომი რუსეთს ნატოს გაფართოების შესავავებლად სჭირდებოდა. ჩემი აზრით, სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა "წავიკითხოთ" მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს დაგეგმილი აშშ - საქართველოს პრეზიდენტების უმაღლესი დონის შეხვედრა და ამ კონტექსტშია მოლოდინები ჩიკაგოს ნატოს სამიტთან მიმართებაშიც.

**რა გავლენის მოახდენა შეუძლია ევრაზიულ კავშირს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე?**

უმნიშვნელოვანესი საფრთხეა საქართველოსთვისაც და ზოგადად სამხრეთ კავკასიისთვისაც სეპარატისტული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება. ასეთ შემთხვევაში კი ადვილი წარმოსადგენია, რას გამოიწვევს საქართველოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილის და მისი ოკუპირებული რეგიონების ორ პოლარიზებულ სამხედრო ბლოკში (ნატო - ევრაზიული კავშირი) აღმოჩენა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება გაერთიანების პოტენციური წევრი ქვეყნების მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე ვერ მოხდება. ეს კი არცთუ მარტივი საქმეა. ცენტრალური აზიისა და სხვა პოსტ-საბჭოთა, ევრაზიული კავშირის პოტენციურ ქვეყნებს მთელი რიგი საერთაშორისო ვალდებულებები გააჩნიათ, რაც მათ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების არეალს უზღდავს.

**რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას...**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

იმ ფონზე, თუ როგორ აგვარებს რუსეთი რელიგიურ ექსტრემიზმასა და ტერორიზმთან დაკავშირებულ საფრთხეებს, პროგნოზირებადია ცენტრალური აზის რეგიონში სტატუს-კვოს დარღვევით გამოწვეული ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ახალი ტალღა. რის წინააღმდეგაც ეფექტიანი წინააღმდეგობის რესურსი არც რუსეთს, არც ევრაზიულ კავშირს არ გააჩნია და ეს სამხრეთ კავკასიაზეც აისახება.

**თქვენი აზრით, რა გახდა კრემლისთვის ევრაზიული კავშირის შექმნის იდეის პედალირების მიზეზი?**

რუსეთში 2011 წლის დეკემბერში პროცესებმა კულიმინაციასა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. დასავლეთის დასამშვიდებლად და შიდა მოლოდინების შესაქმნელად განსაზღვრულმა მედვედევის ლიბერალურმა ფასადმა აღარ იმუშავა. დუმის არჩევნებმა და პუტინის ახალ საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენამ რუსეთის რეფორმირებასა და დემოკრატიზაციასთან მიმართებაში ყველა ილუზია დაამსხვრია. რუსეთში საპროტესტო გამოსვლების ტალღა დაიწყო, ქვეყანა დადგა ახალი რეალობის წინაშე - მოსკოვი იძულებულია ახალ იდეოლოგიურ სივრცეში აიღოს სტარტი. სწორედ ახლადშექმნილმა გარემოებებმა უბიძგა რუსეთის მმართველ ელიტას ევრაზიული იდეოლოგია "გაელვიძებინა". 2000 წლიდან რუსეთში ხელისუფლება მონოპოლისტურად აკონტროლებდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, ინფორმაციულ და სოციალურ-კულტურული ცხოვრების პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად, კრემლი წყვეტდა, ვინ უნდა ყოფილიყო სისტემის შიგნით თუ გარეთ. ასე წყდებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო მარგინალი და ვინ ჩართულიყო დიდ პოლიტიკაში. ყველა ხვდება, რომ არსებული ეკლექტიკური, ერთმანეთზე მკაცრად გადაბმული "ლიბერალიზმი" და "პატრიოტიზმი" მომავალ ათწლეულში ვეღარ იმუშავებს.

ჩემი აზრით, სწორედ ამ ფონზე ხდება რუსეთში ევრაზიული იდეოლოგიისა და ევრაზიული კავშირის შექმნის ინიციატივების წამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2000-2004 წლებში ეს კონცეფციები გარკვეულწილად იგნორირებული იყო მმართველი ელიტის მიერ იმ დონეზე, რომ 2003 წლის დუმის არჩევნებში არც ერთ ევრაზიული მიმართულების პოლიტიკურ ძალას არ გაამარჯვებინეს: ბლოკი "დიდი რუსეთი, ევრაზიული კავშირი" სამარცხვნოდ "ჩავარდა" დუმის არჩევნებში. შეგახსენებთ, რომ არჩევნებში ერთმანეთს ევრაზიული მიმართულების რამდენიმე პარტია დაუპირისპირდა, ევრაზიულმა პარტიამ (დეპუტატი ა. ნიაზოვი, ბოროდინი), პარტია ევრაზია (დუგინი) და სხვა ევრაზიული მიმართულების პოლიტიკურმა ძალებმა სათათბირო დუმაში მოსახვედრი 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს. ეს კი კრემლის ადმინისტრაციის ნების გარეშე არ მომხდარა.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

რა გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიული ასპექტებს ხედავს კრემლი ევრაზიულ კავშირში?

ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში რუსეთის ინტერესები ევრაზიულობის რამდენიმე მთავარ პრინციპზეა აგებული. მათგან აღვნიშნავდი მრავალპოლარულობის შექმნის იდეას, გავლენის რეგიონალური პოლუსებით; სწორედ მრავალპოლარულობის მოდელიდან გამოდის მათი პოლიტიკური ფილოსოფიის მეორე შემადგენელი - პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაცია. ამ ინტეგრაციის მიზეზია ის ფაქტი, რომ კრემლი აცნობიერებს: რუსეთი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად თვითმყოფადი და დასრულებული პოლუსი გახდეს. მას სჭირდება მოკავშირები და ინტეგრაცია. რუსეთს სჭირდება უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზიის სიღრმეებში შესვლა, გაერთიანებული ენერგეტიკული, ეკონომიკური, სამხედრო სტრატეგიული პოტენციალი, სასარგებლო წიაღისეული და მათი გატანის მარშრუტები, აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიური დერეფანი იგულისხმება.

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 19.01.2012

## **მულტიკულტურიზმი პრაქტიკაში ახალისებს ეთნოცენტრიზმს და ასუსტებს ინტეგრაციულ პროცესებს \_ ანალიტიკოსი**

ევროპაში მულტიკულტურულობის ისედაც მყიფე სტაბილურობა სერიოზულ დარტყმის ქვეშ დააყენა ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტების ახალმა ნაკადმა. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მრავალკულტურულობის გამოწვევებთან შესაბამისი მიდგომების დასამუშავებლად. გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი რეგიონიც. ახალ რეალობაში კულტურული მრავალფეროვნებისადმი სახელმწიფოს რეაგირების საკითხებზე „მედიანიუსი“ ანალიტიკოსს უსაფრთხოების საკითხებში, ბესიკ ობოლაძეს ესაუბრა.

\_ დასავლური ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი ამოცანაა მოიძებნოს გზა, რომელიც უმცირესობებსა და უმრავლესობას არაკონფლიქტური თანაცხოვრების პირობებს შეუქმნის. რა უნდა გააკეთოს ჩვენმა სახელმწიფომ ამ მიზნის მისაღწევად? როგორია საერთაშორისო გამოცდილება.

\_ პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ კულტურული მრავალფეროვნებისადმი რეაგირების რა მოდელებია შესაძლებელი თანამედროვე პირობებში. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ისეთი ორი პარამეტრის ურთიერთმიმართების ანალიზი, როგორიც არის სახელმწიფოს დამოკიდებულება კულტურათა ინტეგრაციისადმი და სახელმწიფოს

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დამოკიდებულება სახელმწიფო ცხოვრებაში კულტურული უმცირესობის  
მონაწილეობისადმი.

სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების რა ვარიანტებია: ერთი უკიდურესობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ქვეყანაში არსებულ კულტურულ უმცირესობებს უბრალოდ ართმევს შესაძლებლობას გახდეს საზოგადოების წევრი, ართმევს მათ რა ინტეგრაციის შესაძლებლობას. იგივე კატეგორიაში გადის ის ვარიანტი, როდესაც „გარეშეებს“ ქვეყნის კარებს უკატავენ ან ადგილი აქვს ქვეყნიდან კულტურული უმცირესობების გაძევებს (ლია თუ შეფარული ფორმით). საპირისპირო უკიდურესობაა, როდესაც სახელმწიფო გარკვეული ეთნიკური ჯგუფებისაგან ითხოვს ერთიან საზოგადოებაში ინტეგრაციას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ეს არ სურთ. ერთი უკიდურესობაა კიდევ ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაცია, ანუ როდესაც არსებობს ეთნიკური კვოტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სხვადასხვა თანამდებობებისათვის შრომის ბირჟაზე და ა.შ. დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიებში აღნიშნულ მიდგომას ჰყავდა მოწინააღმდეგები, იმდენად რამდენადაც ლიბერალიზმის საფუძველია ფორმალური თანასწორობა. თუმცა იქვე არსებობდა დათქმა, რომ ეს პოზიტიური დისკრიმინაცია დროებითი მოვლენა იყო და ინტეგრაციის შემდგომ ასეთი მიდგომის აუცილებლობა აღარ იქნებოდა. ამან შედეგი არ გამოიღო, ანუ უმცირესობის ინტეგრაცია არ მოხდა, განსაკუთრებით პოლიტიკურ ერთობაში. გავიდა ათეულობით წლები და გაირკვა, რომ ამ პოლიტიკიდან უარის თქმაც აღარ შეიძლება. განათლებაზე და შრომის ბირჟაზე უმცირესობისათვის უპირატესობა იმდენად კარგი იყო, რომ ისინი შეეწინააღმდეგენ ამის დაკარგვას. მიიღეს ახალი რეალობა - სეგრეგაცია ეთნოპრინციპზე კი არ გადაილახა, არამედ გახდა ნებაყოფლობითი.

ჩვენ ჩვენი რეალობიდან და მიზნებიდან უნდა გამოვიდეთ. რეალურ ცხოვრებაში პოლიტიკური სისტემა არაა აუცილებელი, რომ გადავარდეს უკიდურესობებში. მას შეუძლია დაიკავოს შედარებით შუალედური პოზიცია ინტეგრაციის შენელებისა თუ წახალისების რეჟიმში, ან უბრალოდ „მოთმენით“ შეხვდეს მათ, ვინც ისწრაფვის ინტეგრაციისაკენ და ამავდროულად არ შექმნას არც სტიმულები და არც წინააღმდეგობები. ასეთივე ზომიერი შეიძლება იყოს სახელმწიფო მათ სწრაფვასთან მიმართებაში, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ცხოვრებაში. ამ ამპლიტუდაში შეიძლება არსებობდეს მთელი რიგი პოლიტიკური მიდგომები.

ჩვენთვის უფრო მისაღებია მრავალკულტურულობის გამოწვევებთან მიმართებაში „კულტურული კონსერვატიზმის“ პოზიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური სისტემის მდგრადობისათვის აუცილებელია ლიბერალურ-დემოკრატიულმა სახელმწიფომ გამოავლინოს წინდახედულობა, საკუთარ რეალობაზე, ისტორიულ გამოცდილებაზე, „კულტურულ მეხსიერებასა“ და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განსაზღვროს თავის საზოგადოებაში ინტეგრაციის რიტმი და ხარისხი.

\_ რას იტყოდით მრავალკულტურულობის გამოწვევასთან მიმართებაში მულტიკულტურულ პოლიტიკაზე?

\_ მულტიკულტურიზმი გულისხმობს სხვასდასხვა საფუძველზე (ეთნოკულტურულ, კონფენსიურ და ა.შ.) შექმნილი სოციალური სტრუქტურების ურთიერთებაზე აგებულ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საზოგადოებას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მულტიკულტურიზმი მოიცავს კანონმდებლობას მოქალაქეობის შესახებ, სოციალური დაცვის სისტემას და ზოგადად ერთიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავებას, განათლებას, საარჩევნო სისტემას, შრომით უფლებებსა და ზოგადად შრომითი ბაზრის მთელ რეგულაციას, სამიგრაციო კანონმდებლობას და ა.შ. ფაქტობრივად, მულტიკულტურიზმი ეს არის ერთიანი საზოგადოების უარყოფა და სხვადასხვა ერთობების (კულტურული, კონფესიური) კონგლომერატი საერთო მოქალაქეობით. ეს არის თვისობრივად შეცვლილი საზოგადოება, ე.წ. პოსტმოდერნიზმის საზოგადოება. მულტიკულტურულობასა და მრავალკულტურულობას შორის არ ისმის ტოლობის, იგივეობის ნიშანი. მულტიკულტურიზმი არ არის ინტეგრაციული მოდელი, ეს არის ერთი ხელისუფლების ქვეშ მეზობლური თანაცხოვრება ეთნოსებისა, რომლის გარშემო აღმოცენდა სრულიად ახალი კულტურის ქსელი, ახალი სტანდარტებითა და ღირებულებებით და დაპირისპირებულია, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის ღირებულებებთან. სხვა საკითხია რამდენად მიიღწევა ახალ საზოგადოებაში იდეალების ჩამოყალიბება ანუ აზრობრივი ერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არის სხვადასხვა ხალხების (შესაძლოა ერთ ენაზე მოლაპარაკე) ერთ ტერიტორიაზე თავმოყრა. დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქმე გვაქვს არა კონფესიურად „პოლარული“ ცივილიზაციების შეჯახებასთან, როგორიც იყო თუნდაც ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, არამედ საქმე გვაქვს ტრადიციული ხასიათის ცივილიზაციების (მათ შორის მიმღები ქვეყნის ტრადიციული კულტურა) შეჯახებასთან ახალ გლობალისტურ პოსტმოდერნისტულ წესთან.

მთავარი რაზეც ყურადღებას გავამახვილებდი, არის ის, რომ მულტიკულტურიზმის პოლიტიკის კონტექსტში კულტურა და ცივილიზაცია სრულებით არ გულისხმობს იმ შინაარსს, რომელსაც ჩვენ ვდებთ ზოგადად ცივილიზაციებისა და კულტურების კონფლიქტების შინაარსში. აღნიშნულ კონტექსტში უნდა „წავიკითხოთ“ მულტიკულტურიზმის პოლიტიკის თეორიტიკოსების რეკომენდაციები და გავიაზროთ თუ ჩვენ ამ გზას ვირჩევთ, მულტიკულტურული საზოგადოების შექმნა თვითმიზანია თუ ქვეყნის განვითარების ინსტრუმენტი.

— რამდენად საინტერესოა მულტიკულტურიზმის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისათვის? რა უნდა გავითვალისწინოთ?

— მულტიკულტურიზმის პოლიტიკის თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის მულტიკულტურიზმის საზოგადოების შექმნისათვის ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა. ჩართული იყო სამი დონის ურთიერთქმედება: ეთნიკურ-კონფესიური მოცემულობა, ნორმატიული ბაზის მომზადება და მიზანმიმართული მოქმედების პოლიტიკა. ეთნიკური მიგრანტები შედიოდნენ ხანგრძლივ მულტიკულტურულ ურთიერთობებში დომინირებულ ჯგუფებთან უკვე ახალ პირობებში, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. ანუ ყოფითი დონიდან ხდებოდა გადასვლა საწარმოო დონეზე. ახალი ეპიკა, გლობალური ეკონომიკა ქმნიდა ახალ მოთხოვნებს. ასეთ პირობებში მულტიკულტურიზმის პოლიტიკა იქცა, როგორც ინსტრუმენტი, სტრატეგია ახალ მოთხოვნებზე მორგებული „ახალი საზოგადოების“ შესაქმნელად. დღევანდელშა მიგრაციულმა კრიზისმა აჩვენა ამგვარი მიდგომებით შემდგარი სტაბილურობის სიმყიფე.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

კლასიკური ლიბერალიზმის მულტიკულტურიზმი არის უკიდურესი ტოლერანტობის მდგომარეობა. ის „მომთმენია“ იმდენად, რომ მზად არის შეეგულს, „აიტანოს“ თავის საზოგადოებაში ისეთი კულტურული ერთობები, რომლებიც მის წინააღმდეგაა განწყობილი. ამასთან, ის არ ანიჭებს არანაირ უპირატესობას ან დაცვას არცერთ კონკრეტულ ჯენტს ან ერთობას, ის არავის უშლის ხელს ისწრაფვოდეს თავისი კონკრეტული მიზნის რეალიზაციისაკენ ან შეინარჩუნოს გარკვეული ტრადიციები. ამასთანავე არ ახალისებს, არ უწევს სუბსიდირებას ან უპირატესობას არცერთ მიმართულებას.

საორიენტაციოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კლასიკური ლიბერალიზმის მულტიკულტურიზმის ვარიანტი წარმოადგენს „ბოლო გაჩერებას“ მულტიკულტურიზმის პოლიტიკაში. მართალია, არცერთი დღეისათვის რეალურად არსებული სახელმწიფო არ ისურვებს და ვერც შეძლებს შექმნას და მითუმეტეს შეინარჩუნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციის მსგავსი ფორმა, მაგრამ ჩვენთვის მაინც ძალზედ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად შეიძლება წაგვიყვანოს მულტიკულტურიზმის პოლიტიკამ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით ლიბერალური დემოკრატიების შიგნითაც სერიოზული წინააღმდეგობებია მულტიკულტურიზმის პოლიტიკისა და მისი სხვადასხვა ფორმების მიმართ. მოტივები სხვადასხვაა: მაგ. ქვეყანაში ყველა კულტურული ერთობა უნდა ატარებდეს ლიბერალურ ხასიათს. არალიბერალური ტრადიციების მატარებელი ერთობებისადმი არ შეიძლება იყოს ტოლერანტული დამოკიდებულება, რომ აღიარებს კოლექტიური სუბიექტის უფლებებს (ეთნიკური და კონფესიური ერთობებისადმი) და ა.შ.

მაგრამ, ჩვენთვის მთავარი სხვა რამ არის - ჯერ კიდევ ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისა და მიგრანტების ნაკადის გაჩენამდე იჩინა თავი ევროპაში მულტიკულტურიზმის პოლიტიკის არაეფექტურობამ. პირველ რიგში, აღვნიშნავდი, რომ მულტიკულტურიზმი პრაქტიკაში ახალისებს ეთნოცენტრიზმს და ასუსტებს ინტეგრაციულ პროცესებს. აღნიშნული კი ქმნის წინაპირობებს ნაციონალიზმის, დისკრიმინაციისა და ქსენოფონბისთვის. მულტიკულტურიზმის მოწინააღმდეგები მიუთითებენ აგრეთვე, რომ მულტიკულტურიზმის პოლიტიკის პირობებში მატულობს ეთნიკური დაპირისპირებისა და სეპარატიზმის რისკი. მათი აზრით, მულტიკულტურიზმის პოლიტიკა არის პირველ რიგში, უმრავლესობის დისკრიმინაციის პოლიტიკა იმდენად, რამდენადაც აძლევს მათ გაცილებით ნაკლებ შესაძლებლობებსა და არჩევანს.

საინტერესოა, რომ მულტიკულტურიზმის პოლიტიკას შედეგების თვალსაზრისით ახასიათებს ორი უკიდურესობა: გარკვეული პერიოდის უკან მულტიკულტურიზმის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოება არ გახდა უფრო ინტეგრირებული, რომ ძირი ეთხრება საერთო-ეროვნულ, საერთო-სამოქალაქო პატრიოტიზმს და თვით მისი აღმოცენების საფუძვლები ირყევა. დღევანდელი მიგრაციული

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

კრიზისების პერიოდში კი მეორე უკიდურესობამ იფეთქა ნაციონალიზმისა და ქსენოფობის სახით.

**რაც შეეხება იმ ქვეყნებს, ვინც მრავალკულტურულობის გამოწვევებთან მიმართებაში აირჩიეს არა ინტეგრაციის, არამედ ასიმილაციის გზა?**

დღევანდელი რეალობაა, რომ მიმღებ ქვეყნებს აღარ შეუძლიათ ასიმილირება, მიგრანტებს კი არ სურთ. არ იმუშავა მრავალკულტურულობის გამოწვევებთან მიმართებაში ზოგიერთ ქვეყანაში შემუშავებულმა რამდენიმე საფეხურიანმა გეგმამაც: ამ სქემით პირველი საფეხური გულისხმობდა არა ინტეგრაციას, არამედ ასიმილაციას და სხვა კულტურული ერთეულების იზოლაციას პოლიტიკური ცხოვრებიდან. შემდგომი ეტაპი იყო მიგრანტების მეორე თაობის ჩართვა კულტურულ- სოციალურ - პოლიტიკურ ცხოვრებაში და დასკვნითი ეტაპი უნდა ყოფილიყო მსოფლიო გლობალურ სივრცეში კოსმოპოლიტური ღირებულებების სტიმულირება.

**მრავალკულტურულობის გამოწვევებთან დაკავშირებით ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე რა უნდა გაკეთდეს?**

საჭიროა უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ყველა სუბიექტისათვის ერთობლივი მიდგომის შემუშავება და მოქმედება. სუბიექტური ნიშნით კერძო ინიციატივები რეგიონალურ დონეზე, ან თუნდაც ერთი-ორი ცენტრალური უწყების დონეზე საკითხისადმი გამარტივებული მიდგომაა. კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა, როდესაც სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაცია, არასამთავრობო სექტორი მიუთითებს სხვადასხვა დარღვევაზე (სხვა საკითხია ისინი რა სტანდარტით აკეთებენ თავიანთ დასკვნებს) და ხელისუფლება ცდილობს „ხანძრის ჩაქრობას“. აღნიშნულს ემატება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მითითებები, რომლებიც ასევე სხვადასხვა ლიბერალურ მიმართულებებს წარმოადგენენ და ა.შ. ჯამში ყოველივე ზემოთაღნიშნულმა შეიძლება სხვადასხვა ნეგატიური პროცესების პროვოცირება გამოწივიოს.

მთავარია, ამოვიდეთ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან. სხვადასხვა ნეგატიურ პროცესებთან (ნაციონალისტური, სეპარატისტული) მიმართებაში საფრთხის მატარებლებს (საფრთხის სუბიექტი) შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეული მომრაობა, კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის გარკვეული წრეები და ა.შ. გამოწვევებთან მიმართებაში კონფლიქტურობის ხარისხის დასაწევად აუცილებელია გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს არ შეუწყობს ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის მატარებელი სუბიექტების აღმოცენებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: მიგრაციული თუ სოციალური კრიზისების ფონზე იზრდება ლუმპენების როლი. ლუმპენიზაცია კი ძალზედ საშიში მოვლენაა საზოგადოებისათვის, იმდენად, რამდენადაც ნიადაგს ქმნის სხვადასხვა დანაშაულებრივი

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

და ექსტრემისტული ფორმირებების აღმოცენებისათვის. გარკვეული თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ რეზერვს ან უფრო მეტიც ბაზას, სხვადასხვა ძალაუფლებისათვის მებრძოლი რეაქციული ძალებისათვის. უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, სწორედ ასეთ ბაზებზე დაყრდნობით განხორციელდა „არაბული გაზაფხულისა“ თუ პოსტსაბჭოთა სივრცის ე.წ. ფერადი რევოლუციები.

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 12.5.2012

### ნაციონალური უსაფრთხოების „ხერხემლის“ ანატომია<sup>2</sup>

რთული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე უფრო სერიოზულ დეფიციტად ახალი მიდგომებისა და იდეების ნაკლებობაა. ეს ეხება უსაფრთხოების სფეროსაც, მის თეორიულ და პრაქტიკულ განზომილებებს.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ მივიღეთ ქვეყნის უსაფრთხოების ახალი პარადიგმა. ამჟამად არსებობს ობიექტური წინაპირობები იმისათვის, რომ შეიცვალოს აქამდე არსებული ქვეყნის უსაფრთხოების მიდგომები და ამის მიზეზი ისაა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების აქამდე არსებულმა სისტემამ სრული კრახი განიცადა. „არაპროფესიონალური იქნება იმაზე საუბარი, რომ პრობლემა მხოლოდ სასჯელადსრულების სისტემაში იყო. აქ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე პრინციპულ საკითხს, თუ რატომ განიცადა კრახი აქამდე არსებულმა ერთიანი უსაფრთხოების სისტემამ“, - აცხადებს „For.ge“-სთან საუბარში ექსპერტი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში, ბესიკ ობოლაძე. იგი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების მთელ

---

<sup>2</sup> [http://for.ge/view.php?for\\_id=18927&cat=3](http://for.ge/view.php?for_id=18927&cat=3)

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

კასკადზე ამახვილებს ყურადღებას, რამაც ქვეყანა საკმაოდ რთულ ვითარებაში დააყენა და დღის წესრიგში კვლავ და მორიგად სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების აუცილებლობა დააყენა

“For.ge” ბესიკ ობოლაძეს ესაუბრება

უპირველესი შეცდომა, რამაც გამოიწვია სისტემის კრახი ისაა, რომ უსაფრთხოების სისტემა მორგებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ სახელმწიფოზე და არა უფრო მაღალი კატეგორიის სისტემაზე – ქვეყანაზე, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეროვნულ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ერთობებს, ტერიტორიას და ა.შ. ანუ ქვეყნის უსაფრთხოებამ უნდა მოიცვას სახელმწიფოებრივი, სოციალური, კულტურული, (მათ შორის ინტელექტუალური და ინფორმაციული) პოლიტიკური, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ა.შ. ამ მიდგომებით სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში ღებულობს სერიოზულ საპირწონეს, მათ შორის – საზოგადოების სახით, და ეს არ მოქმედებს სახელმწიფოს საზიანოდ, არამედ პირიქით, წინააღმდეგობას უწევს მის საზოგადოებისაგან განცალკევებას, ხელს უწყობს მის განვითარებას და მომართულია სტაბილურად ფუნქციონირებასი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნაზე.

თავის დროზე თქვენ უშიშროების რეფორმებზე მუშაობდით...

- დიახ, მე მომიწია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებზე მუშაობა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ჩემს მიერ მომზადებულმა შესაბამისმა ნაშრომმა და კონცეპტუალურმა პრინციპებმა თავის დროზე ნორმალური შეფასება მიიღო როგორც უშიშროების საბჭოდან, ასევე უშიშროების სამინისტროდან. როდესაც მე ვხელმძღვანელობდი უშიშროების სამინისტროს ანალიტიკურ ბიუროს, მისგან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობდი სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით (მაშინ ის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე იყო). სამწუხაროდ, როდესაც ზურაბ ადეიშვილი გახდა უშიშროების მინისტრი, პროცესები არასასურველი მიმართულებით წავიდა. როგორც ექსპერტმა უსაფრთხოების

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საკითხებში, მას მივუთითე კიდეც როგორც პირად საუბრებში, ასევე ტელედებატებისას “რუსთავი 2” –ის ეთერით (მგონი, ეს იყო ერთადერთი მისი ტელედებატი), რომ პროცესები უსაფრთხოების სისტემაში ყველაფერი მიჰყავდათ არასწორი მიმართულებით და ამის შედეგებსაც დღეს ვიმკით.

### სისტემა არც პიროვნებაზე ზრუნავდა...

აქამდე არსებული უსაფრთხოების სისტემის კატასტროფული შეცდომა იყო იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობაც, რომ პიროვნება, როგორც საზოგადოების საწყისი უჯრედი და უმაღლესი სოციალური კატეგორია, საჭიროებს პრიორიტეტულ დაცვას. პიროვნების სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების დაცვას აქვს უპირველესი მნიშვნელობა, შესაბამისად, იგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან მოითხოვს გარკვეულ გარანტიებს. როდესაც ვსაუბრობთ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნვლეყოფა, ჩვენი განმარტებით, გულისხმობს ამ სამი ელემენტის უსაფრთხოების ინტეგრირებულ გამოხატულებას.

როდესაც არ არის უზრუნველყოფილი კონკრეტული პიროვნების უსაფრთხოება, შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ზოგადად, უსაფრთხოება. პიროვნების ინტერესების დაუკმაყოფილებლობა ქმნის წინაპირობებს მყარი სოციალური დაძაბულობისაკენ, აქედან გამომდინარე, ხდება საზოგადოების გახლეჩა სხვადასხვა წინააღმდეგობრივ ანტაგონისტურად განწყობილ დაჯუფებებად. ასეთ პირობებში საფუძველი ერყევა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას და სუსტდება მისი საერთო პოტენციალი, ვიწროვდება სახელმწიფოს საყრდენი სოციალური ბაზა, იკარგება საზოგადოების იმ ნაწილის მხარდაჭერა ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების საქმეში, რომელსაც გააჩნია დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ის სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა სოციალური ფენის (ან უმეტესობის) ინტერესების დაცვას, ფლობს უსაფრთხოების უფრო მაღალ იმუნიტეტს, ვიდრე ის, რომელიც ეყრდნობა ვიწრო სოციალურ ბაზას, მცირერიცხოვან პოლიტიკურ ელიტას. ასეთი ქვეყნები, როგორც

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

წესი, იმულებულნი ხდებიან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენონ რეპრესიული და სხვა იმულებითი ღონისძიებები. შესაბამისად, ინგრევა უპირველესი დემოკრატიული ღირებულებები, ხდება უმკაცრესი ზეწოლა „სხვაგვარ აზროვნებაზე“, იდევნება ნებისმიერი კრიტიკა, უკმაყოფილება პოლიტიკური რეჟიმისადმი. 7 ნოემბრის, 26 მაისის ცნობილი მოვლენები, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე არსებული მდგომარეობა აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

### ეგებ განვიმარტოთ, რას გულისხმობთ „საფრთხეში“?

კიდევ ერთი დიდი შეცდომა იყო ის, რომ დიდი ალბათობით ქართულმა უსაფრთხოების სისტემამ ვერ გაიაზრა ტერმინ „საფრთხის“ შინაარსი. ტერმინ „საფრთხის“ ქვეშ ჩვენ უნდა განვიხილოთ რეალური ან პოტენციური წინააღმდეგობები, რომელიც ვითარდება ან შეიძლება განვითარდეს საზოგადოებაში სხვადასხვა ნაციონალურ, რელიგიურ, სხვა სოციალურ ფენებსა და დაჯგუფებებს შორის, საზოგადოებასა და სახელმწიფოს, სახელმწიფოში ხელისუფლების შტოებს შორის, იმ ძალებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, წინააღმდეგობები ეროვნებათშორის ან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. ნაციონალური უსაფრთხოების სისტემამ, ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა ყველა ზემოთაღნიშნული საფრთხის განეიტრალება, მოახდინა ამ საფრთხეებისა და გამოწვევების აქტივიზაცია. რა თქმა უნდა არსებობს საფრთხეები, რომლებიც გამოწვეულია ობიექტურად განვითარებული პროცესებით.

### ალბათ ცალკე უნდა გამოვყოთ საფრთხეები, რომლებიც გამოწვეულია გარკვეული მოქმედებებით?

ზოგადეროვნული ინტერესებისადმი საფრთხეების წყაროებად გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება მოვიაზროთ სახელისუფლებო სტრუქტურების შეცდომები, თუნდაც სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების განსაზღვრაში, პრობლემების გამოკვეთაში, უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და აუცილებელი ღონისძიებების სათანადო დონეზე ვერგატარებაში და შეფასებაში, რამდენად რეალურია პოტენციური თუ რეალური საფრთხეები. საფრთხეები შეიძლება წარმოიქმნას ხელისუფლების მხრიდან პილიტიკური თუ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ეკონომიკური მიზნების რეალიზაციისას ავანტიურებისა თუ  
არაპროფესიონალიზმიდან გამომდნარე და ა.შ.

### კიდევ რა შეცდომებს გამოყოფდით?

კიდევ ერთი შეცდომის შესახებ: როდესაც ვსაუბრობთ უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფაზე, აუცილებელია გადაიხედოს საკითხისადმი ისეთი მიდგომა, როგორიცაა სახელმწიფოს მონოპოლია უსაფრთხოების უზრუნვეყლოფის სფეროში.

საზოგადოებრივმა სტრუქტურებმა (საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. პოლიტიკურმა პარტიებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა და ა.შ.) თავიანთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა იპოვონ უსაფრთხოების ერთიანი სისტემის სუბიექტებს შორის, სხვადასხვა ფორმით მიიღონ მონაწილეობა ამ საქმიანობაში, მოახდინონ ანალიზი და პროგნოზირება საკუთარი პოზიციებიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საციცოცხლო ინტერესებისადმი საფრთხეების შეფასებაში, განახორციელონ პროპაგანდისტული უზრუნველყოფა, აუცილებლობის შემთხვევაში-მომზადებული სახელმწიფო გადაწყვეტილებების ექსპერტიზა და ა.შ. ჩვენ კი გვახსოვს, რომ ყველაფერს წყვეტდა ყველას მაგივრად „ხერხემალი“ და მისი დოქსოფულოები. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საქმიანობის დასაწყისი.

### სად ხედავთ სპეცსამსახურის ადგილს უსაფრთხოების ერთიან სისტემაში?

სპეცსამსახურის ადგილი უსაფრთხოების ერთიან სისტემაში კანონმდებლობით უნდა განისაზღვრებოდეს. უსაფრთხოების ერთიან კომპლექსში, სპეცსამსახურის (კონტრდაზვერვითი) ფუნქციაა გაატაროს კონტრზომები ქვეყნის სტრატეგიული, სასიცოცხლოდ აუცილებელი სფეროებისადმი, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან ფარული ქმედებების გამოსავლენად, არდასაშვებად და აღსაკვეთად. ამ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ამოცანების შესასრულებლად სპეცსამსახური იყენებს სპეციალურ ძალებსა და საშუალებებს.

იმის გათვალისწინებით, რომ სპეცსამსახურს მკაფიოდ გამოკვეთილი კონტრდაზვერვითი მიმართულება გააჩნია, ყოველივე ზემოთაღნიშნული მკაფიოდ განასხვავებს მის ფუნქციასა და ამოცანებს უსაფრთხოების ერთიანი სისტემის კომპლექსში, სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისაგან. ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს სპეცსამსახურების ორგანიზაციული პროექტირებაა, ესაა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებერლი კრიზისული სიტუაციები, მოვლენები, როდესაც იზრდება ქვეყნის სტრატეგიული სფეროებისა და მიმართულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის რისკი საშინაო და საგარეო საფრთხეებისადმი. დგება იმის აცუილებლობა, რომ მოხდეს კრიზისული სიტუაციების, მოვლენების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა) პროგნოზირება, ანალიზი და შესაბამისად, გადაიდგას ადექვატური ნაბიჯები იმისათვის, რომ მოვლენები ამდაგვარად არ განვითარდეს.

### ასეთი რამ ქვეყანაში არსებობდა?

ყველაფერს წყვეტდა პრეზიდენტი გარე ფასადების ფერების შერჩევის პარალელურად. ამ დროს კი გვერდზე რჩებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა უცხო ქვეყნების გეოპოლიტიკური მისწრაფებები, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და სხვა სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

### გამოდის, რომ დღემდე სისტემის საქმიანობა არასწორი და ქვეყნისათვის საზიანო იყო?

სისტემის საქმიანობა არ ეყრდნობოდა არანაირ კონცეპტუალურ ხედვას, არ არსებობდა არანაირი სტრატეგია. მუშაობა მიმდინარეობდა ინერციით; შესაბამისად, არ იყო დაგეგმილი, გაანალიზებული და გათვალისწინებული რისკ-ფაქტორები და პოტენციური საფრთხეები,

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

რომელშიც ქვეყანას უწევდა ყოფნა მთელი რიგი შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. შედეგები კი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია. იმეორებდა რა ოპერატიულ საქმიანობაში საბჭოთა სუვ-ის ფორმებსა და მეთოდებს, რომელიც აბოსლუტურად არაეფექტურია დღევანდელი პირობებში, სისტემა ცდილობდა კვლავაც ტოტალიტარული ფორმით წარემართა საქმიანობა რეალურად კი სახეზე იყო ერთგვარი ქაოსი. ხდებოდა ყველას და ყველაფრის უნივერსალიზაცია: დანაყოფების, თანამშრომლების, ოპერატიული საშუალებების. ტოტალიტარული სტრუქტურის მოდელში სტიმულირებული იყო. არა ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლები. შესაბამისად, ასეთი სტრუქტურებისა და მეთოდიკის პირობებში სისტემა უუნარო იყო მიეღო არამცთუ სტრატეგიული, არამედ სახელმწიფო უშიშროების ამოცანებიდან გამომდინარე მეტნაკლებად სერიოზული პირველადი ინფორმაცია და უზრუნველეყო მისი სრულფასოვანი შესწავლა-დამუშავება.

**მიგაჩნიათ, რომ ამ ყველაფერმა სისტემის დისკრედიტაცია გამოიწვია?**

კიდევ ერთი შეცდომა იყო ის გარემოება, რომ უსაფრთხოების წინა სისტემამ მოახდინა სისტემის დისკრედიტაცია. უდავოა, რომ ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გამართულობა, სწორად ორგანიზებული მუშაობა მთლიანობაში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის ეფექტურობას, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც აღდგება ავტორიტეტი და დაძლეულ იქნება საზოგადოების უნდობლობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი.

შეუძლებელია ოპერატიული საშუალებების გამართული სისტემის ფორმირებაზე საუბარი საზოგადოების თანადგომის, ნდობის გარეშე. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის ოპერატიული მეთოდები რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით, მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სახელმწიფოს უშიშროების, ქვეყნის უპირველესი კონსტიტუციური ნორმების დასაცავად. საზოგადოების ნდობა სისტემისადმი კონკრეტულად მისი საქმიანობის ისეთი ასპექტებისადმი, როგორიცაა ოპერატიული მეთოდები, მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ოპერატიული საქმიანობისათვის აუცილებელი ოპერატიული საშუალებების რგოლის, სისტემის ფორმირებისათვის.

**როგორ შეაფასებთ წინა ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას, რომელიც მათ ამ სფეროში წლების მანძილზე ახორციელეს?**

კიდევ ერთი შეცდომა – მათ ვერ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ძლიერი სპეცსამსახურის საკადრო პოლიტიკაში თვით სისტემის ბაზისი თანამშრომელი-პიროვნებაა. ე.წ. ძალოვანი სამინისტრების და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სპეცსამსახურებს, გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმე დიდადა არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დროულად დატოვეს მათ ძველი აზროვნება და რამდენად რეალურია ტოტალიტარული და გარდამავალი სისტემების მენტალიტეტიდან გათავისუფლების ტენდენცია. ამაში მრავალ მომენტს შეუძლია ითამაშოს არსებითი როლი.

სისტემაში ახალი დემოკრატიული წესები შესაბამისი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრებას ხელს შეუშლის რეტროგრადული სისტემის თვითგადარჩენის ინსტინქტი, საერთო საფრთხის შეგნებით მანიპულირება. სისტემის მომავლისათვის აუცილებელია არავინ დარჩეს ძველ მენტალურ განზომილებაში - ძველი მიდგომების, ძველი აზროვნების ტყვეობაში. ბუნებრივია, რომ ამ სისტემის ახალ განზომილებაში გადართვა მთელი რიგი ობიექტური წინაპირობებისა და სუბიექტური მომენტების გათვალისწინებით, ერთ-ერთი ყველაზე რთულად განსახორციელებელი პრობლემაა. საჭიროა, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სისტემამ სასწრაფოდ მონახოს თავისი კუთვნილი, შესაფერისი ადგილი, შეეგულს იმ აზრს, რომ წავიდა ის დრო, როდესაც თვითონ მართავდა ყველას და ყველაფერს. დადგა დრო, როდესაც თვითონ უნდა მოერგოს პროცესებს.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

### ფაქტია, რომ სისტემა დღეს სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას

კიდევ ერთი შეცდომა, რამაც ჩემი აზრით გამოიწვია სისტემის კრახი, ესაა საბჭოური, ტოტალიტარულ სახელმწიფო მოწყობაზე გათვლილი, მმართველობითი სტილი. სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ეს შეეხება სპეცსამსახურებსაც, სადაც ბიუროკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებულ სუბიექტივიზმის, ერთ კაცამდე, ერთ ხელმძღვანელამდე და არა მმართველობით რგოლამდე აყვანილი ცენტრალიზაციის შედეგად, სახეზე გვქონდა უაღრესად დაბალი მმართველობითი და ორგანიზაციული კულტურა. მმართველობითი ტექნოლოგიები, ორგანიზაციული გადაწყვეტილებების გამომუშავების პროცესი და რეალიზაცია არ ეყრდნობოდა არანაირ კონცეპტუალურ პრინციპებს. აქტუალური იყო რა საერთო საფრთხის შეგნებით მანიპულირება, მართვის ავტორიტარული ფორმები და ორმაგი სტანდარტების პრაქტიკა, ჩვეულებრივად რეალური სურათი იცვლებოდა ხელმძღვანელთა სუბიექტური ხედვის ნიშნით შედგენილი ოპერატიული ვითარების ამსახველი ცნობებით, მოხსენებით და ა.შ.

როგორ გგონიათ, სისტემის ახალ განზომილებაში გადართვა მთელი რიგი ობიექტური წინაპირობებისა და სუბიექტური მომენტების გათვალისწინებით ერთი ყველაზე რთულად განსახორციელებელი პრობლემაა?

- ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სპეცსამსახურის ორგანიზაციული და მმართველობითი საქმიანობა უნდა აიწყოს ახალ პრინციპებზე, რომელიც შეესაბამება ახალ რეალობაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნებისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი თვისობრივად განსხავებული მიდგომების პირობებში, სახელმწიფო უშიშროების ამოცანის გადაწყვეტას.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი, განვითარების თანამედროვე ეტაპი დღეს წესრიგში აყენებს საკითხს სპეცსამსახურის

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს რეალობაში სპეცსამსახურების საქმიანობაზე კონტროლის არარსებობის გამო დამდგარი ნეგატიური შედეგები ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საყოველთაოდ ცნობილია. სპეცსამსახურის საქმიანობაზე კონტროლი განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, რომელიც უნდა შეიცავდეს კონტროლის განხორციელების რეალურ მექანიზმებს და რეალურ პასუხისმგებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ სპეცსამსახურების საქმიანობა ატარებს ფარულ, კონფიდენციალურ ხასიათს, დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ყველგან ფუძემდებლური საკითხია პიროვნების უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

მოწინავე ქვეყნების პრაქტიკა გამორიცხავს სპეცსამსახურების საქმიანობაზე კონტროლის ასპექტებში ხელისუფლების რომელიმე შტოს მხრიდან მონოპოლიზებას. თითქმის ყველგან, სპეცსამსახურებზე კონტროლის სუბიექტია პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო. ამას გარდა, სპეცსამსახურები, წარმოადგენენ რა სახელმწიფო ორგანოს, განიცდიან უწყებრივ კონტროლს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფინანსები, ჯანდაცვა, კაპიტალური მშენებლობა და სხვა. გარკვეულ შემთხვევებში, ნორმატიულ ბაზაზე დაყრდნობით, სპეცსამსახურის საქმიანობაზე კონტროლის სუბიექტი შეიძლება იყვნენ კონკრეტული მოქალაქეები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სპეცსამსახურების საქმიანობაზე კონტროლის მექანიზმი მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტები, როგორიცაა კონტროლი სპეცსამსახურების მიერ სპეციალური საშუალებებისა და ძალების გამოყენებაზე, ასევე კონკრეტულ ოპერატიულ მასალების დამუშავებაზე; იმ მოქალაქეთა უფლებები და გარანტიები, რომლებიც იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ სპეცსამსახურთან კონფედენციალურ ურთიერთობაში, ამ საკითხში სრული ქაოსი იყო და მეტი დეტალიზაციისაგან თავს შევიკავებ. კიდევ ერთი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ სისტემის ის სახე, რომელიც აქამდე

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

არსებობდა იყო სპეცსამსახურისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მახინჯი სიმბიოზი. ადგილი ჰქონდა არამარტო სპეცსამსახურის ჩართვას სხვა სამთავრობო სტრუქტურებში, არამედ მას ენიჭებოდა სათავო სტრუქტურის ფუნქციაც და ეს არ იყო მხოლოდ ქვეყნის ერთიანი უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში. დამატებითი ფუნქციები სპეცსამსახურებს უკარგავდა უმთავრეს კონტრდაზვერვით ფუნქციას და მოქმედების პრინციპს: არის და უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ყველგან, რეალურად კი არსად. ყველას კარგად გვახსოვს უსაფრთხოების სისტემის სუბიექტების მიერ ჩატარებული რთველი, ციხე-სიმაგრეები, მშენებლობები და ა.შ.

### კიდევ რა შეცდომებს გამოყოფდით?

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ანალიტიკა. აქ ყურადსაღებია ერთი დეტალი-ანალიტიკოსებს საქმე აქვთ ისეთ მოვლენებთან და პროცესებთან, რომლებიც ძნელად ექცევიან სისხლის სამართლებრივ კლასიფიკაციაში, მოსალოდნელი მძიმე შედეგი – როგორც შეფასება, ხშირად ატარებს სავარაუდო ხასიათს. ამ ვარაუდის შემდგომ, უნდა ხდებოდეს საფუძვლიანი შემოწმება, დამუშავება და ა.შ. მხოლოდ ვარაუდების სამართლებრივ სიბრტყეში გადაყვანა იწვევს კურიოზულ საქმეებს და ეს სასაცილო იქნებოდა სატირალი რომ არ იყოს კონკრეტული ადამიანებისათვის და მთლიანად საზოგადოებისა და ქვეყნის იმიჯისათვის. ანალიტიკოსები უნდა ასრულებდნენ მხოლოდ იმ საქმეს, რაც მათ კომპეტენციაშია და არ აწვდიდნენ, არ უკეთებდნენ თითქმის ყველაფერზე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოხსენებებს. უნდა იყოს მოთხოვნა და დაკვეთა სპეციალიზირებულ ანალიტიკურ პროდუქციაზე, ისეთზე, რომელსაც სხვა უწყებები ვერ შექმნიან. ყველაფერი გამიგია, მაგრამ ზემოდან წამოვიდეს დაკვეთა - ამდენი ჯაშუშია დასაჭერი, ანუ ამის რაოდენობრივი დაგეგმვა სრული აბსურდია. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ასეთი შეცდომების ფართოდ გაშუქება სისტემისა და ქვეყნის იმიჯს სერიოზულ ზიანს აყენებს.

კიდევ ერთი შეცდომაა ერთიანი უსაფრთხოების სისტემის დამოკიდებულება საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებისადმი.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ზოგადად, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებით შეიძლება გამოწვეული იყოს მთელი რიგი საფრთხეები: ზიანი მიადგეს პიროვნების ჯანმრთელობას; გაუცნობიერებელ დონეზე მოხდეს პიროვნების თავისუფალი ნების გამოხატვის ბლოკირება, ხელოვნურად მოხდეს მასზე შთაგონება, მიწოდებულ ინფორმაციაზე დამოკიდებულების სინდრომის ჩამოყალიბება; დააკარგვინოს პიროვნებას უნარი პოლიტიკური, კულტურული, ზნეობრივი თვითიდენტიფიკაციისა; საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირება; დაირღვეს ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო და სულიერი სივრცე; დაირღვეს საზოგადოების ტრადიციული საფუძვლები, მათ შორის ტრადიციული ღირსებები; ზიანი მიადგეს პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესებს;

ჩვენ დასაწყისში ვსაუბრობდით უსაფრთხოების ისეთ შემადგენელზე, როგორიცაა კულტურული უსაფრთხოება და მისი ინფორმაციული შემადგენელი. ქართულ საზოგადოებას არ გაუჭირდება იმის გაანალიზება, რომ ერთიანი უსაფრთხოების სისტემა ზემოთ გამოკვეთილ საფრთხეებთან მიმართებაში იცავდა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, თუ თვითონ იყო თანამონაწილე ამ საფრთხეების აქტივიზაციის. და ყველაზე მთავარი დანაშაული – სპეცსამსახურები იქცა სახელმწიფო ტერორიზმის ინსტრუმენტად.

წყარო: [www.for.ge](http://www.for.ge) 22.11.2012

**პოლიტიკური მონანიება თუ ყველა ციხეში<sup>3</sup>**

---

<sup>3</sup> <http://www.kvirispalitra.ge/politic/15111-politikuri-qmonaniebaq-thu-qyvelani-cikheshiq.html>

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო. ჯერჯერობით უცნობია ის კონკრეტული საქმეები, რომლითაც საპარლამენტო საგამოძიებო კომისია დაინტერესდება. თუმცა, ცნობილია, რომ ეს იქნება ზოგადი მნიშვნელობის საქმეები, რომელზეც კონკრეტული გამოძიება არ მიმდინარეობს. დროებითი საგამოძიებო კომისიის განხილვის არეალში მოხვდება დარღვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების, პროკურატურის, შსს-ს სისტემებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში, რასაც კონკრეტული სახელმწიფო თანამდებობის პირების სამათლებრივი პასუხისგება მოჰყება. მმართველ გუნდში ამას ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის გზად მიიჩნევენ, "ნაციონალური მოძრაობის" წევრები კი საგამოძიებო

კომისიის ამოქმედების შემდეგ პოლიტიკური რეპრესიების მორიგ ტალღაზე საუბრობენ. როგორია საერთაშორისო პრაქტიკა ამ თვალსაზრისით და აუცილებელია თუ არა პოლიტიკური მეხსიერების წმენდა - ამ შეკითხვებით ჩვენ უსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, ბესიკ ობოლაძეს მივმართეთ.

ბესიკ ობოლაძე: "საზოგადოება, რომელმაც გადაიტანა მასობრივი რეპრესიები, როგორც წესი, არაა მზად შერიგებისა და პატიებისთვის. ძალიან ხშირად, მორალური და ფიზიკური ზიანი, რომელიც ამ რეპრესიებმა მოიტანა, ბევრისათვის გამოუსწორებელი შედეგით მთავრდებოდა. საზოგადოებაში მუდამ იარსებებს მოთხოვნა, რომ დამნაშავები დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით, თუმცა, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც ცხადყოფს, რომ სამართლიანობის აღდგენა ყოველთვის იქნება გარკვეულწილად შეზღუდული. სამართლიანობის სრული ზეიმი პრაქტიკულად შეუძლებელია. ძველი სისტემის ფრაგმენტებისაგან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კიდევ იქნება მცდელობა, ბლოკირება გაუწიონ გამოძიების იმ პროცესს, რომლის შედეგადაც მათ პასუხისგება მოუწიათ.

ასეთ პირობებში ძალიან ძნელია, აიგოს შესაფერისი დამოუკიდებელი იუსტიციის სისტემა. მუდამ იქნება ისეთ პრობლემებზე აპელირება, როგორიცაა საჭირო რესურსების არარსებობა, კადრების უკმარისობა და რაც მთავარია, შეუძლებელია იურიდიული კულტურის ჩამოყალიბება, თუკი არ იარსებებს მასში დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტი. არსად არ მომხდარა ისე, რომ გარდამავალი პერიოდის თუნდაც სამართლიანობის ეფექტურმა სისტემამ, სამუდამოდ დაგვავიწყოს ცუდი წარსული. რეპრესიული რეჟიმების შემდგომ პერიოდებში იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც მიზეზთა გამო ტრადიციული მართლმსაჯულება სრულად ვერ პასუხობს სიტუაციის მოთხოვნებს.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ის საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია რეპრესიული რეჟიმების შემდგომ, სხვადასხვა ქვეყნებში "სიმართლის დადგენისა და შერიგების კომისიების" საქმიანობასთან. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი კომისიების წინაშე დგას ამოცანა, მოძიებულ-ამორჩეულ იქნას წარსულის ისეთი ხედვა, რომელიც საშუალებას იძლევა, შედგეს ე.წ. საერთო თანხმობა. ეს პროცესი გულისხმობს გაირკვეს, რა სჭირდება საზოგადოებას - "მოვლენათა სამართლებრივი შეფასება-გადმოცემა", თუ წარსულის ისეთი ხედვა, რომელიც ემსახურება კონსენსუსს, რადგან "სიმართლის დადგენისა და შერიგების კომისიებში" განიხილება აგრეთვე წარსულისაგან განმათავისუფლებელი, აღმდგენი (განმკურნებელი) სიმართლე. აქ საუბარია იმ ფაქტების გადმოცემაზე, რომელსაც წარსულთან აქვთ კავშირი და ხდება ისეთი ინტერპრეტირება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების შერიგებას და შემდგომ წინსვლას.

საბოლოო ჯამში, ასეთი კომისიების ანგარიში შეიძლება გახდეს საფუძველი ხელისუფლებისათვის, რათა ერთის მხრივ მოხდეს სამართლებრივი სისტემის სრულყოფა, გასამართლდეს რეჟიმი, გავრცელდეს ცნობები ძველი სისტემის დანაშაულებებსა და მათ მსხვერპლზე, მაგრამ მეორეს მხრივ აქ მთავარია ისეთი სიმართლის გარკვევა, რომელიც თანაბარზომადია მორალური დასჯისა, მაგრამ რჩება ადგილი მონანიებისათვის.

### გვჭირდება თუ არა ჩვენ ასეთი სახის კომისია?

სხვადასხვა ქვეყანაში, როდესაც ეცემოდა რეპრესიული რეჟიმები, ხშირად განიხილებოდა საკითხი, რა ვუყოთ წარსულის ტვირთს. ასეთი კომისიები მუდამ იწვევდა როგორც იმედს, ასევე გაურკვევლობას. წარსულის დავიწყება არ მოხერხდება. ვაპატიოთ? მაგრამ პატიობა შეიძლება მხოლოდ პერსონალურად. გავასამართლოთ? ასეთ შემთხვევაში მუდამ ჩნდება შეკითხვები ქვეყნის შიგნით და გარეთ, რომ ეს არის გამარჯვებულების ("ნიურნბერგის სინდრომი") სასამართლო და იგი არ არის სამართლიანი. მოკლედ უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. საბოლოო ჯამში, ჩვენთანაც, ისევე როგორც ყველგან, უპირველესი ამოცანაა, დაიმსხვრეს უკანონობის დაუსჯელობის კულტურა და მომავალში გამოირიცხოს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტები. პირდაპირ უნდა გაცხადდეს, რომ წარსულში სისტემისაგან დაშვებულ სისასტიკეს არ გააჩნია არანაირი კანონიერი საფუძველი (ვერანაირი "ნულოვანი ტოლერანტობა" ან სხვა განმარტება ან თავის მართლება ვერ გამოდგება და უადგილოა) და ეს ყველაფერი იყო დანაშაული. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისტემის რეპრესიების ქვეშ მოქცეულთა სრული მორალური რეაბილიტაცია და გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რომ დაზარალებულმა ხალხმა თვითონ არ აიღოს მართლმსაჯულება ხელში.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დასახელდეს კონკრეტული დანაშაულის ორგანიზატორები და შემსრულებლები.

შერიგება და თანხმობა, რა თქმა უნდა, საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალიზაციისათვის, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რამდენადაა ეს შესაძლებელი განვლილი წლების რეპრესიების ფაქტების სამედო და დოკუმენტირებული ანალიზის გარეშე. უნდა ვიფიქროთ შერიგება-პატიებაზე ხანგრძლივადიან პერსპექტივაში, მაგრამ უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც წინა უსამართლობას გამოასწორებს და უზრუნველყოფს მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამგვარად, უნდა შეიქმნას მოდელი ისეთი მართლმსაჯულებისა, რომელიც ტრადიციულთან ერთად შეასრულებს მორალურ და ისტორიულ ფუნქციას. ისე კი "მექსიერების გასუფთავებისა და შერიგების" თემა ყოველთვის იყო აქტუალური პოსტსაბჭოთა სივრცისა და მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვის. ასეთ პირობებში როგორ არ გავიხსენოთ თენგიზ აბულაძის გენიალური ქმნილება "მონანიება".

წყარო: [www.kvirispalitra.ge](http://www.kvirispalitra.ge) 10.01.2013

## სამხრეთ კავკასიის სოციალური კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პარადიგმა

წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საგარეო ორიენტაციამა და სამხედრო სტრატეგიულმა ინტერესმა. ამ პროგრამების შეფასებისთვის აუცილებელია რეგიონული პრობლემატიკის სერიოზული ანალიზი. სამხრეთ კავკასიაში რეალობა შეიძლება, მოკლედ შემდეგნაირად შეფასდეს: გლობალურ, არარეგიონული და რეგიონული აქტორების მხრიდან რეგიონში შექმნილია კონფლიქტების ბალანსზე აგებული უსაფრთხოების მრავალსაფეხურიანი სტატუს კვლ. ყოველივე აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური თვალსაზრისით შექმნილი სიტუაცია შეცდომებისთვის შანსს არ ტოვებს. რადიკალურ ნაბიჯებსა და გაუთვლელ მოქმედებებს ამ არცთუ სახარბიელო პირამიდული სტატუს კვლ. დასარღვევად შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული გაუთვალისწინებელი შემთხვევები. შევეცდები, უფრო დეტალურად შევაფასო ზოგადი სიტუაცია, წარმოვადგინო რეგიონის პრობლემატიკაში ჩართული გლობალური არარეგიონული და რეგიონული აქტორების მოქმედების სავარაუდო სცენარები, ასევე ზოგიერთი მოსაზრება მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

21-ე საუკუნის დასაწყისში, კავკასიაში განვითარებული წინააღმდეგობრივი პოლიტიკური პროცესების ბუნებაში გარკვევა მხოლოდ შიდა რეგიონული პრობლემების ანალიზით შეუძლებელია. კავკასია – ეს უნიკალური მრავალდონიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც ურთულესი კომბინაციებით გადაჯაჭვულია ხალხები, რელიგიები და კულტურები, თუმცა აღნიშნული გარემოება თავისთავად, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს კონფლიქტუგენურობის იმ უჩვეულოდ მაღალი ხარისხის ასახსნელად, რომელმაც რეგიონი მოიცვა.

მსხვილი სოციალური კონფლიქტების უდიდესი უმრავლესობის პარადიგმა ატარებს გეოპოლიტიკურ ხასიათს, იმ დროს, როდესაც მისი კონკრეტული შინაარსი ფორმირდება ობიექტურად არსებული ეთნიკურ, კონფესიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა წინააღმდეგობების ქსოვილში, კონფლიქტების მოულოდნელი „გამწვავება“, ოპონენტების რადიკალიზაცია, მისი „გადაწყვეტის“ უჩვეულოდ აგრესიული მეთოდების შერჩევა, წინააღმდეგობის დროში გაწელილი ხასიათი – ყველაფერი ეს გარე „მესამე ძალის“ სუბიექტური ჩარევის რეალური ნიშნებია. გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში კავკასიის რეგიონის ნებისმიერი განხილვა, გულისხმობს ძალთა რეალური განლაგების მთელი მრავალწახნაგოვანი სურათის გლობალურ გეოპოლიტიკური დუალიზმის, კონტინენტური და ატლანტიკური ძალების შეჯახების კონტექსტში განხილვას. დღეისთვის შავი ზღვა (სამხრეთ კავკასია), ასევე, კასპიის ზღვა მოქცეულია მსოფლიოს ბევრი წამყვანი ქვეყნის ინტერესების სფეროში არა მარტო იმიტომ, რომ აქ და მის მეზობლად კონცენტრირებულია ენერგომატარებლების მდიდარი მარაგები, არამედ, იმიტომაც, რომ რეგიონს გააჩნია უნიკალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ხასიათის თავისებურებანი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მსოფლიო პოლიტიკის მთავარი სუბიექტების წინაშე აყენებს ამოცანას, გლობალური გეგმების განხორციელებისათვის აღნიშნულ სივრცეში მოახდინონ თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული ინტერესების რეალიზაცია.

სამხრეთ კავკასიისა და კასპიის სივრცის გეოსტრატეგიული განზომილების პრობლემა ფოკუსირებულია არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების ურთიერთობის სპეციფიკასა და ამ ურთიერთობების პრობლემურ შემადგენელზე, არამედ უპირატესად სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონის როლსა და ადგილზე ახალი მსოფლიო წესრიგის გლობალურ გეოპოლიტიკურ სქემებში, რომლებიც შემუშავებულია და რეალიზდება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორების მხრიდან. ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ გარემოებას გვერდს ვერ აუვლის.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სამხრეთ კავკასიისა და კასპიის პრობლემატიკის გეოსტრატეგიული ასპექტები უახლოეს ათწლეულებშიც მოახდენს გავლენას ჩვენს მიერ განხილვად რეგიონში სიტუაციის განვითარებაზე. ამოცანაა, პროგნოზირებად მომავალში პრობლემა გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური შემადგენლიდან გარკვეულწილად ტრანსფორმირდეს უპირატესად გლობალური ენერგოუსაფრთხოების რესურსების ექსპლოატაციის ტექნიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ პრობლემატიკაში. დღევანდელ რეალობაში, აღნიშნულ სივრცეში პრობლემატიკა ბევრად რთული და მრავალწახნაგოვანია, რაც გვაიძულებს სერიოზული ყურადღება დავუთმოთ სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის პრობლემატიკის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტებს, რომლებიც ჩრდილავს ეკონომიკურ და ტექნიკურ საკითხებს.

თუკი მცირე ისტორიულ ექსკურსს მოვახდენთ, ახლადწარმოქმნილი პოსტსაბჭოთა ქვეყნები შეეჯახნენ რა დამოუკიდებლობის სერიოზულ პრობლემებს, ისინი იძულებულნი გახდნენ, პირველ რიგში, განემტკიცებინათ შიდა სტაბილურობა და ინდივიდუალური შეხედულებებიდან (ბევრ შემთხვევაში რომანტიკული) გამომდინარე, მოქმედინათ თავიანთი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ფორმირება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ასპექტები, ენერგომატარებლების მარაგები, ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე ყოფნა, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის რეგიონის ქვეყნებისთვის ინდივიდუალური დამოუკიდებელი მოქმედების აღბათობას. რეგიონის მსხვილი აქტორებიდან თურქეთმა წარმოადგინა თავი ახალი თურქული ბლოკის პოტენციური ლიდერობის ხარისხში. ეს იყო თურქეთის ამბიცია, ევრაზიის გულში ქცეულიყო თავისებურ ხიდად, აღნიშნულ სივრცესა და დასავლეთს შორის. თავის მხრივ ირანი ეძებდა რეგიონთან თავისი შესაძლებლობების რეალიზებას. მკაფიო იყო რუსეთის პოზიცია, მისი სტატუსი და „ისტორიული როლი“ რეგიონში მოსკოვის შეფასებით წარმოაჩენდა მას, როგორც სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ აღნიშნულ სივრცეში გამოჩნდნენ გავლენიანი არარეგიონული მოთამაშეები, თავისი ხანგრძლივვადიანი გეოსტრატეგიული ამოცანებითა და ინდივიდუალური პრიორიტეტებით. რეგიონის ისეთი ქვეყნებისათვის როგორიცაა აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქეთი, კასპიის პრობლემატიკის ეკონომიკური მხარეა პრიორიტეტული, რადგანაც მხოლოდ კასპიის ნავთობგაზის პროექტების წარმატება აძლევს საშუალებას ამ ქვეყნებს, რათა გამოაცოცხლონ და განვითარონ ნაციონალური ეკონომიკა, ე. ი. სერიოზულად უზრუნველყონ შიდაპოლიტიკური მდგრადობა და სტაბილურობა. საქართველოს როლი,

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კომიტეტისა და სისტემაში

როგორც ენერგოხიდისა გლობალური ენერგოუსაფრთხოების კასპიური განზომილებისა მნიშვნელოვანია. სომხეთს სხვა პრიორიტეტები აქვს. კომპლემენტარიზმის პრინციპი, როგორც სომხეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი გაცხადებული იყო ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. როდესაც ვსაუბრობთ „სახელმწიფო კონპლემენტრიზმზე“ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ძირითადი არსია ისეთი საერთაშორისო კავშირების მრავალვექტორული, მრავალშრიანი სისტემის ფორმირება, რომელშიც სხვადასხვა (ხშირ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებული) გარე ძალები ისე აწონასწორებენ ერთმანეთს, რომ არცერთ მათგანს არ ეძლევა საშუალება, მოახდინოს გადამწყვეტი გავლენა იმ ქვეყანაზე, რომელიც მოქმედების ამ პრინციპს ეყრდნობა ანუ ერთდროულად რამდენიმე წინააღმდეგობრივი მსოფლიმებდველობითი სისტემა არსებობს ერთ მთლიანობაში მაგრამ ყველაფრის მიუხედავად გლობალურმა აქტორმა სომხეთი დააყენა ცალსახა სტრატეგიული არჩევანის წინაშე და მისმა კომპლემენტარიზმის პოლიტიკამ იმუშავა იმდენხანს, სანამ ეს გლობალური აქტორების

ინტერესებში იყო.

კასპიის პრობლემატიკა არაა მხოლოდ ნავთობი და გაზი. რეალურად ესაა ძალზედ მნიშვნელოვანი რეგიონი და მისი მომავალი, ახალგაზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ურთიერთობის ხასიათი რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, არარეგიონულ მსოფლიო აქტორებთან განსაზღვრავს ახალი მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური სქემებისა და მოდელების სიცოცხლისუნარიანობას აღნიშნულ სივრცეში. მხოლოდ ზემოთ აღნიშნულის კონტექსტში შეგვიძლია გლობალური ენერგოუსაფრთხოების პრობლემატიკა განვიხილოთ. ყოველი სუბიექტი, რომელიც ჩართულია სამხრეთ კავკასიისა და კასპიის პრობლემატიკაში უნდა მოერგოს უკვე შემუშავებული გლობალური ენერგოუსაფრთხოების რეალისტურ სტრატეგიას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონის პრობლემატიკის მშვიდობიანი დარეგულირების ერთადერთი გასაღები უნდა იყოს ყველა რეგიონალური თუ არარეგიონული აქტორისათვის, ისეთი ურთიერთსასარგებლო კრიტერიუმი, რომლებიც გამომდინარებს ეკონომიკური მიზანშეწონილობის ამოცანებიდან. მისი პოლიტიზირება სახითათოა და კონტრპროდუქტიული. სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციის მხოლოდ ეკონომიკურად დასაბუთებულმა სტრატეგიამ შეიძლება უზრუნველყოს ენერგეტიკული ბაზრების მდგრადობა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ორი უმთავრესი საფრთხე: 1) დაურეგულირებელი რეგიონული კონფლიქტები და მათი სამხედრო გზით გადაწყვეტის პერსპექტივა; 2) საერთაშორისო ტერორიზმი. ეს საფრთხეები ატარებს სერთო ხასიათს, შესაბამისად რეგიონის ვერც ერთი ქვეყანა დამოუკიდებლად ვერ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

იქნება დაცული ამ საფრთხისაგან. ამ პრობლემების დამოუკიდებელი გადაწყვეტა საკუთარი ძალებით, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების გარეშე შეუძლებელია. მსოფლიოში დომინირებად დასავლურ გლობალურ გეოპოლიტიკურ პროექტებს ჩვენს რეგიონთან მიმართებაში რუსეთი აღიქვამს მისი ინტერესებისადმი მიმართულ საფრთხედ, რადგანაც მისი აზრით ეს პროექტები არ აძლევს მას რეგიონში მისი ამბიციების შესაბამის როლს და ზრუდავს მის ფუნქციებს რეგიონალურ სქემებში, უფრო გლობალურ ასპექტებში რუსეთი აღნიშნულს აღითქვამს, როგორც მცდელობას დასავლეთის მხრიდან, ამოაგდოს იგი მისთვის ესოდენ ამბიციური ნეოევრაზიულობის მოდელიდან.

ასეთ შემთხვევაში სავარაუდო სცენარებია: ა) რუსეთი ატარებს იზოლაციონალისტურ პოლიტიკას და მიდის კავშირების განმტკიცებაზე ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც მოიაზრებიან, როგორც ამერიკისა და ზოგადად დასავლეთის კონკურენტები, ან უარეს შემთხვევაში სტრატეგიული მოწინააღმდეგები. ანუ მოქმედებს ნეოევრაზიულობის მოდელის ფარგლებში და შედის კოორდინაციაში (ალიანსში) იმ სივრცეებთან, რომლებსაც მუნდიალისტური თუ ატლანტისტური მოდელები თავიანთ სივრცეებად მოიაზრებენ ევრაზიაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის პარალელურად გაგრძელდება ზეწოლა სამხრეთ კავკასიაზე მინიმალური ამოცანიდან (გარანტირებულ იქნას ამ რეგიონის ნეიტრალური სტატუსი) მაქსიმალურ ამოცანამდე (მოაქციოს რეგიონი ნეოევრაზიული გავლენის სივრცეში); არის სხვა ვარიანტიც, უფრო პრაგმატული და სავარაუდოდ უფრო სარწმუნო \_ ბ) რუსეთი არ გამორიცხავს დასავლეთის თვალში ზემოთაღნიშნული ალიანსებისა და კავშირების განხორციელების აღბათობას, მაგრამ ეცდება არ შექმნას აშკარა პრობლემები დასავლეთთან. მისი ამოცანა იქნება შეინარჩუნოს რეგიონალურ პროცესებში თავისი უფლებები, ზოგიერთ შემთხვევაში აღმატებითი ხარისხითაც, თუმცა ზოგიერთ საკითხებში დაუშვას აშშ-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობა და იმოქმედოს კონსტრუქციულ რეჟიმში რეგიონალურ საკითხებთან მიმართებაში.

დასავლეთის პოზიცია სამხრეთ კავკასიისა და კასპიისპირეთის რეგიონთან მიმართებაში დეკლარირებულია შემდეგი სახით: ა) ზოგიერთი მათთვის მიუღებელი სტრატეგიული სახითათო მოთამაშის განეიტრალება; ბ) იმ სამხედრო და პოლიტიკური ინიციატივების არდაშვება, რომლებიც მიმართულია რომელიმე კონკრეტული ძალის დომინირებისათვის ისეთ სფეროებში, რომელიც დაკავშირებულია ენერგორესურსებთან და მათ ტრანსპორტირებასთან; გ) რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებაში დახმარება. რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ამოცანებიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასია (ყოველ შემთხვევაში გლობალური ენერგორესურსების ამოცანებიდან გამომდინარე აზერბაიჯანი-საქართველოს ტანდემი) წარმოადგენს იმ უნიკალურ გეოპოლიტიკურ რგოლს,

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კომიტეტისა და სისტემაში

რომელსაც შეუძლია გლობალური გეოპოლიტიკური პროექტების ამოცანები და „საზღვრები“ არ მოაქციოს კონფირონტაციულ რეჟიმში. კონსტრუქციულობასა და ალტერნატიული პროექტებისადმი „მზადყოფნა“ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს რეგიონის სტაბილურობას.

იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მიერთებულნი არიან სტაბილიზაციის საერთაშორისო პროცესებთან, არსებობს ერთი თავისებურება – ეს ქვეყნები მიდიან უსაფრთხოების საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ ცალ-ცალკე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლარიზებული სამხედრო პოლიტიკური ალიანსებისკენ, ამასთან, უარყოფენ შიდარეგიონულ ინტეგრაციას. ფაქტია, რომ რეგიონულ სტაბილურობასთან მიმართებაში გლობალურ აქტორების მხრიდან საჭიროა, შემუშავდეს უფრო შეჯერებული და პრაგმატული სტრატეგია. ამასთან, თუკი არ იქნება შიდარეგიონული თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, ინდივიდუალურად როგორც უნდა მოხდეს რეგიონის ქვეყნების თავდაცვითი და უსაფრთხოების რგოლების რეფორმირება, რეგიონული უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

### საჭიროა გვქონდეს უმაღლესი კლასის სპეცსამსახურები რომლებიც წაიკითხავენ დაინტერესებული ძალების სპეცსამსახურების პოლიტიკურ ოპერაციებს ექსპერტი<sup>4</sup>

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის, ბესიკ ობოლაძის თქმით, საქართველო ამჟამად რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სახეზეა მაპროვოცირებელი მავთულხლართების ისტორია ე.წ. პირობით საზღვარზე ... ყოველივე ეს ქვეყანას აყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გავიაზროთ გაცილებით დიდი და მაშტაბური კონტექსტი, რომელშიც ფუნქციონირებს და არსებობს საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

ამასთანავე ექსპერტის აზრით, საჭიროა განვიხილოთ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების სამ სიბრტყეში: ა) სფერო, რომელიც საერთაშორისო სამართლით რეგულირდება; ბ) ძალის პოლიტიკით ე.წ. „კრატოსპოლიტიკით“ (რუდოლფ ჩელენის,

4

[https://www.medianews.ge/ge/sachiroagvqondesumaglesiklasisspecsamsaxurebiromlebiswaikitxavendainterebulizalebisspecsamsaxrebispolitikuoperaciebs\\_eksperti/49348](https://www.medianews.ge/ge/sachiroagvqondesumaglesiklasisspecsamsaxurebiromlebiswaikitxavendainterebulizalebisspecsamsaxrebispolitikuoperaciebs_eksperti/49348)

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

შვედი გეოპოლიტიკოსის ტერმინი, რომელიც აგრეთვე ტერმინ გეოპოლიტიკის ავტორია) განსაზღვრული რეალობა და გ)გეოპოლიტიკური განზომილება.

‘პირველი დონე, რომელიც საერთაშორისო სამართლით რეგულირდება, საყოველთაოდ ცნობილია და ზედმეტად მიმაჩნია დამატებითი განმარტებები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს არის ძალის პოლიტიკის (კრატოს პოლიტიკის) პოზიციისაგან განსხვავებული საერთაშორისო ურთიერთობების დეკორატიული ასპექტი, ლეგალური, ფორმალური. აქ მხოლოდ ერთს დავაზუსტებ: იმისათვის, რომ ადეკვატურად გავიგოთ საერთაშორისო სამართლის ენა, საჭიროა ყველა განცხადება, საერთაშორისო ხელშეკრულება „გავშიფროთ~ იმდენად, რამდენადაც ამ სფეროში საგნებს თავის სახელს ძალიან იშვიათად უწოდებენ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტების განცხადებები თუ ხელშეკრულებები არ არის საკმარისი მათი პოლიტიკის ლოგიკის გასარკვევად. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა დავინახოთ ე.წ. მედვედევ-სარკოზის 6-პუნქტიანი შეთანხმების განსხვავებული წაკითხვა~ მხარეების მიერ, აცხადებს ბესიკ ობოლაძე და დასძენს - აღნიშნულს ემატება ის გარემოება, რომ ამ ყველაფრის პარალელურად ქვეყანას უწევს (ისევე როგორც სხვა ქვეყნებს) არსებობა საერთაშორისო ურთიერთობების გაცილებით რეალურ, სტრატეგიულ-ძალისმიერი პოლიტიკის (კრატოსპოლიტიკის ფორმატში).’’

ექსპერტის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. ძალის პოლიტიკის რუკას (განსხვავებით საერთაშორისო პოლიტიკის რუკისაგან) არ გააჩნია არანაირი იურიდიული ლეგიტიმაცია და არავის მიერ არ არის საჯაროდ აღიარებული, მაგრამ ფაქტობრივად ყველა რეალური დიპლომატიური და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრება ორიენტირებულია სწორედ ამ ძალის პოლიტიკის მახასიათებლებზე და არსებობს მისი გავლენის ქვეშ. თუნდაც სააკაშვილის ბოლო პერიოდის ინტერვიუებშიც 2008 წლის მოვლენების შესახებ, ნათლად გამოჩნდა საერთაშორისო სამართლის მიღმა არსებული ძალის პოლიტიკის რეალობა.

ამასთან, ექსპერტი შენიშვნავს, რომ ძალის პოლიტიკის სუბიექტი არ არის აუცილებელი, იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ეს შეიძლება იყოს საერთაშორისო ტრანსნაციონალური ტერორისტული თუ სხვა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სტრუქტურები, სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი ტერორისტული ორგანიზაციები და ა.შ.

რაც შეეხება გეოპოლიტიკას, ობოლაძის თქმით, ის გვთავაზობს თავის მსოფლიო რუკას, სადაც მთავარია მეგასტრატეგიული ცივილიზაციური მიდგომები. ჩვენს რეგიონთან მიმართებაში კონკურირებენ ისეთი გლობალური გეოპოლიტიკური პროექტები, როგორებიცაა ნეოატლანტიზმი, ნეომონდიალიზმი, ნეოევრაზიელობა, ისლამური ინტეგრიზმი. გეოპოლიტიკას ისეთივე დამოკიდებულება აქვს კრატოსპოლიტიკასთან, როგორც კრატოსპოლიტიკას საერთაშორისო სამართალთან. ძალის პოლიტიკა (კრატოსპოლიტიკა) განიხილავს საერთაშორისო სამართალს, როგორც ფორმალობას. არ აძლევს არანაირ სერიოზულ მნიშვნელობას თეზისს ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ. აქ საერთაშორისო სამართლის სურათისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობები გაცილებით რეალისტურია.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ამიტომ ჩვენი სპეცსამსახურები თუ შედიან ამ სივრცეში, ძალის პოლიტიკის სივრცე კი მათი არეალია, მათ სულ სხვა კვალიფიკაცია მოეთხოვებათ. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სპეცსამსახურები მოქმედებენ ე.წ. ძალის პოლიტიკის არალეგიტიმურ რუკასა და სივრცეში თავიანთი ამოცანების უზრუნველყოფისათვის საჭირო აქტივობებით, აპელირებენ გეოპოლიტიკურ მოცემულობასა და რეალიებზე და გარკვეულ ასპექტში თავის აქცენტებს აძლევენ საერთაშორისო სამართლის ფორმატში მოქმედ ქვეყნის ინსტიტუტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ საერთაშორისო რეალობის სრული სურათი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რეგიონთან მიმართებაში. ამისათვის საჭიროა გვევნდეს უმაღლესი კლასის სპეცსამსახურები, რომლებიც წაიკითხავენ~ დაინტერესებული ძალების კრატოსპოლიტიკის შემოქმედი სპეცსამსახურების სპეციალურ და პოლიტიკურ ოპერაციებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ზემოთაღნიშნული რეალობების სტრუქტურიზაციაში. ამ ფუნქციების შესრულებისათვის უუნარო იყო ნაციონალური მოძრაობის ხერხემლის~ მიერ ჩამოყალიბებული სპეცსამსახურები. მოკლედ საჭიროა სრულიად სხვა მაშტაბები, სრულიად სხვა ხედვები და სრულიად სხვა საკადრო პოლიტიკა სპეცსამსახურებში~ \_ აცხადებს ბესიკ ობოლაძე.

წყარო: <https://www.medianews.ge> 13.08.2013

### ქვეყნის უსაფრთხოების საფრთხე<sup>5</sup>

რამდენად სახითათოა ქვეყნისთვის ორხელისუფლებიანობა და რატომ ვერ ახერხებს პოლიტიკური ოპოზიცია და პოზიცია ერთმანეთთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს საბოლოოდ ამ ყველაფერმა ქვეყნის მდგრადობას, უსაფრთხოებას და საერთაშორისო იმიჯს - ეს ის კითხვებია, რომლებიც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ამ პრობლემების შეფასება უქსპერტს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში, ბესიკ ობოლაძეს ვთხოვთ.

ბესიკ ობოლაძე: "არჩევნების შემდეგ შექმნილ რეალობაში, პოლიტიკური სისტემის

<sup>5</sup> <http://www.kvirispalitra.ge/politic/14703-qveynis-usafrthkhoebis-safrthkhe.html?device=xhtml>

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მდგრადობის უზრუნველყოფა, მხოლოდ პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური ნორმების დაუცველობაზე არაა დამოკიდებული, როგორც ამას დამარცხებული პოლიტიკური ძალა აცხადებს. ნებისმიერი სისტემა, მათ შორის პოლიტიკური, შედგება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ნაწილებისაგან, აქვს გარკვეული საზღვრები და ეს ყველაფერი ქმნის ერთ მთლიანობას. უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ნებისმიერი ტექნიკური ძრავის სისტემა შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული უამრავი ნაწილისაგან, რომლებიც მთლიანობაში ამუშავებენ ძრავს, ანუ სისტემას.

თუ ამ ნაწილებს უბრალოდ ერთად დავყრით, ეს ძრავი არ იმუშავებს. ხოლო, თუ ამ ნაწილებს არასწორად შევაერთებთ, შეიძლება ან ცუდად იმუშაოს ძრავმა, ანუ სისტემამ, ან კვლავ საერთოდ არ იმუშაოს. მაგრამ, თუ ყველაფერი სწორად იქნება, ყველაფერი გამართულად იმუშავებს. ასეა პოლიტიკური სისტემის ემთხვევაშიც.

ახლადშექმნილ ქართულ რეალობაში გამარჯვებული და დამარცხებული პოლიტიკური ძალა განფენილია პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური სისტემის ნაწილებია: პოლიტიკური ინსტიტუტები (სახელმწიფო, მისი უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც განსაზღვრავს ამ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებს, შესაძლებლობებს და საზღვრებს.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნორმებისა და ღირებულებების (მათ შორის რელიგია) ერთობლიობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს, მაგრამ ვერ ახერხებს ჩვენს რეალობაში პოლიტიკური სუბიექტების სახელისუფლებო ურთიერთობებს.

წინააღმდეგობები იმ ფორმით, რომელიც ვითარდება ან შეიძლება განვითარდეს საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის - საზოგადოებასა და სახელმწიფოს, სახელმწიფოში ხელისუფლების შტოებს შორის, - იმ ძალებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას, სერიოზული გამოწვევებია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

და მაინც, რაშია პრობლემა? იქნებ ეს ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებია, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს ქვეყანას?

დამარცხებული ძალა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ახერხებს შექმნას განწყობა, რომ პოლიტიკური სუბიექტების სახელისუფლებო ურთიერთობის პრობლემები პოლიტიკური კულტურის არქონასა და გამარჯვებული ძალის მხრიდან პოლიტიკური ნორმების დაუცველობაშია. მაგრამ მიზეზები გაცილებით ღრმაა და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია თავისი სტრუქტურითა და ტიპებით, მათ შორის პოლიტიკური ცნობიერებით, იდეოლოგიით, პოლიტიკური საშუალებებით, პოლიტიკური ღირებულებებით, პოლიტიკური ნორმებით

და ა.შ.

ჩემი აზრით, პრობლემა არა ზოგადად პოლიტიკურ კულტურაში ან პოლიტიკურ ნორმებშია, არამედ პოლიტიკურ სისტემაში, ერთ-ერთი სუბიექტის, დამარცხებული პოლიტიკური ძალის პოლიტიკური ღირებულებების მსხვრევაში. ღირებულებები კი პოლიტიკური ცხოვრების, კულტურის მოტივირებული ბაზისია. მისი დეგრადაცია ან ამოწურვა მთავრდება მისი მსხვრევით.

ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკურ კულტურას არ შესწევს უნარი დაარეგულიროს ადამიანთა ქცევა და იწყება ღირებულებებისა და პოლიტიკური ორიენტაციების სხვა ახალი სისტემების ინტენსიური ძიება. ასეთი გამოწვევის წინაშეა დღევანდელი ქართული პოლიტიკური სისტემა და პრობლემის მხოლოდ პოლიტიკური ნორმების დაცვით გადაწყვეტა, რომელსაც მხოლოდ შესაბამის პირობებში შეუძლია ადამიანთა, სოციალური ჯგუფებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების თანამშრომლობა, ამ ეტაპზე ეს ნაკლებად ხერხდება.

იმ პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში, რომლის კრიზისის მოწმენიც დღეს ვართ, უდიდესი წვლილი მიუძღვის ავტორიტარულ მედიაკრატიას. იმ მედიაკრატიას, რომელსაც "მეოთხე ხელისუფლებასთან" (მედიადემოკრატია) გაცილებით მეტი განმასხვავებელი აქვს, ვიდრე სიტყვა "დემოსს" (ხალხი). ამ სისტემის პირობებში, ჩვენი მოქალაქე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოლიტიკური პროცესების მხოლოდ პასიური მაყურებლის როლში იყო, ხოლო კონკურენტ პოლიტიკურ ძალებს კი მაქსიმალურად ეზღუდებოდათ გამოხატვის თავისუფლება. დღეს იგივე მედიაკრატია აქტიურად ცდილობს აქცენტების საჭირო მიმართულებით. სახელისუფლებო ურთიერთობებში კრიზისული სიტუაციების

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მიზეზებზე საუბრისას, აქცენტების გადატანა ხდება პოლიტიკური ნორმების დაუცველობაზე და არა იმ პოლიტიკური ღირებულებების რღვევაზე, რომელიც შეუძლებელს ხდის პოლიტიკური სუბიექტების თანამშრომლობას ერთი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში.

სხვათა შორის, როდესაც ვსაუბრობთ ღირებულებებზე, საინტერესოა ისეთი ცნება, როგორიცაა "სახელმწიფოს ძალა". ბევრგან ეროვნული ინტერესების კონცეფციებში პირველი ადგილი უკავია ამ ცნებას. ერთ-ერთი განმარტებით, "სახელმწიფო ძალის" კომპონენტებში გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსების, სამრეწველო პოტენციალის, სამხედრო შესაძლებლობების გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა "ეროვნული მორალი" და "ეროვნული ხასიათი". ვფიქრობ, ეს ის არის, რაც დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება".

წყარო: [www.kvirispalitra.ge](http://www.kvirispalitra.ge) 04.12.2012

### **რუსეთისათვის ირანის „დაკარგვა“ ევრაზიული კავშირისა და ენერგოპოლიტიკის კრახია**

ბესიკ ობოლაძე: რუსეთისათვის ირანის „დაკარგვა“ ევრაზიული კავშირისა და ენერგოპოლიტიკის კრახია

როგორც „მედიანიუსი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატებსა და ირანს შორის ვითარება ყოველდღიურად იძაბება. ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ღიად აცხადებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სპარსეთის ყურის ერთადერთ გასასვლელს, ორმუზის სრუტეს ჩაკეტავენ და მსოფლიოს ნავთობის ჯამური მოხმარების 40%-ის გარეშე დატოვებენ.

გასცდება თუ არა მიღიტარისტული რიტორიკა განცხადებებს და შევა თუ არა კონფლიქტი ცხელ ფაზაში, რა საფრთხეებით შეიძლება დაემუქროს დასავლეთის ირანთან შესაძლო ომი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას - ამ საკითხებზე „მედიანიუსი“ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ბესიკ ობოლაძეს ესაუბრა:

- ბატონო ბესო, გლობალური თვალსაზრისით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს აშშ-ს ირანთან ომს?

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ისლამურ სამყაროში რამდენიმე უაღრესად გავლენიანი გეოპოლიტიკური კვანძი არსებობს და თითოეული მათგანი სხვადასხვა რელიგიურ, ისტორიულ, კულტურულ და ცივილიზაციურ ტენდენციებს ეყრდნობა და ატარებს დამოუკიდებელ სტრატეგიულ ხაზს როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ მასშტაბში. აქ იგულისხმება არამარტო განსხვავებული, არამედ დაიმეტრალურად დაპირისპირებული ტენდენციები. ამ გარემოების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია, ადეკვატურად გაანალიზდეს ირანის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. შიიტური მიმართულების ირანული ისლამი, ამ სამყაროს გეოპოლიტიკურად აქტიური პოლუსია, მისგან აბსოლუტურად განსხვავებული და საწინააღმდეგო ცენტრის საუდის არაბეთი და მისი გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთის ყურის ქვეყნები, სადაც სალაფიზმი (ვაჰაბიზმი) არა მარტო გავრცელებული, არამედ ოფიციალური რელიგიაცაა. არსებობს სხვა გეოპოლიტიკურად აქტიური ისლამური პოლუსებიც, რომლებიც პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, მიუხედავად თავიანთი მრავალფეროვნებისა, შეიძლება შემდეგნაირად დავაჯვალოთ: ევრაზიულ - კონტინენტალურს (რუსეთს მოკავშირეს) წარმოადგენს შიიტურ - სუფისტური მიმართულება (ირანი), არაბული სოციალიზმის ნარჩენები - წარმოიშვა ე. წ. „არაბული გაზაფხული“ ს შემდგომ, ატლანტიკურს შეიძლება მივაკუთვნოთ სალაფიზმი ( საუდის არაბეთი, სპარსეთის ყურის ქვეყნები) და მოდერნისტული თურქეთი.

ისლამურ სამყაროში არსებული გეოპოლიტიკური ორიენტაციები ნათლად გამოჩნდა ირანის კრიზისის ფონზე აბუ-დაბიში, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრისა და მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ორგანიზაცია გადაიქცევა სრულფასოვან სახელმწიფოთაშორისო კავშირად; მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საგანგებო

მდგომარეობაში ოპერატიული რეაგირების მიზნით. აფრთხილებენ თეირანს, არ ჩაერიოს აღნიშნული ქვეყნების შიდა საქმეები კონფლიკტი დაპირისპირების ინსპირირების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში რა ადგილი უკავია ისლამურ სამყაროს და რა გეოპოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს მასშტაბურ ომს. შეგახსენებთ, ზბიგნევ ბჟეზინსკის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ეს ომი როგორც აშ-თვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსათვის კატასტროფულ შედეგების მომტანი იქნება. დაახლოებით მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა პენტაგონის შეფარა ლეონ პანწეტამაც.

აღნიშნულ კონტექსტში ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასია. ეს რეგიონი ცივილიზაციური აქტორების (ნეოატლანტიზმი, ნეოევრაზიულობა, ისლამური სამყაროს გეოპოლიტიკურად აქტიური პოლუსები) შეჯახების ფრონტის საზღვარს წარმოადგენს და ირანთან სავარაუდო ომის შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგიონისათვის ნებატიკური შედეგის მომტანი იქნება.

- კიდევ რა საფრთხეებს უნდა ელოდოს კავკასია?

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთი ირანში 20 მილიონამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს, საკმაოდ რთული პროცესების პროგნოზირება შეიძლება აზერბაიჯანი-ჩრდილოეთ ირანის მიმართულებითაც. სომხეთში რუსული სამხედრო ბაზის ბლოკირების შემთხვევაში, გარკვეულ საექსპერტო წრეებში ყარაბახის კონფლიქტის აქტივიზაციას ვარაუდობენ.

- რას ფიქრობთ რუსეთის ფაქტორზე, რა პოზიციას დაიკავებს კრემლი და საქართველოს რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ჩრდილოეთიდან?

გლობალურ კონტექსტში რუსეთის გამოდის ნეოევრაზიული პროექტით, რომელიც მის მიერ განიხილება სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური მიზნის რანგში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისლამური სამყაროს შიიტურ-ირანული გეოპოლიტიკური პოლუსი ევრაზიული პროექტის პოტენციური პარტნიორია და რუსეთი მას „სუბიექტურ პარტნიორად“ განიხილავს. აღნიშნული გულისხმობს პოტენციალის სტრატეგიულ გაცვლას, რაც ამ გეოპოლიტიკურ სუბიექტებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

გეოპოლიტიკურ კონტექსტში რუსეთისათვის ირანის დაკარგვა კასპიის და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების დასავლურ მარშრუტებზე ორიენტირებას ნიშნავს. შესაბამისად, ევრაზიული კავშირის პოტენციური წევრი დასთ-ს ყოფილი ქვეყნების დისტანცირებას რუსეთისაგან. სწორედ ამის დაუშვებლობის მიზნით, მოსკოვმა სომხეთში 102-ე სამხედრო ბაზის ოპტიმიზაცია უკვე დაიწყო.

მინდა გითხრათ, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი საქართველოს საზღვრებთან ახლოს საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. ამ კუთხით შესამჩნევად გაძლიერდა კასპიის ზღვის ფლოტიც.

ირანში სავარაუდო ომის ფონზე რუსეთის სამხედრო კონტინგენტს სომხეთში საკმაოდ გაურთულდება მდგომარეობა ტვირთებით მომარაგების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია საქართველომ რუსეთთან გაწყვიტა ხელშეკრულება სომხეთში სამხედრო ტვირთების ტრანზიტთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, გამოდის რომ სავარაუდო (აშშ-ირანის) ომის შემთხვევაში რუსული ბაზა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთში) იზოლირებული დარჩება. აქამდე სომხეთში რუსეთის არმიის მომარაგება მხოლოდ ჰაერიდან (კასპიის ზღვისა და ირანის გავლით) და სომხეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების ( სომხეთი ირანიდან ყიდულობდა საჭირო რესურსებს) გზით ხვდებოდა. ომი ირანში რუსეთისათვის ნიშნავს გაზის მომარაგების ამ არხის გადაკეტვას.

რუსეთის ოფიციალური სამხედრო პირების განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყება, მოსკოვი საქართველოს ტერიტორიის გავლით დაიწყებს „გიუმრის“ ბაზის მომარაგებისთვის საიმედო სატრანსპორტო გზების მოძიებას. „აღბათ დაგვჭირდება საქართველოს სატრანსპორტო ბლოკადის გარღვევა და უზრუნველყოფა

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სამხედრო საშუალებებით სატრანსპორტო დერეფნისა სომხეთისკენ“, - ასეთია რუსი სამხედროებისა და ექსპერტების პოზიცია.

მნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ამ რიტორიკის უკან რა დგას და რას შეიძლება ველოდოთ, სხვა საკითხია, რა გამოუვათ.

- რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოს ხელისუფლებამ ირანთან მიმართებაში იმისათვის, რომ ქვეყანას შესაძლო კონფლიქტის ნებატიური შედეგები აარიდოს?

საქართველო იძულებული იქნება ირანთან ურთიერთობაში დაცვას საერთაშორისო საზოგადოების მიერ გავლებული „საზღვარი“, აქამდე საქართველო -ირანის ურთიერთობაში არსებობდა ასეთი მოცემულობა: ირანი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გაიხსნა უვიზო მიმოსვლა. სანაცვლოდ საქართველო აფიქსირებდა, რომ არაფერს გააკეთებდა ირანის უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ. ურთიერთობის ასეთი მოდელი რეგიონში დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებს საფრთხეს არ უქმნიდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანი და საქართველო არ არიან მჭიდრო პარტნიორები არც სავაჭრო-ეკონომიკურ, არც დიპლომატიურ და, მითუმეტეს, სამხედრო-სტრატეგიულ ასპექტებში. ირანთან ურთიერთობის ახალ რეალობაში ქართულმა მხარემ საერთაშორისო ფორმატის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს, დაიკავოს ელასტიური პოზიცია, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად დისტანციური და პასიური, იმისათვის რომ ქვეყანა კონფლიქტის ერთ-ერთ პლაცდარმად არ გადაიქცეს.

- რატომა ირანის რიტორიკა ასეთი მწვავე, რის იმედზეა თეირანი და სურს თუ არა მას ომი?

ლოგიკურად ირანს არ უნდა სურდეს ომი, რადგან იგივე ორმუზის სრუტის ბლოკირება თვითონ მასვე შეუშლის ხელს და საზღვაო კორიდორის დაკეტვის შემთხვევებაში, აშშ-ს სამხედრო საპარავო ძალებს აქვთ იმის რესურსი, რომ ბლოკირება რამდენიმე კვირაში მოხსნან. ამასთან, ეს ომი გაანადგურებდა ირანის ძვირადღირებულ საოცნებო ბირთვულ პროგრამას, მაშინ როცა, ირანის ინტერესებშია, რომ რამენაირად ბირთვული პროგრამა ფინიშამდე მიიყვანოს. გარდა ამისა ირანს აქვს უამრავი შიდა პრობლემა, პლუს: ორ თვეში ქვეყანაში საპარავო ძალების არჩევნებია დანიშნული. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, მაშინ რა მიზნები ამოძრავებს თეირანს? ჩემი აზრით, ირანის მიზანია, რომ ზეწოლა მოახდინოს დასავლეთზე იმისათვის, რომ ევროკავშირმა ე.წ. „ნავთობის ემბარგო“ არ დაუწესოს ( ეს საკითხი იანვრის ბოლოსკენ განიხილება).

ირანის რიტორიკის მიუხედავად იკითხება, რომ მას არა კონფრონტაცია არამედ მოლაპარაკება სურს. ეს ჩანს რუსეთის პოზიციაშიც, მოსკოვი დიალოგის „ექვსიანის“ აღდგენის ინიციატივით გამოდის.

მინდა გითხრათ რომ ეს ომი ამ ეტაპზე არ აძლევს ხელს არც აშშ-ს და არც ისრაელს: ამ განცხადების არგუმენტებისთვის, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ბჟეზინსკის, პანეტტასა და სხვების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ომს კატასტროფული

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

შედეგები ექნება. გარდა ამისა, თუ დასავლეთის სამხედრო დარტყმა არაეფექტური იქნება, ეს ირანის მმართველ ძალას კიდევ უფრო გაამყარებს, მოახდენს შიდა კონსოლიდაციისა და რეჟიმს რადიკალიზმისაკენ უბიძგებს.

- ყოველივე ამის გათვალისწინებით, თქვენი პროგნოზით, დაიწყება თუ არა ომი? ამ კითხვაზე პასუხი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პრობლემა უნდა განვიხილოთ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, გლობალური ენერგოუსაფრთხოების და უამრავ სხვა კონტექსტში. მე ჩამოვთვალე ის მიზეზები, რაც შეიძლება გახდეს ფართომაშტაბიანი ომის შემაკავებელი, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებისათვის გონივრულ პერსპექტივაში ნავთობის ორმაგი ფასიც (ომის დაწყების შემთხვევაში ფასები აუცილებლად გაიზრდება) კი ვერ გადაწონის ირანის ბირთვული პროგრამიდან მიმდინარე საფრთხეს.

დღეს ძალიან სახიფათო მოცემულობის წინაშე ვდგავართ. იმის გათვალისწინებით, რომ სპარსეთის ყურესა და ორმუზის სრუტეში (სიგრძე 195კმ, სიგანე 54კმ ) დაპირისპირებული მხარეების ხომალდები ერთმანეთთან საკმაოდ „ახლოს“ არიან, აგრეთვე იმის ჩათვლით, რომ ირანი ორმუზის სრუტის თავის სანაპიროს აკონტროლებს, ხოლო მისი (სრუტის) ქვედა ნაწილი სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნების კონტროლქვეშაა (რაც გარდაუვალ ხდის მათ შორის კონფლიქტს სრუტის დაკეტვის შემთხვევაში) კონფლიქტის ალბათობა ძალიან მაღალია.

პერსპექტივაში ომის საფუძველი შეიძლება გახდეს ირანის პროგრესირებადი ბირთვული პროგრამა, თუმცა ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ირანი „ბლეფობს“, იმისათვის რომ დრო გაწელოს ევროკავშირისაგან „ემბარგო“ აიცილოს.

**წყარო: [www.internet.ge](http://www.internet.ge) 10.01.2012**

## საქართველო ,გადატვირთვის“ პოლიტიკის კონტექსტში

**(ობამა-სააკაშვილის შეხვედრა „ გადატვირთვის „ პოლიტიკის კონტექსტშიც უნდა  
განვიხილოთ )**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

პრეზიდენტებს შორის უმაღლესი შეხვედრა უნდა განვიხილოთ, როგორც „გადატვირთვის“ პოლიტიკის კონტექსტში, ასევე საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობის სიბრტყეში“, - ამის შესახებ „მედიანიუსს“ ბარავ ობამასა და მიხეილ სააკაშვილის ხვალისთვის დაგეგმილი შეხვედრის კომენტირებისას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტმა ბესიკ ობოლაძემ განუცხადა.

ექსპერტის აზრით, „გადატვირთვის „პოლიტიკის კონტექსტში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ -ერთი უმთავრესი იდეა თანამედროვე უმწვავესი საერთაშორისო პრობლემების მსოფლიო თანამეგობრობის მიერ კოლექტიური ძალისხმევით გადაჭრის აუცილებლობა და ქვეყნებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებაა. დღეისათვის ასეთი საერთაშორისო მასშტაბის პრობლემა ირანის ირგვლივ შექმნილი ვითარებაა. შესაბამისად, არსებობს ამ პრობლემის კავკასიური განზომილება და საქართველოს ფაქტორი. იმდენად, რამდენადაც მიუხედავად აშშ-ს მოწოდებისა გლობალური აქტორებისადმი არ იდგნენ განზე და ერთობლივად გადაწყვიტონ საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები, ფაქტია, რომ ირანთან მიმართებაში რუსეთის პოზიცია განსხვავებულია, შესაბამისად, ამ საკითხთან მიმართებაში კავკასიისა და საქართველოს ფაქტორი განსაკუთრებულია.

„რაც შეეხება საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობის ასპექტებს, ვაშინგტონის ოფიციალური პოზიცია ყოველთვის მტკიცე იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემის საკითხებში და ეს არ შეცვლილა გადატვირთვის პოლიტიკის პროცესშიც. „გადატვირთვა“ სრულებით არ გულისხმობდა იმას, რომ აშშ საქართველოსთან თავის სტრატეგიულ ურთიერთობას გაწირავდა. სწორედ ამიტომ, „გადატვირთვის“ პოლიტიკის პროცესში საქართველო აშშ-რუსეთის ურთიერთობების ყველაზე უფრო პრობლემურ რეგიონად რჩებოდა“, -განაცხადა ექსპერტმა და დასმინა, რომ საქართველოსთვის ამ ურთიერთობამ განსაკუთრებულ ნიშნულს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიაღწია.

„ობამასა და სააკაშვილის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, უმთავრესი იქნება ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, ეს კი მოიცავს თანამშრომლობის სფეროთა ფართო სპექტრს: მეცნიერებას, განათლებას, ვაჭრობას, უსაფრთხოებას... ხაზგასასმელია საქართველოს როლი ავღანეთის მისიაში.

აშშ-შ, საქართველოსა და რუსეთში მიმდინარე წელს გასამართი არჩევნები და ჩიკაგოს ნატოს სამიტი ( რუსეთ-ნატოს სამიტის სავარაუდო ჩაშლის პირობები) ამ შეხვედრას ახალ აქცენტებს ანიჭებს.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დემოკრატიზაციისათვის რეფორმების მიმდინარეობა და 2012 წლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნების ჩატარება უმთავრესი საფუძველია აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებისათვის“, - აღნიშნა ექსპერტმა.

შეგახსენებთ, რომ ხვალ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდება.

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 29.01.2012

### სამხრეთ კავკასიის ახალი გარე აქტიორები

**(ივანიშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, ისრაელს აძლევს სერიოზულ საბაბს, მოახდინოს  
თავსი კურსის ადაპტაცია სამხრეთ კავკასიაში)**

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის ბესიკ ობოლაძის თქმით, სამხრეთ კავკასია იმყოფება არამარტო მსოფლიო გეოპოლიტიკური აქტორების ქვეშ, არამედ პირობითად „მეორე ეშელონის „, არარეგიონული აქტორების თვალთახედვაშიც. ბოლო წლებია ისეთი ქვეყნებს რიცხვში, რომლებსაც წარმატებული აქტივობები აქვთ სამხრეთ კავკასიაში, ერთ-ერთი გამოკვეთილი ისრაელიცაა. სამხრეთ კავკასიაში ისრაელის აქტივობები უნდა განვიხილოთ რამდენიმე განზომილებაში, რომელთაგან უმთავრესია გეოპოლიტიკური ასპექტი, რაც პირელ რიგში გულისხმობს „ახალი ახლო აღმოსავლეთის“ კონცეფციის რეალიზაციას.

ამ კონცეფციის ავტორებად, როგორც ცნობილია, ითვლებიან ოფიციალური აშშ, დიდი ბრიტანეთი და ისრაელი. „ახალ ახლო აღმოსავლეთში“ ახლო აღმოსავლეთს ტრადიციულ ქვეყნებთან ერთად მოიაზრებიან ე. წ. „ევრაზიული ბალკანეთის“ ქვეყნები, რომელთაგან, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები. აქვე აუცილებად უნდა დავაზუსტოდ, რომ კონცეფცია და ტერმინი „ახალი აღმოსავლეთი“, „დიდი ახლო აღმოსავლეთი“ განსხვავებული ტერმინებია და მის არსში გარკვევაც ცალკე განხილვის საგანია.

ექსპერტის განმარტებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების როლი და ადგილი მოიაზრება არამარტო ნეოატლანტიზმის, ნეომონდიალიზმის, ნეოევრაზიულობის, ისლამური ინტეგრიზმის გეოპოლიტიკურ კონცეფციებში, არამედ ისეთ კონცეფციაშიც, როგორიცაა `ახალი ახლო აღმოსავლეთი~. ტერმინი `ახალი ახლო აღმოსავლეთი~

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

პირველად მსოფლიოს გასაგონად გაცხადდა თელ-ავივში, 2006 წლის ივნისში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის მიერ. საინტერესოა, რომ აღნიშნული განცხადება დაემთხვა ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩართვის პერიოდს. იმის გათვალისწინებით, რომ `ახალი ახლო აღმოსავლეთის~ კონცეფციის ავტორები ისრაელთან ერთად არიან აშშ და დიდი ბრიტანეთი, ისრაელის ნებისმიერი აქტივობა სამხრეთ კავკასიაში ამ გლობალური გეოპოლიტიკური კონცეფციის კონტექსტშია განსახილველი.

პრაქტიკულ განზომილებაში, ახალი კონცეფციის რეალიზაციაში მონაწილეობა ისრაელისათვის ნიშნავს შემობრუნებას ეროვნული უსაფრთხოების ტრადიციული კონცეფციიდან თანამედროვე კონცეფციებისკენ, რომელიც ამოდის საჭიროებიდან, რომ მიღწეული იქნას აუცილებელი საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულებები და გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის ინტერესები. ისრაელს გააზრებული აქვს, რომ ტრადიციული თავდაცვითი კონცეფცია ვეღარ ჰქანავს თანამედროვეობის ტექნოლოგიურ საფრთხეებს და გეოგრაფიულ რეალიებს. ბალისტიკური რაკეტების გაჩენამ ტრადიციული გეოგრაფიული ასპექტები ტერმინ სტრატეგიული სიღრმის~ არსი გააფერმვრთალა. პრაქტიკულად, არ არსებობს არატრადიციული შეიარაღების საპირწონე სამხედრო წინააღმდეგობის ტრადიციული ფორმები.

ცნებები `ფრონტი და ზურგი~ საერთოდ აზრს მოკლებულ ტერმინებად იქცა. მაგრამ არსებობს არატრადიციული იარაღიდან მომდინარე საფრთხეებისადმი თავდაცვის ალტერნატიული ვარიანტები: ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს იმ პერიმეტრს ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ისეთ რეგიონებს, რაც ქმნის წინაპირობებს, მიუწვდომელი იყვნენ თანამედროვე არატრადიციული შეიარაღებისადმი.

ასეთი ხელშეკრულებები კი იძლევა შესაძლებლობას, რომ ქვეყნები, რომლებიც შედიან ამა თუ იმ რეგიონში, ერთობლივი ძალებით წინ აღუდგნენ ბირთვულ, ბიოლოგიური თუ ქიმიური შეიარაღებიდან მომდინარე საფრთხეებს. `ახალი ახლო აღმოსავლეთის~ ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ურთიერთობები, რომლებიც ქვეყნებისათვის კონფლიქტს აქცევს არაპრაქტიკულად და ძვირადღირებულად. შესაბამისად, რეგიონში წონასწორობის შენარჩუნებისათვის გასაღები არის პოლიტიკა და ეკონომიკა. აი, ასეთი შემობრუნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ ისრაელის ჩართულობა ახალ კონცეფციასა და მისი სამხრეთკავკასიური ინტერესების გეოპოლიტიკური განზომილება~, აცხადებს ბესიკ ობოლაძე.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მისივე განმარტებით, `ახალი ახლო აღმოსავლეთის~ კონცეფცია და მისი რეალიზაციის მცდელობა გულისხმობს, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში ისეთი ახალი სტატუს კვოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს არატრადიციული სქემებისა და გადაწყვეტილებების ფორმირებასა და რეალიზაციას, რომელშიც კავკასიაზე ახლო აღმოსავლეთის ფაქტორის გავლენა განუზომლად იზრდება. შესაბამისად, ჩვენ უნდა ველოდოთ ისეთ ახალ გეოპოლიტიკურ სვლებს, რაც წლების წინ წარმოუდგენელი იყო. ახლო აღმოსავლეთის ახალ სქემებში უმნიშვნელოვანებია ირანის ფაქტორი. ამ ქვეყანაში 1953 წლის აგვისტოს გადატრიალებამ და პრემიერ მოსადეყის დამხობამ, 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ ორჯერ უკვე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე. ეს ისტორიული მეხსიერებაც არსებობს.

ქართველი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ზოგადად, ოფიციალური იერუსალიმის კურსი კავკასიაში განისაზღვრება მიზნით: მოახდინოს მისთვის სასურველი რეგიონული გარემოს ფორმირება მისი საზღვრებიდან მოშორებულ რეგიონში, მსხვილ გარე აქტორებთან კონკურენციის რეჟიმში. პირველ რიგში, მხედველობაშია ირანის გარშემო, რომელიც ისრაელისათვის ნომერ პირველ საფრთხედ განიხილება, შექმნას მისი `შემაკავებელი~ აუცილებელი ხელშეკრულებების სარტყელი რეგიონის ქვეყნებთან ერთად. რა თქმა უნდა, ინტერესის საგანია ეკონომიკაც.

როდესაც ვსაუბრობთ ახალი კონცეფციის ფარგლებში ისრაელის სამხრეთ კავკასიურ აქტივობებზე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისრაელ-რუსეთის მრავალპროფილიანი ურთიერთობებიდან ერთ-ერთი, ამ ურთიერთობების კავკასიური განზომილება. ორივე ქვეყანა მიიჩნევს, რომ აქვთ ერთი და იგივე გამოწვევა რადიკალური ისლამის სახით (მეორე ჩეჩენური კამპანიისას ისრაელმა რუსეთისათვის მომგებიანი პოზიცია დაიკავა). თუკი რადიკალურ ისლამთან ისრაელის დამოკიდებულების ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისრაელმა არაბულ-ისრაელის ომების სერიით გაანადგურა არაბული სამხედრო მანქანა, 1982 წელს მოშალა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სტრუქტურა, მაგრამ სანაცვლოდ მიიღო ათასჯერ უფრო დიდი მტერი, რადიკალური პოლიტიზებული ისლამის სახით, ამან ისრაელისათვის ძირფესვიანად შეცვალა გამოწვევების ხასიათი. ქვეყანა შეეჯახა ასიმეტრიულ კონფლიქტებს, სადაც მთავარ აქტორებად გამოდიან არა სახელმწიფოები ან სტრუქტურიზებული ორგანიზაციები ـ კვაზი სახელმწიფოების ~ სახით, არამედ ქსელური ტერორისტული ორგანიზაციები. იგივე პრობლემას შეეჯახა რუსეთი, ჩეჩენური ეთნო-ნაციონალიზმი ჩაანაცვლა რადიკალურმა ისლამისტურმა ჯამაათებმა, რომელსაც ასევე ქსელური სისტემა გააჩნია. ანუ კავკასიასთან მიმართებაში ისრაელი და რუსეთი მოქმედებებს როგორც ქვეყნები, რომლებიც ებრძვიან რადიკალურ პოლიტიზებულ ისლამს (იმის მიუხედავად, რომ რუსეთი მოიაზრება ـ ჰამასთან ~ და არაბულ სამყაროსთან ლოიალურად განწყობილად).

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ზოგადად, ისრაელის კურსი სამხრეთ კავკასიურ კოორდინატთა სისტემაში პოზიციონირდება რუსეთთან ზომიერი და ირანთან აშკარა კონფრონტაციული ხასიათით, მიუხედავად რუსეთ-ირანის ცნობილი ურთიერთობებისა. ეს ორი მოცემულობა განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიაში ისრაელის მოქმედების არეალს~, აცხადებს ექსპერტი.

მისივე თქმით, 2008 წლის აგვისტო იქცა ისრაელის სამხრეთკავკასიური პრიორიტეტების გადაფასების მიჯნად. მანამდე ისრაელ-საქართველოს ურთიერთობა აღმავალი გზით ვითარდებოდა. კონფლიქტის ესკალაციამ და რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებამ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არც მშვიდობა, არც ომის~ სიტუაციის ჩამოყალიბებამ, ისრაელი იძულებული გახადა გადაეხედა რეგიონში თავისი პრიორიტეტებისათვის. არჩევანი გაკეთდა უფრო რაციონალურ გადაწყვეტილებზე, რაც ითვალისწინებდა გარკვეულ დისტანციებას თბილისისგან და პარალელურად რუსეთ-ისრაელის არსებული არაკონფრონტაციული დონის შენარჩუნებას.

2009 წლიდან ისრაელი წავიდა თავისი რესურსების გადაჯგუფებაზე საქართველოდან აზერბაიჯანისაკენ. ამას ჰქონდა ობიექტური მიზეზები ~ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი, რაც ისრაელისათვის ირანთან შეკავების საკითხში გულისხმობდა რეგიონში ირანისადმი ყველაზე კონფრონტაციული და თავისთვის ყველაზე მოხერხებული პარტნიორის შერჩევას. დღეისათვის აზერბაიჯან-ისრაელის პოლიტიკური დიალოგი ძალიან მაღალ დონეზეა და მათი მუდმივი პოლიტიკური კონსულტაციები მოიცავს ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის პრობლემების ფართო სპექტრს. ის, რისი რეალიზაციაც ვერ შეძლო ისრაელმა საქართველოსთან რუსეთის შემაკავებელი ფაქტორის გამო, მიღწეული იქნა აზერბაიჯანთან თანამშრომლობის ფორმატში. განსაკუთრებით აღვნიშნავდი მოცულობით-ენერგეტიკულ თანამშრომლობას~, აცხადებს ექსპერტი და დასძენს: რაც შეეხება სომხეთთან ისრაელის ურთიერთობებს, აქ რაიმე საგულისხმო წინსვლა რჩება ისრაელის რეგიონალური პოლიტიკის რეზერვში. ისინი განწყობილი არიან გამოიყენონ ეს რეზერვი, როგორც პოტენციური ბერკეტი თურქეთზე ზეწოლისათვის, თუკი მისი ამოქმედება დროთა ვითარებაში შეიძენს აქტუალობას. მათი გზავნილი სომხეთისადმი შემდეგია: გადახდონ ირანთან მჭიდრო ურთიერთობას, თუკი ელოდებიან პროგრესს ისრაელთან ურთიერთობაში. თურქეთთან ბოლო პერიოდში შექმნილი პრობლემური ურთიერთობების ფონზე, ისრაელის სწრაფვაა, შეამციროს თურქეთის გავლენა რეგიონზე და თავად გამაგრდეს მისთვის ამ სტრატეგიულ პლაცდარმზე.

,,2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ გავიდა 5 წელი. როგორც ჩანს, ეს საკმარისი დროა, რათა ისრაელმა ინიცირება გაუკეთოს თავისი მიდგომების გადახედვისა სამხრეთ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კომიტეტისატთა სისტემაში

კავკასიაში, მოახდინოს მისი შედარება მიმდინარე დინამიკასთან და პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებთან. ივანიშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, რომელიც დეკლარირებს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ისრაელს აძლევს სერიოზულ საბაბს, მოახდინოს თავისი კურსის ადაპტაცია სამხრეთ კავკასიაში ახალ რეგიონულ რეალიებთან, სადაც, სავარაუდოდ, რუსეთი არ იქნება ისეთი მგრძნობიარე თბილის-იერუსალიმის ურთიერთობებისადმი. როგორც ჩანს, ისრაელი ეცდება ეს მომენტი რუსეთის საპასუხო რეაქციის ზონდაჟისთვისაც გამოიყენოს“,-აცხადებს ექსპერტი

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 20.08.2013

### სომხეთის კომპლემენტარიზმის პრინციპი

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში და პოლიტოლოგი ბესიკ ობოლაძე მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ სომხეთში ვიზიტისას რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც მას ოფიციალური ერევნის საგარეო პოლიტიკური კურსი და ნატოსთან ურთიერთობა მოსწონს, საგანგაშო არ არის.

როგორც ექსპერტმა „მედიანიუს“ სომხეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზე საუბრისას განუცხადა, იგი ე. წ. კომპლემენტარიზმის პრინციპს ეყრდნობა.

„რამდენიმე დღის უკან პრემიერ-მინისტრმა სომხეთში ვიზიტისას კომენტარი გააკეთა სომხეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზე და იგი მაგალითად მოიყვანა საქართველოსათვის. ამას ქარულ მედიასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი ვნებათაღელვა მოყვა. არადა, არაფერი საგანგაშო არ მომხდარა. ვფიქრობ საინტერესო უნდა იყოს ორიოდე სიტყვით განისაზღვროს სომხეთის საგარეო პოლიტიკური პრინციპები, რომელიც ეყრდნობა ე. წ. კომპლემენტარიზმის პრინციპს.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

კომპლემენტარიზმის პრინციპი, როგორც სომხეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, განცხადებული იყო ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოებრივ „კომპლემენტარიზმიზე“ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ძირითადი არსია ისეთი საერთაშორისო კავშირების მრავალვეტორული, მრავალშრიანი სისტემის ფორმირება, რომელშიც სხვადასხვა (ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული) გარე ძალები ისე აწონასწორებენ ერთმანეთს, რომ არცერთ მათგანს არ ეძლევა საშუალება მოახდინოს გადამწყვეტი გავლენა იმ ქვეყანაზე, რომელიც მოქმედების ამ პრინციპს ეყრდნობა. ანუ ერთდროულად რამდენიმე, წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობითი სისტემა არსებობს ერთ მთლიანობაში, ყველას აქვს თავისი ადგილი და პროცესები ვითარდება კომპეტენციების მკაცრი გამიჯვნის ფონზე.

დღევანდელ პრაგმატულ სამყაროში, კომპლემენტარიზმის პრინციპი დამახასიათებელია პატარა და განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პრინციპი აქტიურად გამოიყენება განვითარებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაშიც", - აცხადებს ექსპერტი და დასძნს, რომ 'სახელმწიფოებრივი კომპლემენტარიზმის~ პირობებში შესაძლებელია იგნორირებულ იქნას იდეოლოგიური ღირებულებები, მან შეიძლება იარსებოს კონკრეტული (ძალიან ხშირად მიმდინარე) სახელმწიფოებრივი ინტერესების მიღმა.

"როდესაც ვსაუბრობთ 'სახელმწიფოებრივი კომპლემენტარიზმის~ პრინციპების კონკრეტულ გამოვლინებაზე ცენტრალურ კავკასიაში მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა სომხეთი. ამ პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავა რა ნაციონალურ უსაფრთხოების კონცეფცია ოფიციალური ერევანი ერთის მხრივ მომხრეა მოსკოვთან სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა, მათ შორის დსთ-ს წევრი ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ხელშეკრულების ფარგლებში, ამასთან ერთად ერევანი ამავდროულად აქტიურად თანამშრომლობს სამხედრო სფეროში აშშ-სთან და ნატოსთან, იღებსს რა მონაწილეობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხვადასხვა პროგრამასა და სწავლებაში. მოკლედ, სომხეთის კომპლემენტარიზმი პრაქტიკაში გამოიყურება შემდეგნაირად: იგი აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ნატოსთან და ევროკავშირთან, ასევე რუსეთთან და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან, აქვს მოლაპარაკების პროცესი 'ევრაზიულ კავშირთან~ მიმართებაში.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სომხეთი არ ისახავს მიზნად ამოარჩიოს ერთი კონკრეტული პარტნიორი ყველა იმ სტრუქტურიდან, რომლებთანაც თანამშრომლობს. მათი ლოგიკა გამოიყურება შემდეგნაირად: ევროკავშირი თავის შიდა პრობლემებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ გამოხატავს განსაკუთრებულ მზაობას სომხეთის თავის სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, საბაჟო კავშირი არამომგებიანია მათვის იმდენად, რამდენადც საერთო საზღვარი არ გააჩნია ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, ანუ სომხები თვლიან, რომ დღეს მათ წინაშე არ დგას კონკრეტული ამოცანა შევიდნენ ევროკავშირში, საბაჟო კავშირში თუ, ევრაზიულ კავშირში. ჯერჯერობით საუბარი მიდის იმაზე, თუ რა ფორმატს მიიღებს ამ სტრუქტურებთან თანამშრომლობა. მათი შეფასებით, ზემოთაღნიშნულ სტრუქტურებთან ურთიერთობა არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობებს და სომხეთი მზად არის შეინარჩუნოს ორივე ფორმატთან თანამშრომლობის რეჟიმი. მოკლედ მათი პოლიტიკა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ესაა ლავირება თავისი პოტენციური მოკავშირების არათანხვედრ ინტერესებს შორის.

რაც შეეხება ქართული მხარის განცხადებას, სომხეთს მაგალითიდან მიმართებაში არაფერი საგანგაშო არ მომხდარა. ამასთან, როდესაც რომელიმე ქვეყანა კომპლემენტარიზმის პრინციპს განსაზღვრავს თავის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად, თვითონ წყვეტის რა იყოს თავის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მისი მასშტაბები და ეს არ გულისხმობს სხვა ქვეყნის პრიორიტეტების ზუსტ კოპირებას“, -განუცხადა ექსპერტმა „მედიანიუსს“.

წყარო: [www.kvirispalitra.ge](http://www.kvirispalitra.ge). 5.02.2013

**ბესიკ ობოლაძე: ევროკავშირმა „ნაბუკოს“ ღია პოლიტიკური მხარდაჭერის ფუნქცია  
ვერ შეასრულა**

**19.02.2012**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

2012 წლის დეკემბერს ბაქოსა და ანკარას შორის ხელი მოეწერა პირველ სახელმწიფოთაშორის დოკუმენტს კონსორციუმის TANAP-ის შექმნაზე. ამით თურქეთმა „ნაბუქოს“ მიმართ TANAP-ის პრიორიტეტი განსაზღვრა. ამასთან ერთად ევროპულმა კონსორციუმმა გააკეთა განცხადება, რომ „ნაბუქოს“ რეალიზაციის ვადებმა 2017 წლისათვის გადაიწია.

ამ ფონზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში ევროპასა და აზიაში რიჩარდ მორნინგსტარი აკეთებს განცხადებას, რომ „ნაბუკოს“ რეალიზაციის შანსები ყოველწლიურად მცირდება.

„ნაბუკოს“ პერსპექტივის, აგრეთვე, ბაქოსა და ანკარას შორის ხელმოწერილი დოკუმენტის შესახებ „მედიანიუსი“ ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში ბესიკ ობოლაძეს ესაუბრა.

- ბატონო ბესიკ, ბაქოში 26 დეკემბერს სახელმწიფოთაშორის დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ კონკრეტულად, რა ახალი რეალობა გვაქვს დღეს?

ევროპული ენერგობაზრის სამხრეთის მიმართულებაზე დღემდე რუსული პროექტი „სამხრეთის ნაკადი“ და ევროპული პროექტი „ნაბუკო“ კონკურირებდა. „მოულოდნელად“ TANAP-ის სახით ახალი მოთამაშე გამოჩნდა. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: თურქეთმა მოაწერა ხელი აზერბაიჯანთან .... გაზსადენის (TANAP-ი) მშენებლობაზე (რითაც მოხდა აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირება ევროპაში), რამდენიმე დღეში რუსეთს შავ ზღვაში თურქეთის ტერიტორიული წყლებში „ნაბუკოს“ კონკურენტულ პროექტს „სამხრეთის ნაკადისთვის“ წყალქვეშა გაზსადენის მშენებლობაზე დაეთანხმა. ჩემი ანალიზით, თურქეთმა TANAP-ის და „სამხრეთ ნაკადის თანაარსებობის შეჯერება მოახდინა. რაც შეეხება პროექტ „ნაბუკოს“, მისი რეალიზაციის პერსპექტივები საგრძნობლად გაფერმრკთალდა. რეალობა ასეთა: თურქეთი თავისი ენერგოპოლიტიკის პრიორიტეტებს ცვლის ნაცვლად ევროპული „ნაბუკოსი“, პრიორიტეტულ მიმართულებად უფრო ნაკლებამბიციური TANAP-ი იქცა. ეს უკანასკნელი „ნაბუკოსთან“ შედარებით იაფი ჯდება და უფრო რეალისტურია. მაგრამ ჩემი აზრით, მხოლოდ ეს არ არის მთავარი. თურქეთის უარს - „ითამაშოს“ ევროპის სასარგებლოდ- „ნაბუკოს“ პროექტში აქვს სხვა ქვეტექსტებიც: ანკარა-ბრიუსელს შორის ურთიერთობის გამწვავება. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ თურქეთ- საფრანგეთს შორის ბოლო პერიოდის ცნობილი მოვლენები. აღნიშნულთან ერთად

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ნაბუკოს“ სახით თურქეთიდან ევროპის ენერგოუსაფრთხოების მადივერსიფიცირებელი გაზის მიწოდება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რყევებს გამოიწვევდა, რომელშიც, როგორც ჩანს, პროექტის ინიციატორი ქვეყნები დაინტერესებული არ იყვნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, TANAP-ის გამოჩენა კასპის ენერგორესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ძალთა ბალანსს ცვლის და ევროპული კონსორციუმის ნაცვლად, აზერბაიჯანული გაზი ევროპაში თურქულ-აზერბაიჯანული პროექტით გავა.

- რა მნიშვნელობა აქვს „ნაბუკოს“ სამხრეთ კავკასიისთვის, კონკრეტულად, საქართველოსთვის?

ამ პროექტს რეალიზაციის შემთხვევაში, როგორც ზოგადად სამხრეთ კავკასიის, ისე კონკრეტულად საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას იძლევა, მოხდეს რეგიონის ტრანზიტული პოტენციალის რეალიზაცია და შესაბამისად, მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე კასპიური ენერგორესურსების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ჩნდება რეალური შესაძლებლობა, კასპია-სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილად გადაიქცეს. ასეთ შემთხვევაში პერსპექტივაში სამხრეთ კავკასიას მომგებიანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიციები, რეგიონალური უსაფრთხოების ასპექტები და სხვა პოზიტიური შედეგები უჩნდება.

- რატომ ვერ განხორციელდა „ნაბუკო“?

„სამხრეთ ნაკადის“ ალტერნატიულობამ „ნაბუკო“ პოლიტიკური დარტყმის სამიზნედ თავიდანვე აქცია .სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალ საუკუნეში გეოპოლიტიკური დაპირისპირებისა და ენერგორესურსებზე კონტროლის მიზნით კონკურენტული ბრძოლის პირველი სამიზნე საქართველო აღმოჩნდა.

კასპიის პრობლემატიკა მხოლოდ ნავთობი და გაზი არ არის . რეალურად ესაა ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონი და კასპიისპირა და სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ურთიერთობათა ხასიათი რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, არარეგიონალურ მსოფლიო ფაქტორებთან (აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი). აღნიშნულ სივრცეში ახალი მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური სქემებისა და მოდელების

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს. მხოლოდ ზემოაღნიშნულ კონტექსტში შეგვიძლია, გლობალური ენერგოუსაფრთხოების პრობლემები განვიხილოთ.

ევროპული კონსორციუმის წევრები პროექტ „ნაბუკოს“ მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით განიხილავდნენ და თავიანთი და პარტნიორი ქვეყნების დახმარებაზე უარს აცხადებდნენ. შესაბამისად, უშედეგო აღმოჩნდა აზერბაიჯანთან და თურქეთთან მოლაპარაკებები, რომელთათვისაც პროექტს, უპირველესად, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ქვეყნები „ნაბუკოს“ ენერგორესურსებით უზრუნველყოფი ტრანსკასპიური პროექტის ორმხრივი ურთიერთობის რეაილიზაციის გადაწყვეტას დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებდნენ. ეს, კასპიის ზღვის სტატუსის გაურკვევლობიდან გამომდინარე, რუსეთსა და ირანთან შეჯახებებს გამოიწვევდა, რომელთაც კასპიის ზღვაზე თავიანთი ინტერესები ჰქონდათ.

ფაქტია, პროექტი „ნაბუკო“ თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამოდინარე, რეგიონში ძალთა ბალანსზე უფრო რეალური წარმოდგენის ქონას მოითხოვდა. მხოლოდ აშშ-ის დია პოლიტიკური მხარდაჭერის პირობებში გახდა შესაძლებელი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის განხორციელება, რომელსაც ირანი და რუსეთი ეწინააღმდეგებოდნენ. დღეს ევროკავშირმა ეს ფუნქცია ვერ შეასრულა. პროექტის დაწყება კვლა გადაიდო, პროექტის დაფინანსებისა და ენერგორესურსების უზრუნველყოფის წყაროების საკითხში კვლავ გაურკვევლობაა.

- რა რეაქცია ჰქონდა ევროკავშირს ამ მოვლენებზე?

ამ მოვლენებზე ევროკავშირის რეაქცია იყო შემდეგი: ისინი შეისწავლიან ტრანსანატოლიური მილსადენის შესაძლებლობებს და „ შესთავაზებენ მომავალში მის გაერთიანებას „ნაბუკოსთან““ .

- რა ამლევს „TANAP-ი“ საქართველოს და არის თუ არა იგი ჩვენთვის „ნაბუკოს“ აღტერნატივა?

ახალა პროექტზე , რომელსაც TANAP ( Trans - Anatolia- Gas Pipeline) ეწოდა, ჯერჯერობით ის არის ცნობილი, რომ ის აზერბაიჯანს თურქეთთან შეაერთებს. სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება საქართველოს ტრანზიტული პოტენციალი. თუმცა თეორიულად ყველაფერი არის შესაძლებელი. ზუსტი მარშუტი დღეისათვის

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

უცნობია. გამოყენებული იქნება თურქეთის გაზსადენების უკვე არსებული ინფრასტრუქტურა. მისი ღირებულება 5-6 მილიარდი აშშ დოლარი „ნაბუკოზე“ 2-ჯერ ნაკლებია. გამტარუნარიანობა წელიწადში 16 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს. აქედან 10 მილიარდი ევროპას მიეწოდება. მეორე ეტაპზე 24 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდება იგეგმება. ექსპლუატაციის დაწყება 2017 წლისათვის, შავდენიზის მეორე ეტაპის დაწყებისათვის არის ნავარაუდევი. აქტივების 80 % აზერბაიჯანს, 20% კი თურქეთს ეკუთვნის. ამგვარად, აზერბაიჯანს პირველად ეძლევა შესაძლებლობა, დიდი გაზის „თამაშებში“ ჩაერთოს და ევროპელ მომხმარებელს გაზი პირდაპირ მიაწოდოს.

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 19.02.2012

**შესაძლებელია საქართველოსთვის მოიძებნოს „ოქროს კვეთი“ ნატოსთან  
ინტეგრაციის გზაზე და მოხერხდეს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია -  
ბესივ ობოლაძე**

28.06.2013

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის, ბესივ ობოლაძის აზრით, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომე მთელი გასული წლების განმავლობაში სახეზე გვქონდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივების ბრიუსელისაგან განსხვავებული ასიმეტრიული აღთქმა ოფიციალური თბილისის მიერ. ასეთი ნარატივისა და შემდგომ გაცრუებული მოლოდინების შემოქმედი იყო საქართველოს ხელისუფლება. საჭიროა ამჯერად მაინც სწორედ „წავიკითხოთ“ ნატოს გენერალური მდივნის გზავნილები.

ის ფაქტი რომ საქართველო „ საშინაო დავალებას“ კარგად ასრულებდა, მაგრამ შემდგომ კლასში აარ გადაჰყავდათ და მარტო წახალისება კეთდებოდა, ეს ტექნიკური დეტალებია.

დღეისათვის ოფიციალური თბილისისათვის საუკეთესო არგუმენტი თავისი ევროატლანტიკური მისწრაფებების დასაბუთებისათვის არის შემდეგი: ნატოში და

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

შემდგომ ევროკავშირში გაწევრიანება და ეხმარება საქართველოს იმ მიზნების განხორციელებაში, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს საქართველოს ევროპასთან დაახლოების ეკონომიკურ შემადგენელს და ამ ფონზე რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას.

რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა ევროპული ღირებულებებს ესადაგება თუნდაც იმ ფონზე, როდესაც გასულ წლებში ნატოში ინტეგრაციული პროცესების პარალელურად შენარჩუნებული იყო რუსეთთან კონფრონტაციის კრიტიკული დონე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რაც გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის ამ მიდგომების ამ ეტაპზე რეალიზაციისათვის~, აცხადებს ექსპერტი და დასძენს: ალიანსისათვის უმთავრესია, რომ ახალმა წევრმა უსაფრთხოების ხარისხში ახალი დონე უნდა შემოიტანოს.

ბესიკ ობოლოაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ალიანსში ინტეგრაციისათვის სწორი ნაბიჯების გადასადგმელად აუცილებელია რეალობის სწორი აღთქმა და მასზე ადეკვატური რეაგირება. რეალობა კი მოკლედ ასეთია: რუსეთმა, რომელმაც გეოპოლიტიკურად დათმო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულება (ყოფილი ბალტიისპირეთის ქვეყნები) ნატოსთან მიმართებაში, წარმოდგენაც არ უნდა, რომ იგივე განხორციელდეს სამხრეთის მიმართულებაზე. სამხრეთის მიმართულებაზე ნატოს ნებისმიერი ფორმალური თუ არაფორმალური `მცოცავი~ გადაადგილება შეიძლება შეეჯახოს პუტინის რუსეთის ნებისმიერი სახის ასიმეტრიულ პასუხს;

მართალია, შინაარსი ვერ შეცვალა, მაგრამ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ტემპზე გავლენა იქონია 2008 წლის ომმა, საქართველოს მოუწევს უფრო მეტად დაარწმუნოს ნატოს წევრები, რომ `არაფერი არ მოხდება ცუდი~ ევროპისათვის საქართველოს ნატოში გაწევრიანებით. მოკლედ გადასალახავია `ძეველი ევროპის~ სკეპტიციზმი. იმდენად, რამდენადაც ალიანსის მთავარი ღირებულება კონფლიქტების თავიდან აცილებაა;

ქვეყანაში სეპარატისტულ რეგიონებთან არსებული ვითარება კონფლიქტურობის კრიტიკული დონის მატარებელია . თეორიულად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში დასავლეთისათვის მაღალია ვაშინგტონის ხელშეკრულების პუნქტი 5-ის ამოქმედების აღბათობა, რასაც თავის კონტექსტს აძლევს 2008 წლის აგვისტოს ომის მეხსიერება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადაჭრის კონტექსტში.. ანუ თეორიულად ალიანსი შეიძლება დადგეს

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დილემის წინაშე - ან შეასრულოს სამოკავშირეო ვალდებულება, ან დაიჭიროს თავი ისე , თითქოს არაფერი ხდება. ეს უკანასკნელი პოზიცია კი ნატოსათვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, შესაძლებელია მოიძებნოს „ოქროს კვეთი“ საქართველოსთვის ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე და მოხერხდეს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. რეგიონის გეოპოლიტიკური როლი მზარდია როგორც რუსეთის ასევე დასავლეთისა და აზიური აქტორებისათვის. იცვლება აქცენტები მთელი რიგი გლობალური გამოწვევების წინაშე, რომელიც საერთოა რუსეთისა და ალიანსისათვის. მათ შორის საქართველოსთვის. ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაცია, სამართლიანობის აღდგენა, ქვეყნის პროგნოზირებადობა ახალ პოსტმოდერნის გეოპოლიტიკის ეპოქაში ბევრი დღევანდელი პრობლემის კონტექსტს ცვლის. თუკი მხედველობაში მივიღებთ, ახალ გეოპოლიტიკურ ტენდენციებს, რომელშიც დასავლეთის შესაძლებლობები იზრდება მოსკოვი ეცდება თბილისისათვის შეიმუშაოს ისეთი ფორმულები, რომელიც შეამცირებს ნატოს საქართველოსთან თანამშრომლობას იმ დონემდე, რომელიც მისაღები იქნება რუსეთისათვის. რა შეიძლება იყოს ეს ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ეს შეიძლება იყოს საქართველოს საზღვრების აღდგენა ექს-ავტონომიებთან რაიმე კონფედერაციული შეთანხმებით, შეიძლება საუბარი იყოს „ფინლანდიზაციაზე“, კოლექტიურ უსაფრთხოების ორგანიზაციაზე და ა. შ. რა თქმა უნდა, ნატოს მხრიდანაც მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური თანამშრომლობის ფორმები გაღრმავდება. სავარაუდოდ, გაღრმავდება ორმხრივი ურთიერთობის ფორმატი ნატოს წევრ ქვეყნებთან. როგორც ჩანს, ჩვენთვის აუცილებელი იქნება ინტელექტუალური ძალისხმევა, რათა თვითონაც შევიმუშაოთ სათანადო სცენარები ევროინტეგრაციის გზაზე და, აგრეთვე, შეგვეძლოს იმ „სცენარები წაკითხვა“, რომელთა შემოთავაზება მოხდება ყველა მხრიდან,-აცხადებს ბესიკ ობოლაძე.

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 28.06.2013

**ბესიკ ობოლაძე: ნატოს მომავალი სამიტი სერიოზული შანსია ქვეყნისათვის**

22.05.2012

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტ ბესიკ ობოლაძის განცხადებით, ჩიკაგოს სამიტზე დამტკიცებული დაკლარაცია, რომელშიც საქართველო უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა როგორც ქვეყანა-ასპირანტი ნატოში გაწევრიანების გზაზე, ნიშნავს, რომ საქართველო შედის იმ ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც ნატოში გაფართოების პირველსავე ტალღაზე მიიღებენ. შესაბამისად, როგორც ექსპერტმა „მედიანიუსს“ ნატოს ჩიკაგოს სამიტის შედეგების კომენტირებისას განუცხადა, არის საფუძველი რომ სამიტის დეკლარაცია საქართველოსთვის მთლიანობაში პოზიტიურად შეფასდეს.

,„ნატო უკვე იქცა სერიოზულ შემაკავებელ ფაქტორად საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი აგრესიისადმი და გააჩნია ცალსახა დამოკიდებულება ტერიტორიული მთლიანობის საკითხისადმი. ალბათ, შემდგომი პერიოდი იქნება კონსენსუსის ფორმირების პერიოდი ნატოს შიგნით, რათა შემდგომი სამიტი იქცეს გაფართოების სამიტად, მაგრამ ყველაფრისდა მიუხედავად, უნდა ვიყოთ რეალისტები. ამ სამიტან დაკავშირებით არ შეიძლება ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებული მოლოდინები საქართველოსთან მიმართებაში. მიზეზი ბევრია, მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: 2012 წლის ჩიკაგოს მაისის სამიტი გაიმართა იმ წელს, როდესაც აშშ-ში არჩევნებია, შესაბამისად ჩიკაგოს სამიტის შედეგები შეიძლება გამხდარიყო შეერთებული შტატების არამარტო საგარეო, არამედ შიდა პოლიტიკის საგანიც, მას კი არ სჭირდებოდა ამ ფორუმზე რაიმე შიდა წინააღმდეგობების დაფიქსირება პარტნიორებთან არ ერთ საკითხზე (როგორც ეს იყო 2008 წელს), მათ შორის საქართველოს თემაზეც. ყურადსაღებია, რომ სამიტზე ძირითადი თემები იყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა და სიტუაცია ავღანეთში. აგრეთვე დეკლარაციის ხუთი პუნქტი რუსეთთან მიმართებაში და მასთან ურთიერთობის „სტრატეგიული მნიშვნელობა“, განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ ჩიკაგოს ნატოს სამიტის წინ არსებობდა მოლოდინები, რომ საქართველოსთან მიმართებაში მოფიქრებული იქნებოდა ისეთი ფორმულირება, რომელიც არ გამოიწვევდა გაწევრიანებს სტატუსთან დაკავშრებით კარდინალურ ცვლილებას.

,„ამ გზაზე განიხილებოდა ვარიანტები მაგ: „ნატო-საქართველოს კომისიას“ დაემატებოდა რაიმე, რათა ნაჩვენები ყოფილიყო პროგრესი და გაჩენილიყო სტიმული. ან მომხდარიყო რაიმე ცვლილება ყოველწლიურ ნაციონალურ პროგრამაში და მასში ჩამატებულიყო რაიმე ისეთი, რაც ადრე არ იყო და ა. შ. ანუ საჭირო იყო საქართველოსთვის პოზიტიური გზავნილების დემონსტრირება იმგვარად, რომ შეფასებულიყო, ერთის მხრივ, მისი კონსტრუქციული მიდგომები (მაგ. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით), აგრეთვე ავღანეთის მისიაში მონაწილეობა, მაგრამ ამ ფონზე საბოლოოდ არ განწირულიყო რუსეთ-აშშ-ს „გადატვირთვის“ პოლიტიკა. ჩიკაგოს სამიტის დეკლარაციაა თითქოსდა ზოგადი ფორმულირების ქვეშ, რომ მიღწეულია შეთანხმება გაფართოვდეს საქართველოს-ალიანსის ურთიერთობა, მათ შორის პოლიტიკური

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დიალოგის, პრაქტიკული თანამშრომლობისა და ოპერატიული ურთიერთობის გზით, იკითხება, რომ ნატოს გაფართოების მომავალი სამიტი სერიოზული შანსია ქვეყნისათვის. ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით დეკლარაციაში დაფიქსირებული საქართველოში 2012-2013 წლების „პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების“ ჩატარების აუცილებლობას. საქართველოში მოსალოდნელ არჩევნებს რასმუსენმა „ცენტრალური საკითხი“ უწოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე“, -განაცხადა ობოლაძემ და დასძინა, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პარალელურად რუსეთი ამ პროცესისადმი წინააღმდეგობას განაგრძობს.

„ნატოში შიდა კონსენსუსის ფორმირება საქართველოსთან მიმართებაში, ევროპაზე რუსეთის მხრიდან ენერგობერკეტების ზემოქმედების ფონზე პუტინის ხელახალი გაპრეზიდენტების შემდგომ უფრო აქტუალური გახდება. კრემლის ტოტალური კონტროლი ქვეყნის სტრატეგიულ ენერგორესურსებზე, ერთის მხრის, და მეორეს მხრივ, „შეღწევა“ დაინტერესებულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში, ამ ამ სახელმწიფოებს მოწყვლადს ქმნის რუსული გავლენისადმი. იქცევა თუ არა რუსული ენერგოზეწოლა ევროპის შემაკავშირებელი, თუ ზოგიერთი გავლენიანი ევროპული ქვეყანა რუსეთთან იმოქმედებს ორმხრივი თანამშრომლობისა პირადი სარგებლიანობის რეჟიმში, სტრატეგიულად, საერთო ევროპულის წინააღმდეგ?! ბევრი ამ მიდგომებზე იქნება დამოკიდებული „-აღნიშნა ექსპერტმა.“

**წყარო:** [www.for.ge](http://www.for.ge) 20.03.2013

**„საქართველოს ევროატლანტიკური ინტერესების პერსპექტივებზე პუტინის  
აგრესიული პოლიტიკა გავლენას იქონიებს“**

**05.03.2012**

„რუსეთს უკვე მკაფიოდ აქვს დეკლარირებული პოსტსაბჭოთა სივრცეზე თავისი პრიორიტეტები, ეს იქცა მის გეოპოლიტიკურ „მუდმივად“ და თუნდაც საქართველოში ხელისუფლების ცვლა ნაკლებსავარაუდოა, რომ რამეს შეცვლის რუსეთ -საქართველოს ურთიერთობაში, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში არსებობს ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით“, -ამ განცხადებას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ბესივ ობოლაძე რუსეთის

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების (რომლის მიხედვითაც ვლადიმირ პუტინი იმარჯვებს) კომენტირებისას აკეთებს.

როგორც ექსპერტმა „მედიანიუს“ განუცხადა, რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე მდგომი ახალი გამოწვევები პუტინის მიერ ჯერ კიდევ მიუნხენში დეკლარირებული ცნობილი, აგრესიული საგარეო პოლიტიკის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რაც გულისხმობს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენის მცდელობას და ახალ მსოფლიო წესრიგში დამოუკიდებელი გავლენის ცენტრის ამბიციებს. ის, რომ მიუნხენში დეკლარირებული საგარეო პოლიტიკურმა პრიორიტეტებმა მიიღო კიდევ უფრო მკაფიო კონტურები, გამოჩნდა პუტინის, როგორც ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატის საგაზეთო სტატიებში.

„რა თქმა უნდა, არსებობს ზოგადად მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარი და კონკრეტული შედეგები დამოკიდებულია არამარტო იმაზე, როს საშუალებას მისცემს მას საერთაშორისო თანამევობრობა. რუსეთს სურს, რომ მიიღოს მონაწილეობა თანამედროვე რეალებიდან გამომდინარე, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. სურს, რომ ახალ მსოფლიო წესრიგში გამოდიოდეს, როგორც დამოუკიდებელი ძალის ცენტრი, მსოფლიო აქტორი. როგორც ჩანს, იგი აპირებს, თავისი საგარეო პოლიტიკა რეალპოლიტიკის პრინციპებზე ააგოს - საკვანძო სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებით; როგორც ჩანს რუსეთისათვის სერიოზული ყურადღების ქვეს მოექცა ე. წ. „არაბული რევოლუციები“, შესაბამისად, იგი ცდილობს შეინარჩუნოს და მხარი დაუჭიროს ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის საერთაშორისო სტატუსს. პირველ რიგში, მხედველობაშია გაეროს უშიშროების საბჭო და ვეტო უფლება“, - აცხადებს ობოლაძე და დასძენს, რომ პუტინის უახლოესი პერიოდი იქნება გამორჩეული იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი დასავლეთთან დამოუკიდებელ ძალის ცენტრად პოზიციონირებას შეეცდება.

„საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხიფათის შემცვლელია რუსეთის ამბიციები პოსტსაბჭოთა სივრცეზე და ამ ფონზე საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სივრცისადმი. როგორც ჩანს, რუსეთ-ამერიკის „გადატვირთვის“ პოლიტიკა, რომელიც ისედაც იყო კონკრეტულ შინაარს მოკლებული, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება. პრობლემები იქნება ნატო-რუსეთის თანამშრომლობაშიც,

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

გამომდინარე ნატოს გაფართოებისადმი რუსეთის აგრესიული დამოკიდებულებიდან. ჩემი აზრით, ასეთ რეალობაში მოუწევს საქართველოს თავისი დამოუკიდებლობისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი სწრაფვის რეალიზაცია. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თავად რუსეთი როგორ შეძლებს გაუმკლავდეს თავისი შიდა გამოწვევებს და როგორი იქნება დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთის ქმედებებისადმი.

რუსეთს სერიოზული შიდა გამოწვევები აქვს. ეს გამოვლინდა, როგორც სათათბირო დუმის, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში. თუკი პუტინი და მმართველი ელიტა ვერ შეძლებს ალღო აუღოს გაიაზროს ქვეყანაში შექმნილი ახალი რეალობები, თუკი არ შეიქმნება ქვეყანაში დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებიც შეძლებენ საზოგადოების ინტერესების არტიკულირებას, გამორიცხული არ არის რუსეთში რეალურად არაკონტროლირებადი სიტუაცია შეიქმნას, მძიმე შედეგებით, როგორც თავად რუსეთისათვის, ასევე დანარჩენი სამყაროსათვის: -ამბობს ექსპერტი.

მისივე თქმით, კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა რუსეთისათვის, რასაც საქართველოსთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კავკასიაა.

„თავის დროზე კავკასიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა პუტინის პოლიტიკურ „ოლიმპზე“ ასვლაში. როგორც გვახსოვს, ტერორიზმთან ბრძოლის ტალღაზე მიიღო მან საზოგადოების დიდი მხარდაჭერა. უკვე დიდი ხანია რუსულ საზოგადოებაში კულტივირებული იყო მითი, რომ პუტინმა „დაამშვიდა“ კავკასია და „დაამარცხა“ საერთაშორისო ტერორიზმი. თუმცა რეალური შინაარსი ამ თვალსაზრისით სულ სხვაა და მიმართული იყო პუტინის პირადი ძალაუფლების განმტკიცებაზე, რომელიც ეყრდნობოდა ლოიალურ და კორუმპირებულ კლანებს, აძლევდა მათ ყ გასაქანს, სანაცვლოდ კი ღებულობდა არჩევნებში მხარდაჭერას და „სტაბილურობას“. ესაა მყიფე სტაბილურობა, რომელიც საფრთხის შემცვლელია სამხრეთ კავკასიისთვისაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტერესების პერსპექტივებზე, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს რუსეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის უკვე დეკლარირებული აგრესიული საგარეო პოლიტიკა, მაგრამ ერთია დეკლარირება, მეორე რუსეთის რეალური შესაძლებლობები და ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება და ალბათ, უნდა ველოდოთ დასავლეთის მეტ მხარდაჭერას“, -აცხადებს ობოლაძე.

საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების  
კოორდინატთა სისტემაში

წყარო: [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 05.03.2012

## თანამედროვე მეთოდოლოგიის კონცეპტუალური მოდელები კონფლიქტებთან მიმართებაში

(მოხსენება გაკეთდა საქართველოს პარლამენტში 2017 წლის 14 მარტს)

**მოხსენების მიზანი:** კოგნიტურ მოდელირებას (ანუ მოდელირებას კოგნიტური რუქების მეშვეობით) დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ანალიზში, იგი გათვალისწინებულია ისეთ რთული, ნაკლებად სტრუქტურირებული სიტუაციების მოდელირებისათვის, როგორიცაა პოლიტიკური პროცესები და კონფლიქტები.

ერთ-ერთი ყველაზე რთული სიუჟეტი ანალიზისა და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის არის შეიარაღებული კონფლიქტები. მართალია თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც წესი ამა თუ იმ ფორმით

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

დაკავშირებულია შიდა წინააღმდეგობებთან, ისინი თავისი არსით მაღალი გარე ჩართულობით ხასიათდება და გააჩნია მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპექტები.

ეფექტურობა და მიღებული/მისაღები გადაწყვეტილებების დროულობა დიდადაა დამოკიდებული კონფლიქტის ექსპერტიზის ხარისხზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ექსპერტიზაში თანამედროვე მეთოდოლოგიის კონცეპტუალური მოდელების გამოყენებას. უკანასკნელ წლებში პოლიტიკურ მეცნიერებაში განვითარებას პოულობს კვლევების ზემოაღნიშნული მიმართულებები, შესწავლის საგანია კონცეპტუალური მოდელების გავლენა კონფლიქტის მსვლელობასა და შედეგზე. ამ შემთხვევაში საერთაშორისო კონფლიქტის კონცეპტუალური მოდელი შეიძლება შევაფასოთ როგორც რთული სისტემა კონფლიქტისა და მისი ელემენტების რეალური და პროგნოზირებადი მდგომარეობის შესახებ.

საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების ექსპერტული უზრუნველყოფა საერთაშორისო კონფლიქტებთან მიმართებაში გულისხმობს კონფლიქტის ისეთი პარამეტრების გააზრებას, როგორიცაა კონფლიქტის მიზეზი, გენეზისი, მამოძრავებელი ძალა, პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეები, მათი ინტერესები და სტრატეგიები ანუ პრობლემის ყველა საბაზისო ელემენტი.

ვფიქრობთ, ჩვენს პრობლემებთან მიმართებაში კონცეპტუალური მოდელების გამოყენება აქტუალურია. კონფლიქტურ პრობლემატიკასთან მიმართებაში სწორი კოგნიტური მოდელების (რუკები) შედგენა და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული დასკვნები დაგვეხმარება ისეთი პრობლემების თავიდან აცილებაში როგორიცაა კოგნიტური დისონანსი, პრობლემური ელემენტების ხელოვნური უარყოფა და ხელოვნური რაციონალიზაცია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გართულდეს სწორი ექსპერტიზისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი მდგრელის განსაზღვრა, როგორიცაა მოწინააღმდეგის იდენტიფიკაცია და სხვა მხარეების მოტივებისა და ქცევების დიაგნოსტიკა.

**მოვიყვან მაგალითებს :**

### I.

ა)ჩვენ გვქონდა კონფლიქტში მონაწილეების, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეების გამოვეთის პრობლემა. ზოგიერთ შემთხვევაში ვერ შეფასდა ალბათობა კონფლიქტში არაპირდაპირ მონაწილის უშუალოდ ჩარევისა. ვერ

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მოვახდინეთ შეფასებების დონეზე კონფლიქტის მონაწილეთა გაერთიანება ფორმალურ და არაფორმალურ კოალიციებში. უფრო მეტიც, ვერ გამოვყავით დომინანტი მონაწილე - ლიდერები.

ბ) ჩვენ გვქონდა და გვაქვს კონფლიქტში მოწინააღმდეგის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები. ექსპერტთა წრეებშიც არ არის ერთსულოვნება აღნიშნულ საკითხებში. მოწინააღმდეგე აბსტრაქტულია და არა პერსონიფიცირებული.

მაგ. შეფასებები „... ჩვენთვის ამ შეიარაღებულ კონფლიქტში მოწინააღმდეგე არის ... ვინც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წავა და ა. შ.“

სწორი კოგნიტური რუკის შედგენისას ჩვენ შევძლებდით განგვესაზღვრა კონფლიქტებთან მიმართებაში:

1. მონაწილეები;
2. პრობლემის ხასიათი;
3. ძალთა თანაფარდობა;
4. მოწინააღმდეგის ინტერესი;
5. მონაწილეების სტრატეგია;
6. სიტუაციური ანალიზი;
7. მოვლენა განვითარების სავარაუდო სცენარები;

პრობლემური სიტუაციის ამოსავალი მომენტია პრობლემის ხასიათი, რომელიც წარმოქმნილია მონაწილეების წინააღმდეგობრივი ინტერესებით. ამ ინტერესს განვიხილავთ, როგორც გაცნობიერებული მოთხოვნას, რაც წარმოადგენს წინააღმდეგობის შესაბამისად პრობლემის საბაზისო ელემენტს.

## II.

ჩვენ გაგვაჩნდა პრობლემა კონფლიქტის მონაწილეების ინტერესების გამოკვეთაში. ასეთ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გამოიკვეთოს ინტერესის დუალისტური ბუნება, ანუ ინტერესი შედგება ორი შემადგენლისგან: მოთხოვნილება და გაცნობიერება. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერესის გაცნობიერებული პოტენციალი ნებისმიერი სუბიექტისათვის ყოველთვის შეზღუდულია, აქ ყოველთვის შესაძლებელია შეცდომა ინტერესის იდენტიფიკაციასა და

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მნიშვნელობაში. კიდევ ერთი საკითხი - მოჩვენებითი ინტერესი, რომელიც კიდევ ერთი წყაროა ფსევდო პრობლემის წარმოჩენისა. ზოგადად ფსევდო პრობლემის მძლავრი სტიმულატორია რადიკალური მიმართულების იდეოლოგია.

მხოლოდ მონაწილეების იდენტიფიცირებისა და მათი ინტერესების გამოკვეთის შემდგომ არის შესაძლებელი ინტერესების დაყოფა მნიშვნელობის რანგირების მიხედვით სუბიექტთან მიმართებაში:

A<sub>1</sub> - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი (მთავარი);

A<sub>2</sub> - პრიორიტეტული (ძირითადი);

A<sub>3</sub> - არა პრიორიტეტული.

საქართველო B პოტენციური მოწინააღმდეგე A	1 მთავარი B <sub>1</sub>	2 ძირითადი B <sub>2</sub>	3 არა პრიორიტეტული B <sub>3</sub>
1.მთავარი A <sub>1</sub>	A <sub>1</sub> /B <sub>1</sub>	A <sub>1</sub> /B <sub>2</sub>	A <sub>1</sub> /B <sub>3</sub>
2.ძირითადი A <sub>2</sub>	A <sub>2</sub> /B <sub>1</sub>	A <sub>2</sub> /B <sub>2</sub>	A <sub>2</sub> /B <sub>3</sub>
3.არა პრიორიტეტული A <sub>3</sub>	A <sub>3</sub> /B <sub>1</sub>	A <sub>3</sub> /B <sub>2</sub>	A <sub>3</sub> /B <sub>3</sub>

წინააღმდეგობრივი ერთობლიობა, რომელიც ასახულია მოცემულ ცხრილში პირობით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

A<sub>1</sub>/B<sub>1</sub> მკაცრი ანტაგონიზმი. მეორე ჯგუფს ქმნიან A<sub>1</sub>/B<sub>2</sub> და A<sub>2</sub>/B<sub>1</sub>. ეს არ არის მკვეთრი ანტაგონიზმი. ყველა დანარჩენი თანაფარდობა ქმნიან მესამე ჯგუფს და ეკუთვნიან არა ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს (ასეთ შემთხვევაში პრობლემები გადაწყვეტადია, სიტუაცია პერსპექტიული).

ყურადღებას გავამახვილებდი გარკვეული კოგნიტური პროცესებით განპირობებულ დეფექტური მოდელების წინაპირობებზე. ესენია:

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

პრობლემები კონფლიქტის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეების ვერ გამოკვეთაში, მოწინააღმდეგის იდენტიფიკაციაში, კონფლიქტური რეგიონის როლის აღქმაში, კოგნიტურ დისონანსზე ემოციურ და რაციონალურ დონეზე.

აღნიშნული პროცესების აღსანიშნავად იყენებენ სპეციალურ ტერმინს “კოგნიტური ხაფანგი” – მხედველობაშია მთელი რიგი მექანიზმები, რომლებიც ამცირებენ მისაღები გადაწყვეტილების ხარისხს.

დეფექტურ მოდელებს, კოგნიტურ დისონანსებს ემოციურ და რაციონალურ დონეზე მივყავართ ფატალურ შეცდომებამდე ისეთი მდგრელებს შეფასებებში, როგორიცაა **ძალთა თანაფარდობა**. ტერმინის ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ სამხედრო ძალა და საშუალებები. პოლიტიკასთან მიმართებაში ზოგადად და მითუმეტეს თანამედროვე პოლიტიკაში, ეს აშკარად არასაკმარისია იმდენად, რამდენადაც არცთუ მცირე როლს თამაშობენ „ძალის“ არამარტო მატერიალური, არამედ ინფორმაციული შემადგენლები.

ჩვენს კვლევებში კოგნიტური რუკის შედგენისას გამოვყოფთ „ძალის“ ძირითად ელემენტებს: სამხედრო ძალა, ეკონომიკური პოტენციალი, პროპაგანდა და დიპლომატია.

გასაგებია, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად ხდება ძალის ელემენტების რანგირება: კონფლიქტურ სიტუაციაში: სამხედრო ძალა, ეკონომიკური პოტენციალი, პროპაგანდა და დიპლომატია.

მოლაპარაკებით სიტუაცია: დიპლომატია, სამხედრო ძალა, ეკონომიკური პოტენციალი და პროპაგანდა.

თანამშრომლობის სიტუაცია: დიპლომატია, ეკონომიკური პოტენციალი, პროპაგანდა, სამხედრო ძალა.

დიპლომატია და პროპაგანდა ქმნიან „ძალის“ ინფორმაციულ შემადგენელს, რომელსაც გარკვეულ შემთხვევაში შეუძლია კომპენსირება გაუწიოს მატერიალური შემადგენლის სისუსტეს (სამხედრო ძალა და ეკონომიკური პოტენციალი). ხანდახან ეს ხერხდება არაფორმალური კოალიციის შექმნით, რომელშიც ჩართულია მეორე ქვეყნის შიდა ოპოზიცია. ამ უკანასკნელს შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში ბლოკირება გაუწიოს სამხედრო ძალის გამოყენებას.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მხოლოდ აღნიშნულ სტადიაზე ვახდენთ ჩვენ მონაწილეების სტრატეგიის განსაზღვრას - ანუ მიზანი და ქცევის პრინციპები (პოლიტიკური ხაზი) მონაწილეების მხრიდან. ის შეიძლება გამოიხატებოდეს სწრაფვაში, შენარჩუნებულ იქნას არსებული სიტუაცია - არსებული მრავალსაფეხურიანი სტატუს - კვო, ან მისი შეცვლა თავისთვის სასარგებლოდ. თუკი მონაწილე იყენებს აღნიშნული სტატუსის შესანარჩუნებლად ძალას, ან ძალის გამოყენების მუქარას, მაშინ სახეზეა კონფრონტაციული სტრატეგია, თუკი სტატუს-კვო მიიღწევა კომპრომისით მაშინ ეს სტრატეგია კომპრომისულია -სამართლებრივ და მორალურ ეთიკური ნორმების დაცვა სახეზეა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ეფექტურობას წარმოიქმნება უნდობლობა რეალური კომპრომისისადმი.

წყარო: [www.for.ge](http://www.for.ge) 7.11.2012

### **პოსტსაბჭოთა სივრცეში შესაძლებელია ომების ახალი ეტაპები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის მოტივით**

31.08.2015

მედიანიუსი - საინფორმაციო სააგენტო

რუსეთმა საკუთარ ტერიტორიაზე და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო. ამ ფონზე თბილის პირველი ოფიციალური ვიზიტით ნატოს გენერალური მდივნის რანგში იენს სტოლტენბერგი ეწვია. ვიზიტს მწვავე შეფასება მოჰყვა რუსეთის მხრიდან.

რუსეთის მხრიდან ახალ გამოწვევებზე, რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე „მედიანიუსი“ ანალიტიკოსს უსაფრთხოების საკითხებში ბესიკ ობოლაძეს ესაუბრა.

- რუსეთმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რა საფრთხეებს ადა გამოწვევებს უნდა ველოდოთ ჩვენი ქვეყნისათვის ?

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

- სანამ უშუალოდ სამხედრო წვრთნებზე ვისაუბრებდეთ, უნდა ავღნიშნო, რომ 2015 წლის პირველ ივლისს პენტაგონმა გამოაქვეყნა კონცეპტუალური დოკუმენტი - ა.შ.შ.-ს ნაციონალური სამხედრო სტრატეგია, რომელმაც შეცვალა 2011 წელს მიღებული წინა ვერსია. აღნიშნული დოკუმენტი არა მხოლოდ ძირითადი დოკუმენტია ა.შ.შ.-ს შეიარაღებული ძალებისათვის და სახელმწიფო სტრუქტურისათვის, არამედ დოქტრინაა, გაცხადებული მთელი მსოფლიოსათვის. ახალ სტრატეგიაში შეტანილია ცნება - „რევიზიონისტული სახელმწიფოები“. „რევიზიონიზმის“ ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოთა სწრაფვა თანამედროვე მსოფლიო წესრიგში მათი არსებული სტატუსი შეცვალოს უფრო მაღალი სტატუსით. შესაბამისად, ა.შ.შ.-ს ამ დოკუმენტით მსოფლიო ტერორიზმის გამოწვევების ზრდასთან ერთად, სწორედ „რევიზიონისტული“ ტენდენციები ზრდიან გლობალური „უწესრიგობის რისკს“. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში მოხდა დოქტრინის კორექცია.  
ჩვენთვის ყურადსაღებია, რომ „რევიზიონისტული სახელმწიფოების“ და ზოგადად ა.შ.შ.-ს მოწინააღმდეგე სახელმწიფოების სიაში ჩართულია რუსეთის ფედერაცია. უფრო მეტიც, ნაციონალური სამხედრო დოქტრინის ავტორების განსაზღვრებით, სწორედ რუსეთის ფედერაციაა წარმოდგენილი ა.შ.შ.-სათვის მთავარ მოწინააღმდეგედ. რუსეთი პირდაპირ არის დადანაშაულებული მპერიული სტატუსის აღდგენის მცდელობაში: „მცდელობაში გადახედოს მსოფლიო წესრიგის ძირითად ასპექტებს“ და ამგვარად დადანაშაულებულია ქმედებებში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ა.შ.შ.-ს ნაციონალურ ინტერესებს. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია პატივს არ სცემს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს და თავისი მიზნის მისაღწევად იყენებს ძალას, რუსეთის ღია და ფარული სამხედრო მოქმედებები ძირ უთხრიან რეგიონალურ უსაფრთხოებას.  
2015 წლის პირველი ივლისის ა.შ.შ.-ს ნაციონალურ სამხედრო სტრატეგიაზე რუსეთის ფედერაციის რეაქცია იყო მყისიერი: 3 ივლისს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვლადიმირ პუტინმა გააკეთა მიმართვა, რომ უმოკლეს დროში მოხდეს რუსეთის ფედერაციის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიის კორექცია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსეთის მოქმედი სამხედრო დოქტრინა შედარებით ახალმიღებულია, პრეზიდენტმა მას ხელი 2014 წლის 25 დეკემბერს მოაწერა.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სწორედ „წავიკითხოთ“ ჩვენი რეგიონისადმი ინტერესის მქონე მსოფლიო აქტორების სტრატეგიული დოკუმენტი და

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

გავაკეთოთ სათანადო დასკვნა. „მედიანიუსთან“ ინტერვიუში მიმდინარე წლის 30 იანვარს შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა ჩვენთვის ამ დოკუმენტის შესწავლისა და ანალიზის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. სწორედ ამ დოკუმენტის ჭრილში უნდა განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული ფართომასშტაბიანი წვრთნები. კიდევ ერთხელ გავამახვილებ რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის შესაბამის პუნქტებზე ყურადღებას: ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამხედრო დოქტრინის ის პუნქტი, სადაც საუბარია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენება ხდება სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ვითარების წინასწარი, დროული და მუდმივი ანალიზის საფუძველზე. ეს წინააღმდეგობაშია დოკუმენტის თავდაცვით რიტორიკასთან. თავდაცვითი პოლიტიკის დროს, შეიარაღებული ძალების გამოყენება ხდება საგარეო აგრესიაზე პასუხად, წინასწარ შემუშავებული გეგმებისა და სცენარების მიხედვით, რა თქმა უნდა, ოპერატიული მონაცემებით კორექციის გათვალისწინებით.

დოქტრინის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია თავის შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებს არა მარტო მის ტერიტორიაზე და მის მოკავშირეებზე აგრესიის შემთხვევაში. არამედ თავისი მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ. ესეც თავდაცვითი დოქტრინის პრევალირებაზე მიუთითებს და, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ, რომ იგი დაფუძნებულია იმ მიზნებზე, რომელიც გულისხმობს რუსეთის „მონაპოვრების“ შენარჩუნებაზე კავკასიაში, ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში. ეს მიუთითებს აღბათობაზე, რო პოსტსაბჭოთა სივრცეში შესაძლებელია ჰიბრიდული ომების ახალი ეტაპების რუსულენოვანი მოსახელობის დაცვის მოტივით. რა თქმა უნდა, წინაპირობების მომზადებით მოქალაქეობის მიცემის შემდგომ. ასეთ შემთხვევაში რისკის ქვეშ ექცევა არამარტო უკრაინა, არამედ სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია.

პირველად დოქტრინაში ცალკეა გამოკვეთილი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა „აფხაზეთის რესპუბლიკასთან“ და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან“. როგორც ვხედავთ, კრემლმა სამხედრო დოქტრინის ახალ რედაქციაში ასახა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არაღიარებული ამ რესპუბლიკების თავის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სიტემაში ჩართვა.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

აღსანიშნავია, რომ დოქტრინის 2010 წლის რედაქციაში ეს არაღიარებული რესპუბლიკები საერთოდ არ იყო ნახსენები.

აღნიშნულ ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი, სადაც განხილულ იქნა პრობლემათა ფართო სპექტრი, სასწავლო ცენტრის ტემა, უსაფრთხოების პრობლემები, რომელშიც იგულისხმება ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება. ნიშანდობლივია, რომ სტოლტენბერგის ვიზიტს დასრულებისთანავე მწვავე შეფასება მისცა რუსეთის ფედერაციამ. ვიზიტმა აჩვენა, რომ საქართველო კვლავ რჩება ნატოს დღის წესრიგში და მისი ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ქვეყანაში გატარებული თუ გასატარებელი რეფორმები.

- **როგორ შეაფასებდით საქართველოს სპეცსამსახურებში მიმდინარე რეფორმებს შსს-ს გაყოფის ფონზე?**
- ზოგჯერ ხდება ისე, რომ კონტროლისა და ბალანსის სიჭარბე პარალიზებას იწვევს, ზოგჯერ კი პირიქით ხდება : ერთ-ერთი ორგანო ზედმეტ ძალაუფლებას იხვეჭს. 2004-2012 წლებში ყველას მოეხსენება, რომ ამ უკანასკნელ ტენდენციას ჰქონდა ადგილი. ამჯერად შსს-ს გაყოფით ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი ხელისუფლების დანაწილებისა და კონკურენციისაკენ თვით ხელისუფლების ერთ-ერთ შტოში სპეცსამსახურების რეფორმებში ერთ-ერთი მთავარი საკითხია საიდუმლოების მოთხოვნების, დემოკრატიული ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულებების მოთხოვნების ოპტიმიზაცია. დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება უკანონოდ გასაიდუმლოება და ა.შ.

ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ღონისძიებას ამ მხრივ წარმოადგენს ნდობით აღჭურვილ პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფის შექმნა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს. ამ ჯგუფს, ამ კომიტეტებს, რომლებიც ზოგჯერ ნახევრად მუდმივ, ან მუდმივ ორგანოს წარმოადგენ, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის თითქმის მთელ მოცულობაზე. ასეთი ორგანოები შეიძლება არსებობდეს აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში, ან აერთიანებდეს სამივე მათგანს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ა.შ-ში, გაერთიანებულ სამეფოში და კანადაში დაამკვიდრეს აღნიშნული პრაქტიკა.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

კიდევ ერთი საკითხი რაზეც გავამახვილებთ ყურადღებას ისაა, რომ უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების მართვა მოითხოვს დაწერილ კანონებსა და წესებს. საზოგადოებამ უნდა აიცოდეს, რა არის და რა არ არის ნებადართული. უნდა დაესვას წერტილი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებების უსაფუძვლო გასაიდუმლოების მანკიერ პრაქტიკას და ზოგადად სხვადასხვა მონაცემების უკანონო გასაიდუმლოებით მანიპულირებას.

- **რამდენადაა თავად სისტემა მზად რეფორმებისათვის ?**
- ხელისუფლებამ უნდა გაუძლოს ცდუნებას და მკაფიო უარი უნდა თქვას ძალოვან უწყებებში იმ ფსევდო წესრიგზე, რომელიც გულისხმობს გასულ წლებში კარგად აპრობირებული არაფორმალური მართვის ქცევის წესებსა და ასეთ მართვაზე ადაპტირებული საშუალო რგოლის შენარჩუნებაში. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ბევრი პროფესიონალი ვინც მართვის ზემოთ აღნიშნულ „წესრიგს“ არ მოერგო, ან დაითხოვეს ამ თავისი ნებით წავიდა სისტემიდან.

რა თქმა უნდა, არსებობს ძალოვან უწყებებში სიტუაციის მართვის უფრო რთული გზა, რომელიც გულისხმობს სისტემის ყოველ დონესა და ყველა რგოლში სამართლებრივ კულტურას, დაწერილს წესებს და ა.შ. ანუ ყოველივე იმას, რასაც დასავლური დემოკრატიული საზოგადოების სტანდარტი, იგივე ნატოს სტანდარტი ჰქვია. ზოგადად „განწყობის თეორიიდან“ ცნობილია, რომ ძალაუფლებასთან შეხება კვალს ტოვებს. ჩვენი სპეცსამსახურების უახლოესი ისტორია წარმოდგენას გვიქმნის ამ უწყების საშუალო და ქვედა რგოლებზე რა ნაბეჭდს დატოვებდა ძალაუფლება მათზე თავს მოხვეული არაფორმალური ქცევის წესებით. ძალაუფლებასთან ასეთი არაფორმალური შეხებისას კვალი რჩება ქვეცნობიერში და შესაფერის დროს აქტივირდება, როგორც კი ხელახალ შეხებაში აღმოჩნდება თუნდაც ‘ახალ‘ ძალაუფლებასთან. ძალაუფლება სისტემაზე დგას, სისტემა სკი რიგითები ქმნიან. შესაბამისად, ეს რიგითები უზრუნველყოფენ სისტემის მდგრადობას, ანუ ძალაუფლება საშუალო და ქვედა რგოლებს უპყრიათ და ოპერირებენ მისით კიდეც. არაფორმალური მართვის გაბატონებული ქცევის წესებზე მორგებით უზრუნველყოფილი „წესრიგი“ შინაგან წინააღმდეგობაშია სამართლიანობის აღდგენის ნებისმიერ მცდელობასთან.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ახალმა ძალაუფლებას უნდა გაითვალისწინოს, რომ „მველი“ ძალაუფლების „ანაბეჭდ დასმული“ საშუალო და ქვედა რგოლებში „ახალ სუბორდინაციასთან“ ერთდა, მყარად ზის „მველი ძალაუფლების სუბორდინაცია“ და მასთან შესაბამისობაში, კორელაციაში მოხვედრა ყოველთვის შესაძლებელია. ჩვენ არ გვჭირდება სპეცსამსახურებში ასეთი წესრიგი და ასეთ წესრიგზე მორგებული ადამიანები. ჩვენ გვჭირდება სამართლებრივ კულტურაზე, დაწერილ წესებსა და კანონებზე აგებული სისტემა. მაღალი დონის პროფესიონალები კი ნამდვილად გვყავს.

**წყარო:** [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 11.09.2013

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

**ბესიკ ობოლაძე: „საქართველოში ომის 1 დღე რუსეთს 2,5 მილიარდი რუბლი  
უჯდება!“**

ექსპერტი ბესიკ ობოლაძე ამ ომს ატლანტისტურ-ევრაზიულ პოლუსებს შორის გამართულ კავკასიურ  
ომს უწოდებს.

**23-24.08.2008**

### რეზო შატაკიშვილი

რაც თავს დაგვატყდა, ეს რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი არაა და ეს რომ რუსეთ-საქართველოს ომია, ეს ართუ დღევანდელმა ევროპელებმა შეიგნეს, უკვე უძველესმა ევროპელებმა ზეზვამ და მზიამაც გაიგეს იმქვეყნად. მეტიც, ხალხი იმასაც ხვდება, რომ ამ შემთხვევაში, რუსეთს მარტო საქართველო რომ არ უპირისპირდება და აქ რომ გაცილებით ძლიერი მეტოქეები ერკინებიან ერთმანეთს. საერთაშორისო ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ბესიკ ობოლაძე მიიჩნევს, რომ ამ ომის განხილვა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ომად, მიამიტობაა და რომ ესაა ატლანტისტურ-ევრაზიულ პოლუსებს შორის გამართული კავკასიური ომი. - ეპიცენტრით საქართველოში.

**“ვერსია” ექსპერტ ბესიკ ობოლაძეს ესაუბრება:**

- ევრაზიული პოლუსი თავს იყრის რუსეთის ირგვლივ. ატლანტისტურმა კი, რომელიც აგებულია ნატო-ს იდეური სულისჩამდგმელების, ატლანტიზმის მამამთავრების - მეჭენის, სპიქმენის, კისინჯერის კონცეფციებზე, გასულ საუკუნეში შეძლო სსრკ-ს სტრატეგიული გამოფიტვა და დაშლა. მისი, როგორც გეოპოლიტიკური პოლუსის გაქრობა რუკიდან. დღეს კი, მის წინაშე დგას რევანშისტულად განწყობილი ძალა, რუსეთი. რუსეთისთვის კავკასია სტრატეგიულად ურთულესი კვანძი და მისი გეოპოლიტიკური სივრცის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სუსტი ადგილია, ისტორიულადაც გვახსოვს, რომ ეს ტერიტორიები იყო რუსეთის საბრძოლო მოქმდებების არენა. დღეს რუსეთის ყველა ნაბიჯი მიმართულია კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის დასამყარებლად. სწორედ აქეთაა მიმართული რუსეთის

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ბოლო ნაბიჯებიც და ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ ეს ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდეს.

### - რას გულისხმობს “ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი”?

- არსებული პოლიტიკური რეალობების სრულ შეცვლას. კონფედერაციულ გაერთიანებას რუსეთთან, რაც, პრაქტიკულად, სსრკ-ში დაბრუნებაა, იმპერიის აღდგენის მცდელობაა. რუსული სცენარი გულისხმობდა ჩვენი ქვეყნის დანაწევრებას, სტაბილურობის მორყევას, განადგურებას, რის შემდეგაც, მოხდებოდა სწორედ ამ მოდელის თავზე მოხვევა. რუსულ-ევრაზიულისგან განსხვავებით, ატლანტისტური ცენტრი ჩვენთვის დადებითი შედეგის მომტანია, გრძელვადიან პერსპექტივაში საიმედოა, მისი მოქმედების ვექტორი პროგნოზირებადია.
- კი, მაგრამ იგივე ნატო-ში არიან ქვეყნები, რომლებიც რუსეთთანაც შეხმატკბილებულნი არიან, გნებავთ, მერკელის გერმანია... რას უპირებს რუსეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, უკრაინას, პოლონეთს, ბალტიისპირეთს, რომლებიც აშკარად ატლანტისტურად არიან მომართულნი ?
- მხოლოდ რუსეთი არ მოიაზრებს კონტინენტურ ევროპას, იგივე გერმანიას, საფრანგეთს, სახმელეთო ცივილიზაციის სტრატეგიულ მოკავშირეებად. თვითონ გერმანელებსაც ჰყავდათ და ჰყავთ გეოპოლიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გერმანიისთვის გეოპოლიტიკური ღერძი უნდა იყოს რუსეთისკენ. საქართველოდან დაიწყეს ევროპის დაჩიქების მცდელობა, თორემ, არც მაღავენ, რომ შემდეგი ეტაპი იქნება უკრაინა, მოლდოვა, რა თქმა უნდა, ეს ტალღები და იმპულსები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გადავა, ეს მცდელობაა. ეს სურვილია, რევან-შიზმია. ეს არ ნიშნავს, რომ ან დამდგარი ფაქტია, ან გამოუვათ რამე.
- როდესაც ბუშმა სამხედრო ჰუმანიტარული მისია გამოაცხადა, ხალხს შიში გაუჩნდა, რომ რუსეთი და ამერიკა აქ დაუპირისპირდება ერთმანეთს, რომ დაიწყება მესამე მსოფლიო ომი, ცივი ომი და ა.შ.
- ჩვენ ახლა დასავლეთის სიფრთხილესა და გონიერებაზელა ვართ დამოკიდებულნი, თორემ, რუსეთი რომ დიდ საერთაშორისო ავანტიურაზე წავიდა, ფაქტია. ის, რომ ამერიკის სამხედრო სტრუქტურა ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ აქციას, უკვე გარკვეული სიგნალის მატარებელია, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ აპირებენ საზღვაო ფლოტით შემოსვლას. რუსეთის ჯარებმა იმიტომაც გაწელეს გასვლა რომ სწორედ ფლოტის შემოსვლას ელოდებიან. გარდა ამისა, ელოდნენ ნატო-ს ამ თავყრილობას, გაერო-ს რეზოლუციას, რაც მთავარია, ცდილობენ, გამარჯვებულის პოზიციიდან, შანტაჟის პოზიციებიდან მოხდეს იმ ექსი პუნქტის მიღმა შემდეგ მომენტებზე მოლაპარაკება, ზეწოლა.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

- ამერიკული ფლოტის შემოსვლის შემთხვევაში რა მოხდება ?

- არაფერი არ უნდა მოხდეს, ამერიკულებმა თვითონ განაცხადეს, რომ ეს არის მხოლოდ ჰუმანიტარული აქცია. მათი შემოსვლა რუსეთზე არაა დამოკიდებული და ახლაც ეს პაუზა, მათი გემების შემოსვლასთან დაკავშირებული, გამოწვეულია არა რუსეთის გამო, არამედ იმიტომ, რომ მიმდინარეობს რიგი პროცედურული საკითხების გარკვევა თურქეთთან. წინააღმდეგი არაა. ფრთხილი ქვეყანაა და პროცედურების დაცვას ითხოვს.

- თუ რუსეთმა წინააღმდეგობა გაუწია მათ შემოსვლას ?

- საქმე აქამდე არ მივა. ეს უნდა გამოვრიცხოთ. მაგ ლოგიკით, არც სამხედრო თვითმფრინავები უნდა დაეშვათ თბილისის აეროპორტში, მაგრამ მშვენივრად დაუშვეს. გემებსაც შემოუშვებენ.

- როდესაც ბუშმა განაცხადა, რომ ბრიუსელში საგანგებოდ გზავნიდა კონდოლიზა რაისს საქართველოს მხარდასაჭერად, გაჩნდა მოლოდინი, რომ მაპ-ს მოგვცემდნენ, მაგრამ არ მოგვცეს... თუმცა, სხეფერმა საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა რუსეთთან დაკავშირებით.

- ფაქტია, ჩვენთვის სასურველი მკაფიო განცხადება არ გაისმა.

მაგრამ მოდით, ოპტიმისტები ვიყოთ, გავითვალისწინოთ, რომ ნატო უპირველესად, პოლიტიკური ორგანიზაციაა და მათ პოლიტიკური ზეწოლა განახორციელებს. თუ აქამდე ცალკ-ცალკე გამოდიოდა ყველა ქვეყანა, აქ უკვე ნატო-ს ერთსულოვნება გამოჩნდა რუსეთის მიმართ. რუსეთი ოკუპანტად მოიხსენიეს, პირველად ახსენა სხეფერმა ეს სიტყვა და ეს შემთხვევითი არაა... თუმცა, პირდაპირ კონფრონტაციულ რეჟიმში არ ერთვებიან და იტოვებენ რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობასაც. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც აღნიშნა, მეტი ჩვენ არ შეგვიძლიაო. ჩვენ მაინც მადლობლები უნდა ვიყოთ იმ მხარდაჭერის, იმ პოლიტიკური რეაქციის, რასაც აკეთებენ.

- მადლობელი ამერიკის და არა, მათი... მაინც, რა შეიძლება მომხდარიყო კულუარებში, როცა ამერიკის დია მხარდაჭერის მიუხედავად, მაპ-ი არც ბუქარესტში მოგვცეს მაშინ და არც ახლა, ბრიუსელში.

\_ ...რუსეთზე ზეწოლის განხორციელებისას, წინა პლანზე იწევს ეკონომიკური სანქციები, მაგრამ ეს ეკონომიკური სანქციები არის ჯოხი ორი ბოლოთი... ევროპა რუსეთის კონტროლირებად ენერგორესურსებზეა დამოკიდებული, ზოგიერთი ევროპული ქვეყანა 100%-ით რუსულ გაზზეა დამოკიდებული, ზოგი შედარებით ნაკლებად... ამას ემატება ისეთი პროექტები, როგორიცაა ჩრდილოური გაზსადენი, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე უნდა

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

გავიდეს და, პრაქტიკულად, გერმანია-რუსეთის პროექტია, ამ პროექტში ჰოლანდიელებიც ჩაერთვნენ. გერმანიის ყოფილი კანცლერი შრიოდერი, იქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა და ჩვენთვის არასასიამოვნო განცხადებაც გააკეთა. ამას დავუმატოთ ახალი გაზსადენი, ე.წ. სამხრეთის ნაკადი, რომელშიც ჩაერთვნენ საბერძნეთი, ბულგარეთი, იტალია, ამას დავუმატოთ “ცისფერი ნაკადი”, რომელიც პირდაპირ თურქეთზე მიდის შავი ზღვის ფსკერით და ა.შ... ევროპა რუსეთის ენერგორესურსებზეა მიჯაჭვული და თუ მას სანქციას დაუწესებ, ისიც სანქციით გიპასუხებს. მითუმეტეს, რეალიზაციის პრობლემა არა აქვს... რუსეთი კი ცდილობს, სადამდეც გაუვა, მოთმენის ზღვრამდე იმოქმედოს. სხვადასხვა დათვლებით, რუსეთს 2,5 მილიარდი რუბლი უჯდება ერთი დღე საქართველოში სამხედრო ოპერაცია. ჩვენთვის კი ერთი დღე შეუფასებელია, საუკუნეა, ქვეყნის არსებობაა. საქართველოს მოსახლეობა დაუცველი აღმოჩნდა რუსი ჯარისკაცების და მათი თან მიმყოლი შეიარაღებული ბანდიტების, მოროდიორების, ოსების, კაზაკების და ათასი ჯურის გადამთიელის პირისპირ. იმ შემთხვევაში, თუ საოკუპაციო ჯარები არ დატოვებენ საქართველოს და „6-პუნქტიანი გეგმის“ საკუთარი ინტერპრეტაციით იმოქმედებენ, გააგრძელებენ მშვიდობიანი მოსახლეობის ხელყოფას, და ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს არ მიეცემათ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და ღირსების დაცვის საშუალება, კონკრეტულ მოქალაქეს ვერ აუკრძალავ საკუთარი ღირსებისა და სახლ-კარის დაცვას. ყველაზე ნამდვილი ჯარისკაცი ისაა, ვინც თავის სახელს იცავს. გეოპოლიტიკაში იცის ისეთი ცნება, როგორიცაა „პარტიზანის“ ფიგურა. პარტიზანი მშობლიურ მიწასთან მტკიცედაა დაკავშირებული და იგი ყველა საშუალებით იცავს „სახმელეთო წესრიგს“. თუ რუსეთის ჯარი არ გავა, გამორიცხული არაა, დაიწყოს პარტიზანული ტიპის უკონტროლო შეიარაღებული ფორმირებების სტიქიურად ჩამოყალიბება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაფანტვა. ასეთ დაჯგუფებებს იარაღის შოვნის პრობლემა არ ექნებათ, შეიძლება, მტერმაც შეუწყოს ხელი ამ პროცესს. შეიძლება, მიყიდვა მოხდეს, შეიძლება დატოვებაც...

— რატომ ? იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, ეს ფორმირებები ისევ ქართულ სახელმწიფოებრიობას შეუქმნიან საფრთხეს, ხომ ?

— რასაკვირველია... იმიტომ, რომ ეს არის არაკონტროლირებადი ჯგუფები, სადაც პატრიოტული მოტივებით გაერთიანდება ხალხი თუ კრიმინალური მოტივით, უკვე საკითხავია... გარდა ამისა, რამდენი ადამიანია გამწარებული, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ხდება კონკრეტულ ქართველსა და კონკრეტულ ოსს შორის, რომელმაც მოროდიორობის ფაქტი ჩაიდინა ? რამდენი კონკრეტული ტრაგედიაა ?! საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქართული

## **საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში**

სახელმწიფოსთვის ასეთი მოვლენა სერიოზული საფრთხის შემცველია. ჩვენ ხომ ვნახეთ ასეთი ფორმირებები... სახელმწიფოსთვის ეს ძალიან ცუდია, მაგრამ როდესაც გარდაუვალია პროცესი, ის პროცესი სახელმწიფომ უნდა მართოს...

წყარო: „ვერსია“ N98 (153) 23-24.08.2008

**უშიშროების ახალი მინისტრი და ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო ქართული  
სპეცსამსახურების ახალ კონცეფციას ქმნიან**

**13.01.2002**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

უშიშროების ახალ მინისტრ ვალერი ხაბურძანიას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად.

საზოგადოების ნდობა სპეცსამსახურების სისტემისადმი, რომელიც თავის საქმიანობაში ჯერ კიდევ საბჭოთა სუკ-ის ფორმებსა და მეთოდებს იმეორებს, ნულოვან დონეზეა. გარდა ამისა, პერმანენტულად ფეთქებადსაშიში სიტუაცია პანკისის ხეობაში, საერთაშორისო ნარკობიზნებისა და ორგანიზებული დანაშაულის მომძლავრება ნათლად ცხადყოფს, რომ არსებული სახით საქართველოს სპეცსამსახურები ვერ უზრუნველყოფენ ეროვნული უშიშროების პოლიტიკის გატარებას, ნათქვამია ეროვნული ანტიკორიუფციული ბიუროსა და უშიშროების ექსპერტების მიერ შემუშავებული კონცეპციის პროექტში.

რეფორმატორული იმიჯის მქონე ვალერი ხაბურძანიამ მინისტრობა სისტემაში ენერგიული საკადრო წმენდით დაიწყო. კვირის დასაწყისში მან თანამდებობა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის გავლენიან ხელმძღვანელს გენერალ ლევან კენჭაძეს და თბილისის უშიშროების უფროს ზაზა შუბითიძეს დაატოვებინა. პირველს პრესა ხშირად აკრიტიკებდა პანკისელ ტერორისტებთან ფარული კავშირების გამო. რაც შეეხება ზაზა შუბითიძეს, მის საქმიანობაში კორუფციული დანაშაულის ნიშნები ანტიკორიუფციულმა ეროვნულმა ბიურომ ჯერ კიდევ სექტემბერში აღმოაჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად საქართველოში საკადრო ცვლილებას ხშირად მხოლოდ შესაკრებთა მარტივი გადაადგილების ეფექტი აქვს, ხაბურძანიას შემთხვევაში მაინც უფრო შორსმიმავალი მიზნები იკვეთება. ამის თქმის უფლებას იძლევა ორი ძალიან ნიშანდობლივი ფაქტი: ერთი თვე უშიშროების სამინისტროში მუშაობას შეუდგა სრულიად ახალი სტრუქტურა, რეფორმების ჯგუფი. პარალელურად კი ეროვნულ ანტიკორიუფციული ბიუროში დასრულდა მუშაობა იმ დოკუმენტზე, რომელიც ეროვნული სპეცსამსახურის ჩამოყალიბების კონცეპტუალურ ასპექტებს შეიცავს.

კონცეპციის თანავტორის, ანტიკორიუფციული ბიუროს მალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების ექსპერტ ანდრო გოცირიძის განმარტებით, დოკუმენტი გასული წლის 4 სექტემბრის სხდომაზე ეროვნული ანტიკორიუფციული საბჭოს თავმჯდომარის მიერ გავეთებული განცხადების ლოგიკური გაგრძელებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბიუროს მაშინვე გააჩნდა თავისი მოსაზრება თავისუფალი, დემოკრატიული

საზოგადოების შესაფერი სპეცსამსახურის შექმნის კონცეპტუალურ ასპექტებზე. თუმცა უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ სამთავრობო სხდომაზე გამოთქმული კრიტიკა სპეცსამსახურის დისკრედიტაციის მცდელობად მიიჩნია. ხოლო

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

რამდენიმე დღეში უშიშროების სამინისტრომ გამოაქვეყნა გოგიაშვილის მოხსენების საწინააღმდეგო ტექსტი, რომელშიც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში აკრედიტებული საელჩოები საახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებენ.

როგორც გოცირიძე აცხადებს, უშიშროების სამინისტროს მხრიდან ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ანტიკორუფციულ ბიუროში დოკუმენტზე მუშაობა მაინც დაიწყო და, რაც მთავარია, მასში აქტიური მონაწილეობას უშიშროების წარმომადგენლებიც დებულობდნენ.

[ანდრო გოცირიძის ხმა] “უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტზე მუშაობაში ჩართული იყვენენ სხვადასხვა რანგის ექსპერტები. მათ შორის მე გამოვიყოფი და ფასდაუდებელია წვლილი უშიშროების პოლკოვნიკის ბატონ ბესიკ ობოლაძის. ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონცეპცია საშუალებას იძლევა შეიქმნას ეროვნული სპეცსამსახური, რომელიც მოწოდებული იქნება დაიცვას პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები. სტრუქტურა სავსებით თავისუფალია საბჭოური სუკის ტოტალიტარული მიდგომისაგან”.

ექსპერტების მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის თანახმად, ქართული სპეცსამსახურების ევალებათ არ რეჟიმის, არამედ პიროვნებისა და სახელმწიფოს დაცვა, რაც მათ წინაშე ისეთ სპეციფიკურ ამოცანებს აყენებს, როგორიცაა კორუფციის, საერთაშორისო ნარკობიზნების, ტერორიზმისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყნის სტრატეგიული ეკონომიკური პოტენციალის დაცვა და სამხედრო კონტრაზერვა.

ხოლო არსებული სტრუქტურისა და მუშაობის მეთოდიკის დახასიათებას, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შემდგომში უნდა შეიცვალოს სპეცსამსახურების ტერიტორიალური ორგანოები, რომლებიც თავის საქმიანობას პირადი შეხედულებებისა და ამბიციების ჭრილში წარმართავენ და ხშირად არავითარი კოორდინაცია არ გააჩნიათ ცენტრალურ დანაყოფებთან. ტერიტორიული დანაყოფების სანაცვლოდ შემოდის ახალი ცნება ეგრეთწოდებული “დაფარვის ზონები”, რომლებსაც სავარაუდო სპეცლონისძიებებს სტრატეგიული ანალიზის ფენტრი განუსაზღვრავს.

[ანდრო გოცირიძის ხმა] “ანუ ჯერ უნდა განისაზღვროს ის საფრთხეები, რომლების არსებობს საქართველოში და ამის შემდეგ იქნება უკვე თითოეული რეგიონის პრობლემატიკის გამოყოფა და ამის შემდეგ ექნება თითოეულ რეგიონს მისთვის შესაბამისი სტრუქტურა”

ახალი სიტყვას წარმოადგენს უშიშროების სისტემაში კონტრაბანდასთან ბრძოლისა და საკუთარი უსაფრთხოების სტრუქტურის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი გამოწვეულია, იმ ქაოსური ვითარების მოწესრიგების სურვილით, რომელმაც საბჭთა სუკის დაშლის შემდეგ კადრებთან და აგენტურულ აპარატთან მიმართებაში იჩინა თავი. არავისთვის დასამალი

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

არაა, რომ საარქივო მასალების რუსეთში გატანის გამო საქართველოს სპეცსამსახურები, როგორც უცხოეთის დაზვერვითი ორგანოების ინტერესთა ობიექტი, სავსებით დაუცველი აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით სისტემაში წლების განმავლობაში გამეფებულ მანვიერ საკადრო პოლიტიკას შეეხება.

კონცეპტუალური მოსაზრებების ავტორებს მიაჩნიათ, რომ საკუთარი თვითორგანიზებისა და თვითდამკვიდრების პარალელურად, სისტემის მომავლისათვის აუცილებელია, რათა არავინ დარჩეს ძველ მენტალურ განზომილებაში – ძველი მიდგომების, ძველი აზროვნების ტყვეობაში.

ბუნებრივია, უშიშროების სამინისტროს ახალ განზომილებაში გადართვა მთელი რიგი ობიექტური წინაპირობებისა და სუბიექტური მომენტების გათვალისწინებით, ერთ – ერთი რთულად გადასაჭრელი პრობლემაა.

ამ ეტაპზე ახალი უშიშროების მინისტრის მთავარი ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ

გამოთავისუფლებული საშტატო თანამდებობები პროგრესულად მოაზროვნე, პროფესიონალი და სუფთა ბიოგრაფიის კადრებით დააკომპლექტოს.

**წყარო: „მედიანიუსი“ 13.01.2002**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

### საქართველოს „ისლამური სახელმწიფოს“ სავარაუდო სცენარების სარტყელში ექცევა

**23.02.2015**

რამდენიმე დღის წინათ ერაყის დასავლეთ პროვინციაში „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების წევრებმა 45 ადამიანი ცოცხლად დაწვეს ერაყელ სამხედროებთან კავშირის მიზეზით. უფრო ადრე ტერორისტებმა სიკვდილით დასაჯეს 21 ეგვიპტელი ქრისტიანი. საპასუხოდ ეგვიპტემ დაბომბა „ისლამური სახელმწიფოს,, პოზიციები. 2014 წლის დასაწყისისათვის ცოტამ თუ იცოდა „ისლამური სახელმწიფოს შესახებ“. უმოკლეს პერიოდში „ისლამურმა სახელმწიფომ“ შესძლო ერაყისა და სირიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცება და გამოაცხადა ხალიფატი. დღეისათვის „ისლამური სახელმწიფო“ იდენტიფიცირებულია, როგორც გლობალური პრობლემა, საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ჯიპადისტური ტერორისტულო ორგანიზაცია. მისი მოქმედების არეალი გასცდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და თავი წარმოაჩინა საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრალიაში, კანადაში... ამ ფონზე აშშ აყალიბებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციას. წლის დასაწყისში ლონდონში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგი სტრატეგიის შემუშავების მიზნით გაიმართა საერთაშორისო ფორუმი. ამ ფორუმზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ გლობალური პრობლემაა, რომელის მოითხოვს კოორდინირებულ და მკაფიო გლობალურ პასუხს.

„ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ დაჯგუფებაში ბევრი წარმომადგენელი კავკასიის რეგიონიდანაა. ვრცელდება ინფორმაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გეგმების შესახებ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

„ისლამური სახელმწიფოსა“ და მისგან მომდინარე გლობალურ და რეგიონალურ საფრთხეებზე, „მედიანიუსი“ ესაუბრა ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში ბესიკ ობოლაძეს.

- უკრაინაში კრიზისის ფონზე, შედარებით უკანა პლანზე აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, არადა დასავლეთისათვის ყველაზე გლობალური პრობლემა სწორედ „ისლამური სახელმწიფოდან“ მოდის. რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ ჩვენი რეგიონისათვის?

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ისლამურ სამყაროში არის რამდენიმე უაღრესად გავლენიანი გეოპოლიტიკური კვანძი და თითოეული მათგანი ეყრდნობა სხვადასხვა რელიგიურ, ისტორიულ, კულტურულ და ცივილიზაციურ ტენდენციებს, ატარებს დამოუკიდებელ სტრატეგიულ ხაზს, როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ მასშტაბებში. აღნიშნული გარემოებების გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია ადეკვატურად გაანალიზდეს „ისლამური ფუნდამენტალიზმიდან“ მომდინარე კრიზისული მოვლენები კავკასიის რეგიონში. ისლამური სამყაროს ყვეაზე აქტიური გეოპოლიტიკურ პოლუსებს მიეკუთვნებიან, ერთი მხრივ, საუდის არაბეთი და მისის გავლენის ქვეშ მყოფი სპარსეთის ყურის ქვეყნები, სადაც ვაჰაბიზმი არამარტო გავრცელებული, არამედ მმართველი რეჟიმის ოფიციალური რელიგიაა და მეორე, პირველ პოლუსთან მიმართებაში აბსოლუტურად განსხვავებული და საწინააღმდეგო პოლუსია შიიტური მიმართულების ირანული ისლამი. შეგვიძლია განვიხილოთ ასევე ერთ-ერთ პოლუსად მოდერნისტული ისლამი - აღნიშნული მოვლენა და არა ფაქტი ან ფაქტობრივი მდგომარეობა. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ მოხდეს ისლამური ტრადიციებისა და ნორმების სრული უარყოფა მის რელიგიურ და ცივილიზაციურ განზომილებაში და ორიენტირებულია პოლიტიკისა და ეკონომიკის დასავლური მოდელის კოპირებაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ისლამის ვერსიები მიუხედავად თავისი მრავალფეროვნებისა, გეოპოლიტიკური ორიენტაციების მიხედვით შეიძლება დავაჯვუფოთ შემდეგნაირად: პოტენციურად ევრაზიულ-კონტინენტალურს წარმოადგენს შიიტური მიმართულება და არაბული სოციალიზმის „ნარჩენები“ და ატლანტისტურს - სალაფიტიზმი, იგივე ზომიერი ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის სახით და მოდერნისტული ისლამი.

ამგვარად, თუკი მოვახდენთ პოზიციონერებას, დღევანდელ რეალობაში პროირანულ შიიტურ ღერძს მხარს უჭერენ რუსეთი, ჩინეთი და აშშ-სა და ნატოს მიმართ ნეგატიურად განწყობილი ქვეყნები. დასავლეთი, პირველ რიგში, აშშ-ს სახით, მხარს უჭერს ისლამისტურ-სუნისტურ ღერძს. ერაყი ამ შემთხვევაში თავისი შიიტური მოსახლეობით უფრო გამონაკლისა აშშ-ს პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, თვალნათელია, რომ სუნიტებსა და შიიტებს შრის ურთიერთდაპირისპირება მთავარი მამოძრავებელი ძალაა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებისა. ისლამის ორ მიმდინარეობას შორის კომპრომისის მოძიების ნაცვლად მათ გეოპოლიტიკური პლუსების კუთვნილება ამა თუ იმ გლობალურ , ურთიერთდაპირისპირებულ ძალის ცენტრთან, კიდევ უფრო აღრმავებს რეგიონალურ პრობლემატიკა, რომელშიც გაჩნდა ახალი აქტორი ისლამური ხალიფატის სახით, რომელიც ერთდროულად დაპირისპირებულია როგორც რეგიონალურ სახელმწიფოებთან, ასევე გლობალურ ძალის ცენტრებთან და გააჩნია კოლოსალური მაორგანიზებელი ენერგია და რესურსები.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

2011 წლის 11 სექტემბერის ტერაქტის შემდეგ აშშ-მა და რუსეთმა განაცხადეს ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. დღეს სხვა ვითარებაა. პარტნიორული ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის ჩიხშია. სახეზეა რუსეთის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის მცდელობა. დასავლეთი აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ მას სულ ახალ და ახალ სანქციებს უწესებს. ამ ფონზე რუსეთი „ციც ომის“ დროინდელმა ანტიამერიკანიზმის ახალმა ტალღამ იფეთქა. მსოფლიოს მსხვილ აქტორებს შორის შექმნილი დაპირისპირებით აუცილებლად ისარგებლებს ისლამური ექსტრემიზმი. სწორედ ზემოთაღნიშნულ პრიზმაში უნდა დავინახოთ ზოგადად კავკასიასთან და კონკრეტულად სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში მოვლენათა სავარაუდო განვითარების ლოგიკა. იმისდა მიხედვით სამხრეთ კავკასიის რომელი ქვეყანა გლობალურ აქტორთან რა ალიანსში იქნება, ბევრი რამ არის დამოკიდებული.

- რით განსხვავდება „ისლამური სახელმწიფო“ იგივე ალ-ყაიდასა და სხვა ჯიხადისტური ორგანიზაციებისაგან?

„ისლამური სახელმწიფოს“ ამოცანა - აღადგინოს ხალიფატი და წაშალოს არაბულ სამყაროში ნაციონალური სახელმწიფოს სისტემა, მოახდინოს ტერიტორიალური ნაციონალიზმის იგნორირება სახელმწიფო საზღვრების წაშლით, სრულიად განსხვავებულ აქცენტებს აძლევს ამ ორგანიზაციის სტრატეგიას სხვა ტერორისტული დაჯგუფებებისაგან განსხვავებით.

ისლამური სახელმწიფოს რევიზიის საგანია სირია - ერაყის გამყოფი საზღვარი, რომელსაც ისინი თვლიან ევროპული კოლონიური იმპერიების „შემოქმედებად“ პირველ მსოფლიო ომის შემდეგ. ასევე ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევენ საზღვრებს, რომელების შემდგომ ათწლეულებში ჩამოყალიბდა, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის შედეგადაც. მხედველობაშია ლიბანისა და სირიის გაყოფა კონფესიური პრინციპით, იორდანიის აღმოცენება, ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ფაქტი. ბევრი ანალიტიკოსი მიუთითებს ე. წ. „საიქს-პიკოს“ კონსენსუსის რღვევაზე. აქვე დავაზუსტებ, რომ როდესაც საუბარია „საიქს-პიკოს“ საზღვარზე, მხედველობაშია 1916წელს ხელმოწერილი საიდუმლო ხელშეკრულება ფრანგ და ინგლისელ დიპლომატებს შორის. იმ პერიოდში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს თავიანთი ხედვები ჰქონდათ ჩამოშლილი ოსმალეთს იმპერიის ტერიტორიებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, აღნიშნული თემებით მანიპულირება მომგებიანი იდეაა ხალიფატისათვის. აპელირებენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე და ხსნიან შურისძიების მოტივებს. აღნიშნულზე ყურადღებად ვამახვილებ იმ მიზნით, რომ ვაჩვენოთ რამდენად მრავალშრიანი და მრავალგანზომილებიანია ისლამური ხალიფატიდან მომდინარე პრობლემა.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

- დღეისათვის რა ხდება? ახლო აღმოსავლეთში მოვლენათა განვითარების რა სცენარს შეიძლება ველოდოთ?

მოდით, პირველ რიგში, აღვნიშნოთ, რომ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი ჯერ არ არსებობს. ისლამური სახელმწიფოს დანაყოფებს ებრძვიან მხოლოდ სირიისა და ერაყის სამთავრობო ძალები, აგრეთვე, სირიელ და ერაყელ ქურთთა შეიარაღებული დაჯგუფებები. საერთაშორისო კოალიცია აშშ-ს მეთაურობით, შემოიფარგლება მხოლოდ შეზღუდული საპარო დარტყმებით. საქმე ის არის, რომ რაღაც ეტაპამდე ხალიფატის არმიის არსებობა მისაღები იყო მეზობელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონული ქვეყნებისათვის. იმ გარანტიების პირობებში, რომ საჭიროების შემთხვევაში იოლად გაუმკლავდებოდნენ. ყველას თავისი მერკანტილური ინტერესი ჰქონდა. ვიღაცა მათგანი ყიდულობდა მათი ეკონომიკისათვის აუცილებელ კონტრაბანდულ ნავთობს. როგორც კი ხალიფატის დანაყოფებმა მოძრაობა დაიწყეს ასადის მიმართულებით, დაინტერესებულ ქვეყნებს იმედი გაუჩნდათ, რომ აღნიშნული წერტილს დაუსვამდა სირიელი ქურთების დამოუკიდებლობის ყოველგვარ მცდელობას, რომელსაც შეეძლო ანალოგიური მისწრაფებები გაეღვიძებინა რეგიონის ქურთებით კომპაქტურად დასახლებულ ქვეყნებში.

საუდის არაბეთი განიხილავდა ხალიფატს ძალად, რომელიც პოტენციურად შეიძლებოდა მიმართულიყო მისი უმთავრესი მტრის - ირანის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც ირანი თავის მხრივ იმედოვნებდა, რომ მომავალში ხალიფატისგან დასუსტებული ქვეყნები თავის გავლენაში მოექცია. ირანი აგრეთვე იმედოვნებდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ფაქტორის დაბლა დასწევდა ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით აშშ-სთან „დაძაბულობის ტემპერატურას“. თვითონ ასად ისლამურ ხალიფატში ხედავდა უნებლიერ მოკავშირეს, რომელიც ანადგურებდა ზომიერ ოპოზიციას და თავისი უსასტიკესი ქმედებების ფონზე ასადის რეჟიმს აძლევდა, თუკი შეიძლება ითქვას „რესპექტაბელურობას“.

სწორედ ამიტომ აშშ, რომელსაც არ სურდა ერაყში მარტო დაბრუნება და ცდილობდა ისლამური ხალიფატის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციებისათვის შეექმნა კოალიცია, ვერ შეძლო დღემდე მხარდაჭერების მოპოვება ახლო აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ჯერ კიდევ იმედოვნებენ გამოიყენონ ხალიფატი, ფაქტობრივად, ერთმანეთის წინააღმდეგ, კოალიციის ავიადარტყმების ზეწოლის ქვეშ, რომელშიც აშშ-სთან ერთად დიდი ბრიტანეთის ჩაერთო. ნაკლებსავარაუდოა, რომ ისლამურმა სახელმწიფომ განაგრძოს ისეთი წარმატებული სვლა, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2014 წელს. აღბათ ახლო აღმოსავლეთის ხვა ქვეუნებიც უკვე რეალურად ჩაერთვებიან პროცესებში. ასეთ ვითარებაში „ისლამური სახელმწიფო“ ეცდება პირველ რიგში, შეინარჩუნოს ის, რაც დაიკავა. მისი

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება ლოკალური წინააღმდეგობის დასამლევად და მიტაცებული ტერიტორიების ერთი დროშის ქვეშ გასაერთიანებლად. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს, „ისლამურ სახელმწიფოს“ სავსებით ხელეწიფება თავისი დანაყოფებით გაიაროს იორდანია, მიიღოს მხარდაჭერა სინაის ნახევარკუნძულზე მისი მოკავშირე ისლამისტური დაჯგუფებებიდან და შეეცადოს დაასუსტოს ეგვიპტის ხელისუფლება. შემდგომ უკვე იზრდება ალბათობა, რომ იქნება გამოცხადებული ომი იზრაელთან. მაგრამ ეს უკვე თავისი მასშტაბების მოვლენების სულ სხვა შემობრუნებაა და ამას თვითონაც ხვდებიან. ისრაელი და ცახალი ის ბარიერია, რომლის დაძლევაც ხალიფატის „არმიას“ არ შეუძლია. აქ სხვა მიზნებია, მათი გავლენებით სვლა იერუსალიმისაკენ მიიზიდავს ასეულ ათასობით თანამოაზრეს მთელი მსოფლიოდან. ამასთან ერთად, ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიური ზეგავლენა თანამოაზრებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიზრდება, და რაც ყველაზე საგანგაშოა დამის სიმპტომები არსებობს, „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობის ფაქტმა შეიძლება დასავლეთის წინააღმდეგ მძლავრი ოპერაციების პარალელურად, სტიმულირება გაუკეთოს ერთეულთა ტერორისტულ აქტებს. მართალია, „ისლამური სახელმწიფო“ ეცდება პოზიციონირება გააკეთოს როგორც სახელმწიფომ და არა როგორც ტერორისტულმა ორგანიზაციამ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უარს იტყვიან თავიანთ სასტიკ მოქმედებებზე. როდესაც ვსაუბრობთ „ ისლამურ სახელმწიფოდან“ მომდინარე საფრთხეებზე, ერთ-ერთი სერიოზული საკითხია მისი მებრძოლების თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდება, ასეთი კი კავკასიიდან ბევრია. მაგრამ, ჩვენ გვყავს ამ მიმართულებით კვალიფიციური სპეცსამსახურები და მათ იციან თავიანთი საქმე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან ე. წ. „ფერგანის ხალიფატის“ იდეის განვითარება სერიოზული წინაპირობაა ცენტრალური აზიის რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციისთვის. ამ რეგიონში სტაბილურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასავლეთისათვის ენერგოუსაფრთხოების, ხოლო ქვეყნისთვის კი ტრანსკასპიურ ენერგოპროექტებში ტრანზიტული ფუნქციის შენარჩუნების თვალსაზრისით.

„ დიდ ხალიფატის“ პრეტენზიები ვრცელდება ყაზახეთის გავლით რუსეთის ტერიტორიებზე, თათარსტანზე, ბაშკირეთსა და ჩრდილო კავკასიაში. აგრეთვე, სამხრეთ კავკასიის შესაბამის რეგიონებში. მოკლედ ჩვენი ქვეყანა ექცევა „ისლამური სახელმწიფოს“ სავარაუდო სცენარების სარტყელში. სხვა საკითხია რამდენად ხელეწიფებათ და რამდენად მიეცემათ მათ ამის საშუალება.

**წყარო:** [www.medianews.ge](http://www.medianews.ge) 22.04.2014

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

### ქვეყანა ახალი პოლიტიკური ელიტის მოლოდინშია - ბესიკ ობოლაძე

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ახლოვდება პოლიტიკური ელიტის განახლების ალბათობა. ეს კი გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში ურთულესი პროცესია. მმართველი პოლიტიკური ელიტა, როგორც წესი მტკიცნეულად და ბევრ შემთხვევაში არაა დეკვატურად რეაგირებს ხელისუფლების ფლობის მოცულობის შემცირებაზე უმაღლეს, საშუალო და ადმინისტრაციულ დონეზე.

„მედიანიუსს“ ანალიტიკოსი ბესიკ ობოლაძე ესაუბრა

- ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნები, ყველა ნიშნის მიხედვით, საკმაოდ დრამატული იქნება. თქვენი შეფასებით, მოსალოდნელია თუ არა სერიოზული ცვლილებები ქართულ პოლიტიკურ ელიტაში?
- ელიტის რეკრუტირების სისტემები სტაბილური დემოკრატიის ქვეყნებში ინსტიტუციონალიზებულია. ჩვენს მსგავს გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში დემოკრატიული შერჩევის მოდელი ახლა იქმნება. ყოველივე ეს აძლიერებს არასტაბილურობის ელემენტებს საზოგადოებაში. ელიტა-კონტრელიტის სისტემაში განახლების ფორმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამჭირვალე და ღიაა პოლიტიკური ელიტა ცვლილებებისადმი. რეკრუტირების მექანიზმები განასხვავებს ღია და დახურულ პოლიტიკურ ელიტებს და შესაბამისად, ღია და დახურული საზოგადოების ფორმებს.

ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში ვერ გააცნობიერება, რომ ძალისმიერი მეთოდებით ქვეყნის მართვა არ არის მტკიცე და სტაბილური. ამიტომ ლოგიკურია, რომ ელიტამ ძალა არ უნდა დაიშუროს, რათა შეიმუშავოს სოციალური და ეროვნული თანხმობის ფართო პროგრამა, რომელიც საშუალებას მისცემს მოახდინოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების ინტეგრაცია. პოლიტიკური ელიტა-კონტრელიტის ინტეგრაციულ ბუნებაზეა დამოკიდებული სამოქალაქო თანხმობისა და

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამოცანა. ეს მომენტი მწვავედ დგას პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის დროს.

\_ სიმართლე რომ ვთქვათ, საქართველო ჯერ კიდევ შორსაა სოციალური და ეროვნული თანხმობის პროგრამის შემუშავებასთან

\_ უნდა ვთქვათ, რომ ვერც ნაციონალურმა მოძრაობამ და ვერც დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო საზოგადოებრივი თანხმობის ველის შექმნა, უფრო მეტიც, ამის მცდელობაც არ ყოფილა თუნდაც დეკლარაციულ დონეზე. ასეთ პირობებში როგორ არ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ კონცეფცია და თეზისი ყველა საზოგადოებრივი -პოლიტიკური ძალის ქვეყნისათვის ერთ კვალში ჩაყენების შესახებ.

ერთადერთი ძალა, რომელიც აცხადებს, რომ გააჩნია ხედვა, რომ შეიმუშავებს სოციალური და ეროვნული თანხმობის ფართო პროგრამას, არის

ახლად შექმნილი პოლიტიკური ცენტრი - მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“. ელიტა კონტრელიტის დღევანდელ მოცემულობაში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს იდეოლოგიური შემადგენელი. ეს ინტელექტურალური ზეგავლენის მძლავრი საშუალებაა, რომლის უმთავრესი და განმასხვავებელი ფუნქცია გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმების არსებობის გამართლება ან მისი შეცვლის აუცილებლობის დასაბუთებაა.

\_ საინტერესოა, რამდენად მოახერხებს ახალი ძალა ამ პროგრამის პოზიციონირებას?

\_ მთავარი საკითხია წინასაარჩევნო პერიოდში ახალი პოლიტიკური ცენტრი რამდენად შეძლებს თანხმობის ველში პოზიციონირებას. დღევანდელ რეალობაში არსებული პოლიტიკური ელიტისა და კონტრელიტის მხრიდან სისტემატიურად იქნება მცდელობა გაიყვანოს ახალი პოლიტიკური ცენტრი მის მიერ დეკლარირებული თანხმობის ველიდან. გაყოფის ველში შეყვანა კი, სხვა პოლიტიკური ძალის სატელიტობაზე აპელირებით გამოიწვევს მის მარგინალურობისას. დღევანდელი პოლიტიკური ელიტის მოქმედებაში ასეთი

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

სცენარი იკითხება. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ელიტა ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება თავის ლეგიტიმურობაში და თუ კი იგი ამაში მარცხდება, მაშინ იგი სულ აქტიურად და სისტემატიურად მიმართავს ინსტიტუციონალიზებულ ფიზიკურ ძალადობას. ელიტის ძალაუფლება საბოლოო ჯამში ეფუძნება იმ ფაქტს, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც არსებული სამართლებრივი წესრიგის პირობებში აქვს ძალის გამოყენების კონსტიტუციური უფლება.

ძალა არის საბოლოო არგუმენტი, რითაც სარგებლობს პოლიტიკური ელიტა მდგომარეობის შესანარჩუნებლად კონტრელიტასთან და მასებთან კონსესუსის მიუღწევლობის შემთხვევაში. შესაბამისად, სამართლებრივი სისტემა იმგვარად არის მოწყობილი (ორგანიზებული), რომ კონფლიქტურ სიტუაციაში პოლიტიკურ ელიტას გაუადვილოს ძალოვანი სტრუქტურების დროული და ეფექტური გამოყენება. პოლიტიკური ელიტის ძალის ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურ სისტემაში განსაკუთრებით ელიტათა მონაცვლეობის მოლოდინში. ასეთ პირობებში, როგორც წესი დიდია შემთხვევითობათა და ქაოსური პროცესების ალბათობა.

ახალი საუკუნის ქართული პოლიტიკური ელიტა პოლიტიკურ მმართველობას სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის, ძალოვანი სტრუქტურების, იდეოლოგიური კონსტრუქციებისა და სოციალური კონტროლის მექანიზმების ჭარბად გამოყენებით ახორციელებდა. მოგვიანებით კონტრელიტად ქცეულმა ძალამ დაიწყო და გარკვეულწილად შეძლო მისგან კონტროლირებადი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხალხისთვის თავს მოეხვია საკუთარი პოლიტიკური წება განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს გარკვეულ მსოფლიოდებითი სტერეოტიპებისა და წარმოდგენების ჩამოყალიბებას. მოქმედი პოლიტიკური ელიტა უსუსურად ცდილობს საკუთარი მრავალწახნაგოვანი ეკლექტიკური პოლიტიკური ელიტისა და „სათანადო უნარჩვევების“ მქონე წინა ელიტისაგან შემორჩენილ-შემოერთებული სამუალო და ადმინისტრაციული პოლიტიკური ელიტის გამოყენებით განახორციელოს პოლიტიკური მმართველობა, მაგრამ ვერაფრით შეძლო მყარი იდეოლოგიური კონსტრუქციის აგება.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პოლიტიკური ელიტა, რომ მოსახლეობის კეთილგანწყობა და ნდობის მანდატი დამსახუროს? და ვართ თუ არა ასეთი ელიტის მოლოდინში?
  
- ახალ რეალობაში თუ კი წარმატების მიღწევა სურს, ნებისმიერმა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც წარსული ცოდვებითა და შეცდომებით არაა დამძიმებული, უნდა შეძლოს იმ განსაკუთრებული როლის თამაში, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური ელიტის ორგანიზაციულ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც ხდება მის მიერვე დეკლარირებული პოლიტიკური კურსის ირგვლივ საზოგადოებრივი ცნობიერების მობილიზება. გამსახურდიას ეთნოკრატიული პოლიტიკური ელიტის, შევარდნაძის ნეონომენკლატურული პოლიტიკური ელიტის, ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ისეთი პოლიტიკური ელიტების შემდგომ, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილ რომელიმე პოლიტიკურ ელიტათა ტიპოლოგიაში ძნელად ექცევიან, ქვეყანა ახალი პოლიტიკური ელიტის მოლოდინშია.

**წყარო:** „მედიანიუსი“

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

### ბესიკ ობოლაძე: „პოლიტიკური პარტიები ნაკლებად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას“

მნელად მოიძებნება ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ამდენი პოლიტიკური პარტია რომ გააჩნდეს. გარდამავალ პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური დემოკრატიის განვითარებასა და სრულყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ პოლიტიკურ პარტიებს. ჩვენს რეალობაში, პოლიტიკური პარტიების საქმიანობიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ნაკლებად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას. ზოგადად, პოლიტიკური პარტია არის გარკვეული სოციალური ინტერესებისა და იდეოლოგიური ერთიანობის საფუძველზე წარმოშობილი ადამიანთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მიმართულია პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვების ან მასში მონაწილეობისაკენ. ამ პრიზმაში უნდა დავინახოთ წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების აქტივობები. შევეხები რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. ისეთებს, როგორიცაა პოლიტიკური ღირებულებები, პოლიტიკური წესრიგი, პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ფსიქოლოგიური ფაქტორები.

პოლიტიკური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა, მხოლოდ პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური ნორმების დაუცველობაზე არაა დამოკიდებული.

ახლადშექმნილ ქართულ რეალობაში გამარჯვებული და დამარცხებული პოლიტიკური ძალა, როგორც წესი, განფენილია პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური სისტემის ნაწილებია: პოლიტიკური ინსტიტუტები (სახელმწიფო, მისი უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც განსაზღვრავს ამ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებს, შესაძლებლობებს და საზღვრებს.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობით, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს, მაგრამ ვერ ახერხებს ჩვენს რეალობაში პოლიტიკური სუბიექტების ნორმალურ ურთიერთობებს.

წინააღმდეგობები, იმ ფორმით, რომელიც ვითარდება, ან შეიძლება განვითარდეს საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს შორის – საზოგადოებასა და სახელმწიფოს, სახელმწიფოში ხელისუფლების შტოებს შორის – იმ ძალებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას, სერიოზული გამოწვევებია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

და მაინც, რაა პრობლემა? იქნებ ეს ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებია, რამაც, საბოლოოდ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს ქვეყანას? 2012 წელს დამარცხებულმა ძალამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მოახერხა შეექმნა განწყობა, რომ პოლიტიკური სუბიექტების ურთიერთობის პრობლემები პოლიტიკური კულტურის არქონასა და გამარჯვებული ძალის მხრიდან პოლიტიკური ნორმების დაუცველობაშია. მაგრამ მიზეზები გაცილებით ღრმაა და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია თავისი სტრუქტურითა და ტიპებით, მათ შორის პოლიტიკური ცნობიერებით, იდეოლოგიით, პოლიტიკური საშუალებებით, პოლიტიკური ღირებულებებით, პოლიტიკური ნორმებით და ა.შ. ჩემი აზრით, პრობლემა არა ზოგადპოლიტიკურ კულტურაში, ან პოლიტიკურ ნორმებშია, არამედ პოლიტიკურ სისტემაში, ერთი მხრივ, ერთ-ერთი სუბიექტის, დამარცხებული პოლიტიკური ძალის პოლიტიკური ღირებულებების მსხვრევაში. ხოლო, მეორე მხრივ, 2012 წელს გამარჯვებულმა ძალამ ვერ შექმნა თავისი პოლიტიკური ღირებულებები. პოლიტიკური ღირებულებები კი პოლიტიკური ცხოვრების, კულტურის მოტივირებული ბაზისია. მისი დეგრადაცია, ან ამოწურვა მთავრდება მისი მსხვრევით. ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკურ კულტურას არ შესწევს უნარი, დაარეგულიროს ადამიანთა ქცევა და იწყება ღირებულებებისა და პოლიტიკური ორიენტაციების სხვა ახალი სისტემების ინტენსიური ძიება. ასეთი გამოწვევის წინაშეა დღევანდელი ქართული პოლიტიკური სისტემა და პრობლემის მხოლოდ პოლიტიკური ნორმების დაცვით გადაწყვეტა, რომელსაც მხოლოდ შესაბამის პირობებში შეუძლია ადამიანთა, სოციალური ჯგუფებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების თანამშრომლობა, ამ ეტაპზე ეს ნაკლებად ხერხდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ღირებულებების იდეოლოგიური კონსტრუქციის რესურსი ქართული პოლიტიკური სისტემის ორ მთავარ სუბიექტს – „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ოცნების“ სახით მიზეზთა და მიზეზთა გამო პრაქტიკულად აღარ გააჩნიათ. შანსი აქვს ახალ პოლიტიკურ ძალას, მაგრამ შედეგების მისაღწევად მოკლე დროში ძალიან დიდი ძალისხმევის გაწევა მოუწევს.

ყურადღებას გავამახვილებდი პოლიტიკურ პროცესში პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ჩვენს რეალობაში ეს უფრო აქტუალურია, ვიდრე პოლიტიკური პარტიების პროგრამები. ზოგადად, პოლიტიკური ფსიქოლოგია პოლიტიკური ცნობიერების მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტია და მისი ზეგავლენა საერთო პოლიტიკურ პროცესებსა და პოლიტიკური სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე ძალზე დიდია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგია არის ინდივიდის, ელექტორატის, სოციალური ჯგუფისა და პოლიტიკური ორგანიზაციების პოლიტიკური ინტერესებისა და მოტივაციების საფუძველზე წარმოშობილი განწყობის, ემოციების, გრძნობების, ტემპერამენტისა და პოლიტიკური აზრების ერთობლიობა, რომელიც დიდ როლს ასრულებს

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

პოლიტიკური ცნობიერებისა და პროცესებში ადამიანთა პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების ჩამოყალიბებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და პოლიტიკურ კულტურაში პოლიტიკური ფსიქოლოგიის როლი განსაკუთრებულია. თუკი აღნიშნულს დავუმატებთ პოლიტიკური ლიდერების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს (აღნიშნული გამოცდილება დამოუკიდებლობის 25- წლიან პერიოდში საკმაოდ დაგვიგროვდა), პოლიტიკურ ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა პოლიტიკურ პროცესებში უფრო იზრდება.

აუცილებლად უნდა შევეხოთ პოლიტიკური წესრიგის საკითხსაც. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურმა წესრიგმა პოლიტიკური სისტემის შიგნით უნდა გამორიცხოს შემთხვევითი მოვლენები. იქ, სადაც არ არის სტაბილურობა და პოლიტიკური წესრიგი, ძლიერდება შემთხვევითი ფაქტორების მოქმედება, პოლიტიკური ხელისუფლება კარგავს ავტორიტეტს, პოლიტიკაში იჭრებიან არაპროფესიონალები და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებულ პოლიტიკურ ველში მოქმედი ძირითადი სუბიექტები პროვოცირებას უკეთებენ პოლიტიკური წესრიგისათვის არასასურველ პროცესებს. კორცხელის ინციდენტში მონაწილეთა უკან მდგომი პოლიტიკური სუბიექტების მოქმედება აღნიშნულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, სახეზეა პროვოცირება, მიმართული იმისაკენ, რომ გაამწვავოს პოლიტიკურ ძალებს შორის წინააღმდეგობა და ხელი შეუშალოს, ფართო გაგებით, ეროვნულ – სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას და თანხმობას.

დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში უავე წლებია გამოიკვეთა პოლიტიკური ელიტა და კონტრელიტა, რომელიც კომფორტულად გრძნობს თავს კონფლიქტის ველში, თუმცა საზოგადოების მოთხოვნების საფუძველზე, კვალობაზე, ჩნდება პოლიტიკური ძალები, თუნდაც საზოგადოებრივი მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, რომლებიც აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს, მიმართულს პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებისაკენ, კონსენსუსის მიღწევის მეთოდებსა და შესაძლებლობებს (თუნდაც მედიასაშუალებებთან მიმართებაში). ფართო გაგებით, ეს ყველაფერი ეფუძნება უფრო მნიშვნელოვან მიზანს, მიმართულს პოლიტიკური სისტემის მდგრადობისაკენ, პოლიტიკური წესრიგის უზრუნველყოფისაკენ, რაც საფუძველი უნდა გახდეს ეროვნულსახელმწიფოებრივი თანხმობისაკენ, მათ შორის საქართველოებად დაშლილ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში.

პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერისა და პოლიტიკური ელიტის შერჩევა. პოლიტიკურ ხელისუფლებაში მონაწილეობისას, ან მისი მოპოვებისას პოლიტიკურმა პარტიამ თავისი რიგებიდან უნდა

## **საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში**

შეარჩიოს კომპეტენტური და პროფესიონალური კადრები, ხელმძღვანელები, ლიდერები, რომლებიც მოცემულ პოლიტიკურ მომენტში თავისი ინდივიდუალური მონაცემებით აუცილებელნი და საჭირონი არიან. თუკი გადავავლებთ თვალს პოლიტიკურ სპექტრს იმის შესაფასებლად, რამდენად გააჩნიათ მათ ასეთი რესურსი, არ იკითხება, რომ ასეთი რესურსი ერთ კონკრეტულად აღებულ პოლიტიკურ ძალას გააჩნდეს. მომავალ არჩევნებზე მხოლოდ პოლიტიკური ლიდერები წარმატების მისაღწევ-გასაღებად ვერ გამოდგებიან. საჭიროა პოლიტიკური ელიტის წარმოჩენა. ასეთი რესურსი ერთ ცალკე აღებულ პარტიაში ნაკლებად მოიაზრება. იკითხება სცენარი, რომ წინასაარჩევნოდ მსგავს იდეოლოგიურ კონსტრუქციაში მყოფი პოლიტიკური ძალები რაღაც ფორმით გაერთიანდნენ

**წყარო: „ვერსია“**

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

აშშ-ში არაერთი ჩვენი თანამემამულეა სხვადასხვა სტატუსით, შესაბამისად,  
ჩვენთვისაც საინტერესოა არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესები \_ ბესიკ  
ობოლაძე

არალეგალურ მიგრანტებთან დაკავშირებით აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პირობას დებს, რომ დაიწყებს ყველა სავიზო დარღვევის შესწავლას, რომლებიც, მისი თქმით, ქვეყანაში აუარესებს მდგომარეობას დასაქმების ბაზარზე. ამ ქვეყანაში არაერთი ჩვენი თანამემამულეა სხვადასხვა სტატუსით, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებისთვის საინტერესოა, არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესები როგორ აისახება მათ მდგომარეობაზე. ამ საკითხზე მედიანიუსი ექსპერტს, ბესიკ ობოლაძეს ესაუბრა.

ექსპერტის თქმით, აშშ-ში არჩევნების შემდგომ შექმნილი რეალობა ამერიკული მულტიკულტურიზმის განზომილებაშიც უნდა განვიხილოთ. აშშ-მ კულტურული მრავალფეროვნებისადმი რეაგირების არაერთი მოდელი გამოსცადა, იმ პარამეტრების ურთიერთმიმართების ოპტიმიზაციისათვის, როგორიცაა სახელმწიფოს დამოკიდებულება კულტურათა ინტეგრაციისადმი და სახელმწიფოს დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში კულტურული უმცირესობის მონაწილეობისადმი. ამ ქვეყანაში არაერთი ჩვენი თანამემამულეა სხვადასხვა სტატუსით, შესაბამისად, ჩვენთვისაც საინტერესოა არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესები.

„აშშ-ში მთელ წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა პოლიტკორექტულობის ნორმების დარღვევა ამერიკული მულტიკულტურიზმის თანამედროვე მოდელთან მიმართებაში. მხედველობაში გვაქვს პოლიტკორექტულობა მულტიკულტურიზმის შინაარსით. არსებობს მოლოდინი, რომ არჩევნების შემდგომ რეალობაში მულტიკულტურიზმის კონსტრუქციასთან მიმართებაში პოლიტკორექტულობის ნორმების დარღვევიდან პროცესები უფრო შორს წავიდეს და

საფრთხე დაემუქროს მულტიკულტურიზმის კონსტრუქციის მდგრადობას, მოხდეს რაღაც ფორმით მისი დემონტაჟი.

დღევანდელ რეალობაში მულტიკულტურიზმი გულისხმობს სხვადასხვა საფუძველზე (ეთნოკულტურულ, კონფესიურ და ა.შ.) შექმნილი სოციალური სტრუქტურების ურთიერთქმედებაზე აგებულ საზოგადოებას. უფრო კონკრეტულად საუბარია მულტიკულტურიზმის იმ სფეროების რევიზიაზე, რომელიც მოიცავს კანონმდებლობას მოქალაქეობის შესახებ სოციალური დაცვის სისტემის და ზოგადად ერთიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავებას, განათლებას, საარჩევნო სისტემას, შრომით

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

უფლებებსა და ზოგადად შრომითი ბაზრის მთელს რეგულაციას, საემიგრაციო კანონმდებლობას და ა.შ.

ფაქტობრივად, მულტიკულტურიზმი ეს არის ერთიანი საზოგადოების უარყოფა და სხვადასხვა ერთობების (კულტურული, კონფესიური) კონგლომერატი საერთო მოქალაქეობით. კლასიკური ლიბერალიზმის მულტიკულტურიზმი არის უკიდურესი ტოლერანტობის მდგომარეობა. ის „მომთმენია“ იმდენად, რომ მზად არის შეეგულს, „აიტანოს“ ისეთი კულტურული ერთობები,

რომლებიც მის წინააღმდეგ არის განწყობილი. ამასთან, ის არ ანიჭებს არანაირ უპირატესობას, ან დაცვას არცერთ კონკრეტულ ჯგუფს ან ერთობას, ის არავის უშლის ხელს ისწრაფვოდეს თავისი კონკრეტული მიზნის რეალიზაციისაკენ, ან შეინარჩუნოს გარკვეული ტრადიციები. ამასთანვე არ ახალისებს, არ უწევს სუფსიდირებას, ან უპირატესობას არცერთ მიმართულებას“, – განმარტავს ობოლაძე და დასძენს, რომ მულტიკულტურიზმის თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის

მულტიკულტურიზმის საზოგადოების შექმნისათვის ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩართული იყო სამი დონის ურთიერთმოქმედება: ეთნიკურ-კონფესიური მოცემულობა, ნორმატიული ბაზის მომზადება და მიზანმიმდროული მოქმედების პოლიტიკა. ეთნიკური მიგრანტები შედიოდნენ ხანგრძლივ მულტიკულტურულ ურთიერთობებში დომინირებულ ჯგუფებთან უკვე ახალ პირობებში. ასეთ პირობებში მულტიკულტურიზმის პოლიტიკა იქცა, როგორც ინსტრუმენტი, სტრატეგია ახალ მოთხოვნებზე მორგებული „ახალი საზოგადოების“ შესაქმნელად. დღევანდელი მოცემულობაა, რომ ამგვარი მიდგომებით შემდგარი სტაბილურობა მყიფეა და არსებობს განაცხადი ახალი რეალობის შექმნაზე.

ექსპერტის თქმით, მულტიკულტურიზმი მესამე მოდელია აშშ-ში კულტურული მრავალფეროვნებისადმი რეაგირების მოდელებიდან ასიმილაციის, ინტეგრაციისა თუ მათი ჰიბრიდული ვარიანტების შემდეგ. შეთავაზებული „ამერიკული იდენტობის“ მოდელი გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან წინააღმდეგობაში მოვიდა ამერიკულ საზოგადოების შიგნით

ახალი ძალით აღმოცენებულ საკუთარ სოციოკულტურულ, ინდივიდუალურ და კოლექტიური იდენტობის ტენდენციებთან. აღნიშნულს დაემატა ნეოლიბერალური პოლიტიკის ქვეშ მიმდინარე პროცესები, რომელმაც საზოგადოების კიდევ უფრო დაყოფა გამოიწვია, მოხდა კიდევ უფრო ბევრი სოციალური ჯგუფის მარგინალიზაცია. აღნიშნული კიდევ ერთი ბიძგი იყო

მულტიკულტურიზმის პოლიტიკისადმი.

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

„უნდა გავითვალისწინოთ, რომ მულტიკულტურიზმის კონსტრუქციისადმი ა.შ.შ.-ში დღეისათვის არჩევნების შემდგომ რეალობაში არსებული დამოკიდებულება არაა ახალი მოვლენა. გარკვეული პერიოდის უკან მულტიკულტურიზმის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი პელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ამერიკული საზოგადოება არ გახდა უფრო ინტეგრირებული და ა.შ.

როდესაც ვსაუბრობთ წინასაარჩევნო პერიოდში მულტიკულტურიზმთან მიმართებაში პოლიტკორექტულობის მოთხოვნების დარღვევაზე, ყველაზე მარტივ გამოხატულებაში ეს გულისხმობდა, რომ არ გამოყენებულიყო ისეთი ტერმინები და გამონათქვამები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობებისა თუ სოციალური ჯგუფის ღირსების გრძნობას ლახავს.

აქვე აღნიშნავს, რომ მულტიკულტურიზმთან მიმართებაში პოლიტკორექტულობის ცნება ატარებდა ორმაგ ბუნებას.

მულტიკულტურიზმთან მიმართებაში პოლიტკორექტულობის მომხრეებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი ატარებს ტოტალურ ხასიათს, გამოდის, როგორც „ენის პოლიცია“, „გამონათქვამების ცენზორი“ და ა.შ. მიუთითებდნენ, რომ გამონათქვამების გასუფთავებით შეუძლებელია შეიცვალოს რეალობა და ა.შ“, – აცხადებს ექსპერტი და ხაზს უსვამს, რომ დღეისათვის მთავარია, პასუხი გაეცეს კითხვას წინასაარჩევნო პერიოდში მულტიკულტურიზმთან მიმართებაში მხოლოდ პოლიტკორექტულობის დაუცველობასთან გვქონდა საქმე თუ პროცესები უფრო ღრმად წავა და აშშ კულტურული მრავალფეროვნებისადმი რეაგირების ახალი მოდელის შემუშავების წინაშე დადგება. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია დონალდ ტრამპის ვიდეომიმართვა, სადაც ის პრეზიდენტობის პირველი 100 დღის გეგმებზე საუბრობს და არალეგალურ მიგრანტებთან დაკავშირებით პირობას დებს, რომ დაიწყებს ყველა სავიზო დარღვევის შესწავლას, რომლებიც, მისი თქმით, აუკრესებს მდგომარეობას დასაქმების ბაზარზე, ქვეყანაში.

წყარო: „მედიანიუსი“ 18.11.2016

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

### ამ ეტაპზე, რაც ამ პოლიტიკურ ძალებს, უფრო სწორედ მათ ლიდერებს შეუძლიათ, ბოდიშის მოხდაა - ბესიკ ობოლაძე

ამ ეტაპზე, რაც ამ პოლიტიკურ ძალებს, უფრო სწორედ მათ ლიდერებს შეუძლიათ, ბოდიშის მოხდაა - ბესიკ ობოლაძე ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ბესიკ ობოლაძე იმ მოსაზრებას ეხმანება, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო უმრავლესობა შესაძლოა, საფრთხე იყოს ქვეყნისთვის.

ექსპერტის მოსაზრებით, საკონსტიტუციო უმრავლესობას შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შესაძლებლობა რეფორმების გზაზე.

„საკონსტიტუციო უმრავლესობა, როგორც წესი აჩენს ბევრ შემთხვევაში ერთი შეხედვით ჯანსაღ ამბიციას, განახორციელოს მასშტაბური რეფორმები. რეფორმების გზაზე კი არსებობს ორი პოტენციური არჩევანი : ერთი მიდგომაა ყველა მიზნის წინასწარ საჯარო განცხადება და მაქსიმალურად მოვლე დროში მაქსიმალურად ბევრის რეალიზაცია. ეს გზა, რომელიც გულისხმობს ყველაფრის ერთდროულად მიღწევას იწვევს საზოგადოების რეფორმების მომხრებად და მოწინააღმდეგებად პოლარიზებას. ეს გზა ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე გაიარა.

მეორე ალტერნატივა, ანუ ე.წ ფაბიანური სტრატეგია გულისხმობს, რომ რეფორმაზე პასუხისმგებელმა ძალამ თავდაპირველად ბოლომდე არ გაამჟღავნოს საკუთარი მიზნები, დაყოს გასატარებელი რეფორმები ერთმანეთისაგან და მაქსიმალურად დიდი შედეგით, რომელიმეს რეალიზაციას შეეცადოს. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უკვე სცადა ასეთი სტრატეგიის გამოყენება, თუნდაც ჯანდაცვის სისტემის ზოგიერთ მიმართულებასთან მიმართებაში”, - ამბობს ბესიკ ობოლაძე.

ექსპერტი ფიქრობს, რომ შექმნილ რეალობაში რეფორმების გზაზე გამოყენებულ იქნება ასეთი ე.წ ფაბიანური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს პრობლემების ერთი ჯგუფის მეორესაგან გამოყოფას და შესაბამისად, წინააღმდეგობის მინიმალიზაციას შეუწყობს ხელს.

„მოხდება ერთი რეფორმის მოწინააღმდეგების, მეორე რეფორმის მოწინააღმდეგებისაგან -პოტენციური მოკავშირეების - რაღაც ფორმით დისტანცირება. აյ მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული დრო მოქმედებისათვის. ერთია მეთოდურად განხორციელებული რეფორმები და მეორე „სივრცითი დრო“ - თითოეულ ეფექტურად გასატარებელ რეფორმასთან მიმართებაში შუალედური

## საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში

მიზნის რეალიზაცია. მხედველობაშია ოპოზიციური ძალების (პარლამენტისა და პარლამენტს გარეთ) სწრაფი მობილიზაციისაგან თავის დაღწევა. პერსპექტივაში ოპოზიციური ძალების მსგავსი მობილიზაციისათვის მზაობაზე მიუთითებს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურისათვის „შექმნილი განწყობებიც”, - აცხადებს ექსპერტი.

ბესიკ ობოლაძის თქმითვე, ბევრი პროდასავლური ძალა პარლამენტს გარეთ დარჩა. ამ საპარლამენტო არჩევნების წინ კი ქვეყანა ახალი პოლიტიკური ელიტის მოლოდინში იყო.

„იკითხებოდა მსგავსი იდეოლოგიური მსოფლმხედველობის მქონე ძალების რაღაც ფორმით გაერთიანება. ახალი პოლიტიკური ცენტრი ვერ შედგა. ახლად წარმოჩინებულმა მესამე ძალის ამბიციის მქონე მოძრაობამ ერთის მხრივ სრული კრახი განიცადა და მეორეს მხრივ ამ ფლანგზე დეზორგანიზაციის პროვოცირება მოახდინა.

ამ ეტაპზე, რაც ამ პოლიტიკურ ძალებს, უფრო სწორედ მათ ლიდერებს შეუძლიათ ბოდიშის მოხდაა. ბოდიში არა მხოლოდ ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ დონეზე, არამედ პოლიტიკურ დონეზეც ამომრჩევლის, თანამოაზრების წინაშე. ეს არ უნდა იყოს ტაქტიკის ნაწილი საკუთარი შეცდომების დასაფარავად. როდესაც ლიდერი საჯაროდ იხდის დროულ და გამართლებულ ბოდიშს, ამას პოზიციური შედეგები მოსდევს. პოლიტიკური ბოდიშის მეთოდი დამოკიდებულია მდგომარეობის თავისებურებაზე. სრული ბოდიში მოიცავს ოთხ კომპონენტს: შეცდომის გაცნობიერებას,

პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, სინანულის გამოხატვას და პირობის დადებას, რომ მსგავსი შეცდომები მათი მხრიდან მომავალში აღარ განმეორდება. მსგავსი განწყობები პოლიტიკური პარტიების ლიდერების განცხადებებში არ ჩანს. პასუხისმგებლობას ამომრჩეველს აბრალებენ: ებუტებიან ამომრჩეველს, მიდიან პოლიტიკიდან, აკეთებენ ორაზროვან განცხადებებს პოლიტიკიდან წასვლაზე და ა.შ.”, - ამბობს ექსპერტი.

ბესიკ ობოლაძე მარნეულის საარჩევნო ოლქში განვითარებულ მოვლენებზეც ამახვილებს ყურადღებას.

მისი შეფასებით, მარნეულში შექმნილი ვითარება მიუთითებს, რომ პოლიტიკური ძალების ლიდერები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან რეგიონის სპეციფიკას.

## **საქართველო გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების კოორდინატთა სისტემაში**

„ეს იმ პირობებში, როდესაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უმცირესობისათვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაციის შესახებ უმცირესობის ერთ-ერთი ავტორიტეტული წარმომადგენლის მიერ მიღანის ედიქტის დონის კანონად შეფასდა, როდესაც ტოლერანტობის ცნება შემოვიდა კონსტანტინე დიდის მიერ და რომელიც გულისხმობდა შემწყნარებლობას ყველა სარწმუნოების მიმართ. ჩვენ ქვეყანას ტოლერანტობის დიდი ტრადიცია აქვს და პოლიტიკური ლიდერები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ასეთ საკითხებს”, - აცხადებს ბესიკ ობოლაძე.

ნინო ექვთიმიშვილი

წყარო: „მედიანიუსი“ 21.10.2016